

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ნიკო გარეანიშვილის ინსტიტუტი  
ბათუმის ეთნოლოგთა საზოგადოება

**კულტუროლოგიური და  
ისტორიულ-ეთნოლოგიური  
კიეზანი საქართველოში**

**II**

გამომცემლობა  
„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“  
2007

**ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ  
ШОТА РУСТАВЕЛИ  
ИНСТИТУТ НИКО БЕРДЗЕНИШВИЛИ  
ОБЩЕСТВО ЭТНОЛОГОВ БАТУМИ**

**КУЛЬТУРОЛОГИЧЕСКИЕ И ИС-  
ТОРИКО-ЭТНОЛОГИЧЕСКИЕ ИС-  
СЛЕДОВАНИЕ В ГРУЗИИ**

**II**

Издательство  
„Государственный университет Шота Руставели ”  
2007

კრებული ეძღვნება გამოჩენილი ქართველი მეცნიერის,  
პროფესორ ალექსი რობაქიძის დაბადებიდან 90 წლისთავს.

Сборник посвящается 90-летию со дня рождения выдающегося  
грузинского ученого, профессора Алексея Робакидзе.

**რედაქტორი:** **ნუგზარ მგელაძე** –  
პროფესორი

**პასუხისმგებელი მდივანი:** **მანუჩარ ლორია** –  
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

**რეცენზენტები** **წდავით ხახუტაიშვილი** – საქართველოს  
მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ვახტანგ შამილაძე** – საქართველოს  
მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

**ნანული ჯავახაძე** – ისტორიის მეცნიერებათა  
კანდიდატი

ISSN 1987-5223

გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი  
ინსტიტუტის დირექტორის**

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ი დ ა ნ  
20 ოქტომბერი, 1997 წელი**

**§ - 1**

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ბათუმის ნ. ბერძენი-  
შვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ერთ-ერთი  
დამაარსებლისა და დიდი მოამაგის, ალექსი რობაქიძის  
დაბადებიდან 90 წლისთავისათვის აღსანიშნავ ღონისძიებათა  
ორგანიზაციისათვის შეიქმნას საიუბილეო კომისია ნუგზარ  
მგელაძის (თავმჯდომარე), ნოდარ კახიძის, გიორგი თავა-  
მაიშვილის, ლევან კალანდარიშვილის, აბელ სურგულაძისა  
და ნინო ინაიშვილის შემადგენლობით.

კომისიამ მოამზადოს სამეცნიერო სესია საიუბილეო დღი-  
სათვის.

**§ - 3**

ალექსი რობაქიძის დაბადებიდან 90 წლისთავისა და ინსტი-  
ტუტის წინაშე მისი განსაკუთრებული დამსახურების აღსა-  
ნიშნავად ინსტიტუტის სხდომათა დარბაზს მიეკუთვნოს  
პროფესორ ალექსი რობაქიძის სახელი.

**ინსტიტუტის დირექტორი  
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი /დავით ხახუტაიშვილი/**

## წინასიტყვაობა

კრებულის – „კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი საქართველოში“ – მეორე ტომი ეძღვნება ცნობილ ქართველ მეცნიერს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ალექსი რობაქიძის დაბადებიდან 90 წლისთავს. სესია ჩატარდა ქალაქ ბათუმში, 1997 წლის 21-22 ნოემბერს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამკითხველო დარბაზში. ნიშანდობლივია, რომ სამკითხველო დარბაზს, ინსტიტუტის დირექციის განკარგულებით, სწორედ ამ თარიღის აღსანიშნავად, ეწოდა პროფესორ ალექსი რობაქიძის სახელი, რაც კიდევ ერთი დადასტურებაა იმ ღვაწლისა, რომელიც მას მიუძღოდა, ზოგადად, კავკასიოლოგიის, უფრო ზუსტად – კავკასიათმცოდნეობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში საქართველოში, კონკრეტულად კი – აჭარაში. აქ მისი ხელმძღვანელობით სწრაფად დაიწყო ზრდა ახალმა კადრებმა, რამაც ხელი შეუწყო ქართულ ეთნოგრაფიულ სკოლაში უმოკლეს დროში ჩამოყალიბებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტრადიციული კულტურული ფასეულობების შემსწავლელი ძლიერი რეგიონული სამეცნიერო ბირთვი. სწორედ მისგან დაკვალიანებული კადრები, მასთან ერთად, იმ დროს და შემდეგშიც, ფართო შესადარებელი მონაცემების შექმნე წარმატებით იკვლევდნენ და იკვლევენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის აქტუალურ პრობლემებს. კრებული მოწაფეების მხრიდან უაღრესად დიდი პატივისცემის გამონათქვამებაა იმ მასწავლებლისადმი, რომელმაც არა მხოლოდ დიდი ამაგი დასდო ქართულ მეცნიერებას,

თაობებს შემოუნახა ქართველი და კავკასიის ხალხების მიერ საუკუნეების მანძილზე გამოტარებული კულტუროლოგიური ფასეულობები, დასაკარგავად განწირული კულტურული მემკვიდრეობის დიდი ნაწილი, არამედ კეთილშობილური და სამაგალითო პირადი თვისებების წყალობით განუმეორებელი კვალი დატოვა ყველა იმ ადამიანის მემკვიდრეობაში, ვისაც, თუნდაც, ხანმოკლე ურთიერთობა ჰქონდა მასთან.

კრებულის მომზადება დაიწყო 1997 წელს, პროფესორ დავით ხანუტაიშვილის სიცოცხლეში და დასრულდა მისი გარდაცვალების შემდეგ. ბატონი დავითი გახლდათ კრებულის რეცენზენტი, საიუბილეო სესიის ორგანიზატორი და ერთ-ერთი მომხსენებელი. ამიტომ, მის მიერ ადრე განხორციელებული სამუშაოს ამსახველ მასალებს უცვლელად ვთავაზობთ.

მიუხედავად იმისა, რომ სესიის ჩატარებიდან საკმაოდ დიდი დრო გავიდა, ვფიქრობ, კრებული მოძველებულ გამოცემას კი არ წარმოადგენს, არამედ პირიქით, ახალი წყაროებითა და შეფასებებით იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, მით უმეტეს, რომ ალექსი რობაქიძის ნაყოფიერი მეცნიერული ცხოვრება და მოღვაწეობა, ფიგურალურად თუ ვიტყვით, ქართული ეთნოგრაფიის ბიოგრაფიაა. ამიტომ ალექსი რობაქიძეზე თქმული თითოეული სიტყვა ქართული ეთნოგრაფიისთვის უაღრესად ფასეულია. გარდა ამისა, კიდევ ერთხელ მტკიცდება აზრი იმის თაობაზე, რომ რაც უფრო ხანდაზმულია ეთნოლოგიური ნაშრომი, მით უფრო განსაკუთრებულია მისი მნიშვნელობა წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით.

**რედაქტორი**



ალექსი რობაქიძე სამუშაო კაბინეტში

## წდავით ხახუტაიშვილი

### შესავალი სიტყვა

პატივცემულო საზოგადოება!

დღეს 90 წლისა გახდებოდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ერთ-ერთი შემქმნელი, კავკასიის ეთნოგრაფიის მუხლჩაუხრელი მკვლევარი და ამ საქმის ბრწყინვალე ორგანიზატორი, შესანიშნავი პედაგოგი, უმწიკვლო პიროვნება და მოქალაქე, ყველა ჩვენთაგანისათვის საყვარელი ადამიანი ალექსი ივანეს ძე რობაქიძე.



ალ. რობაქიძემ სავსებით სამართლიანად დაიმკვიდრა ადგილი ქართველ საზოგადო მოღვაწეთა და გამოჩენილ მეცნიერთა გალერეაში. მისი მოქალაქეობრივი და მეცნიერული სრულყოფის მაგალითზე აღიზარდა და კვლავაც აღიზრდება მკვლევართა ახალი და ახალი თაობები. მისი შრომები საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიის შესახებ სამუდამოდ შევიდა ქართული ისტორიოგრაფიის საგანძურში, რომლებიც მარადჟამს მოემსახურება ქართული მეცნიერების წინსვლის საქმეს.

დღევანდელი ჩვენი შეხვედრა, რომელიც ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივის მიერ არის ორგანიზებული, შემთხვევითი და მორიგი სრულებითაც არაა: ალ. რობაქიძე ამ ინსტიტუტის ერთ-ერთი მაშენებელი და მფარველი ანგელოზია. 60-70-იან წლებში მან ფასდაუდებელი შრომა გასწია ამ ინსტიტუტის სამეცნიერო კადრებით უზრუნველყოფის, საგამომცემლო საქმის მოგვარების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევ-



სების თუ სხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან კავშირების მოწესრიგების მიმართულებით. ბატონი ალექსი მომხიბლავი პიროვნება იყო და ამ თავის ხიბლს, ადამიანურ სითბოს მარჯვედ იყენებდა სასიკეთო საქმეების საკეთებლად. საოცარი იყო მისი კეთილმოსურნეობა, და ადამიანებიც, უმრავლეს შემთხვევაში, სიკეთითვე პასუხობდნენ მას. იგი მთელი თავისი შემართებით გვერდში ედგა ჩვენი, მაშინ ახალგაზრდა ინსტიტუტის, პირველ დირექტორს ასლან ინაიშვილს. მე კარგად მახსოვს ბატალიები, როგორც ინსტიტუტის გარშემო გაშალა ზოგიერთმა გზააბნეულმა. მახსოვს ბატონი ალექსის მიერ შემოთავაზებული დიპლომატიური სვლების ეფექტურობა. ამგვარად, საბედნიეროდ, „ბოროტსა სძლია კეთილმან“.



ალექსი რობაქიძე

თუ ზედმეტობაში არ ჩამომართმევთ, ზოგი რამ უნდა ამოვილო მეხსიერების საკუთარი სკივრიდან. ეს მოგონებაც, ბატონ ალექსის სახელს უკავშირდება: 1949 წლის ივნისის მიწურულია. სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი ვარ. გამოცდები დავამთავრე. სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მეორე სართულის ფართო და ცნობილ დერეფანში, 93-ე აუდიტორიის წინ, ვდგავართ.

მოულოდნელად ბატონი ნიკო ბერძენიშვილი გამოჩნდა თავისი „ამალით“ რომელსაც ისტორიის ფაკულტეტის დეკანი პროფესორი დავით გვრიტიშვილი თავკაცობდა. ბატონი ნიკო თავის დაკვირვით მომესალმა და გზა განაგრძო. მე ვიდექი ჩემთვის ჩაფიქრებული. ბატონი დავით გვრიტიშვილის ხმა შემომესმა – „ბატონი ნიკო გეძახისო“... გამოვეცხადე. „არდადეგების

გატარებას სად აპირებო” მკითხა ... არქეოლოგიურ ექსპედიციაში გამგზავრება შემომთავაზა და ისტორიის ინსტიტუტში მეორე დღისთვის დამიბარა: „ალექსი რობაქიძეს მიაკითხო,“ დაატანა. მადლობა მოვასხსენე.

მეორე დღეს ინსტიტუტის დირექტორის კაბინეტის კარები მორიდებით შევაღე. პატივცემული ალექსი რობაქიძე მოვიკითხე. ოთახში სამი მა-



ალექსი რობაქიძის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო სესია. ბათუმი, 1997 წელი

გიდა იდგა: დირექტორის (აკად. ნიკო ბერძენიშვილი), მისი მოადგილის (ალექსი რობაქიძე) და სწავლული მდივნის (იოსებ გძელიშვილი). დაკავებული მხოლოდ ერთი მაგიდა იყო, რომელთანაც დახვეწილი მანერების, ინტელიგენტური გარეგნობის მამაკაცი იჯდა. – „მობრძანდითო”

შემეხმინა. იგი, წამოდგა, ხელი გამომიწოდა და მკითხა: „თქვენ ალბათ, ხახუტაიშვილი ხართო“. მე დავუდასტურე. მან მანქანაზე გადაბეჭდილი ხელშეკრულება გამომიწოდა, რომელზეც ხელს აწერდა დირექტორის მოადგილე ალექსი რობაქიძე. აღნიშნულ საბუთს მეც მოვაწერე ხელი. ხელშეკრულებით მე 1949 წლის ივლის-აგვისტოს თვეში ვინიშნებოდი ვაშნარის არქეოლოგიური ექსპედიციის შემადგენლობაში უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. იმ დროს ეს ჩემთვის წარმოუდგენელი ფუფუნება და პატივი იყო: სტუდენტი



სესიის მონაწილეები. გონიოს ციხესიმაგრე.

– მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. მერე რა, რომ დროებით. და, აი, 1949

წლიდან, მალე 50 წელი გავიდა და ბატონი ალ. რობაქიძე ჩემს კეთილმოფხვლთა გალერეაში უცვლელად ინარჩუნებს ერთ უპირველეს ადგილთაგანს. ალბათ, ასობით ადამიანს ახსოვს და იგონებს ამ დიდი ერისკაცისა და შესანიშნავი მეცნიერის სიკეთეს, რასაც იგი ყოვლად უშურველად გასცემდა ხოლმე.

ნება მომეცით, სამეცნიერო სესია, რომელიც ეძღვნება ბატონი ალ. რობაქიძის დაბადებიდან 90 წლისთავს, გახსნილად გამოვაცხადო და სიტყვა მოხსენებისათვის გადავცე ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოორდინატორს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნუგზარ მგელაძეს.

## ნუგზარ მგელაძე

### ალექსი რობაქიძის ცხოვრება და მოღვაწეობა<sup>1</sup>

ცნობილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ალექსი რობაქიძეს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა. აჭარის სამეცნიერო საზოგადოება გამორჩეული პატივით აღნიშნავს ამ თარიღს, რადგან ალ. რობაქიძე იყო ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი, წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა



ჯულიეტა რუსაძე, ნუგზარ მგელაძე.

<sup>1</sup> ალექსი რობაქიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას არაერთი საინტერესო პუბლიკაცია მიეძღვნა, მათ შორის საიუბილეო სესიებზე წაკითხული მოხსენებები, რომლებიც 1988 და 1997 წლებში ჩატარდა თბილისსა და ბათუმში. მათში ასახულია ალექსი რობაქიძის სამეცნიერო შემოქმედება კონკრეტულად საქართველოს, ზოგადად კი კავკასიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის სფეროში – იხ.: М. В. Кантария. Жизнь и деятельность члена-корреспондента АН ГССР, профессора, доктора исторических наук Алексея Ивановича Робакидзе.-К 80 – летию со дня рождения и 55 – летию научно-общественной деятельности.- Кавказский этнографический сборник (КЭС), VII, Тб., 1988; დ. ხახუტაიშვილი, ნ. კახიძე. პროფესორი ა. რობაქიძე აჭარის ეთნოგრაფიული წარსულის მკვლევარი.-სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა (სდსყკ), XVI, თბ., 1989; ჯ. კალანდარიშვილი. Неутомимый исследователь (к 90 – летию со дня рождения академика А. И. Робакидзе).- газ. «Аджария»; აბ. სურგულაძე, ნ. მგელაძე. მეცნიერი, პედაგოგი, მამულიშვილი.-გაზ. „აჭარა“, №238-239, 1977; აბ. სურგულაძე. კვალი ნათელი (ცხოვრება და ღვაწლი ალექსი რობაქიძისა).- საისტორიო მაცნე, №7, ბათ., 1998 და სხვა.

ეთნოგრაფიის განყოფილებას და დიდი ამაგი დასდო ამ მხარის მეცნიერულ შესწავლას.


ალექსი რობაქიძე დაიბადა 1907 წლის 22 ნოემბერს თბილისში, მრავალშვილიან ოჯახში. მას საოჯახო გარემო ხელს უწყობდა, რათა კარგი აღზრდა და განათლება მიეღო.



ალექსი რობაქიძის დედა  
ნინო შანშიაშვილი

ალექსი რობაქიძე ვერელი იყო. მამის, ივანე რობაქიძის ოჯახი ვერაზე საკუთარ სახლში ცხოვრობდა, იქ, სადაც დღეს სასტუმრო „ივერია“ მდებარეობს. წარმოშობით რობაქიძეთა ეს შტო იმერეთიდან, გოგნიდან იყო, საიდანაც ივანეს მამა, გიორგი რობაქიძე წამოსულა და თბილისში დამკვიდრებულა. ივანე მკაცრი, წესრიგის მოყვარული და კეთილშობილი კაცი ყოფილა. ივანეს ოჯახში შვილებთან ერთად ახლობლებსაც იზრდებოდნენ. ოჯახი ყოველმხრივ ხელს უმართავდა თბილისში ჩამოსულ ახალგაზრდებს. აქვე იზრდებოდა რევაზ გაბრიაძეს მამაც. ივანე ტრადიციული ადამიანი იყო. საოჯახო განაწესის მიხედვით მზის ჩასვლამდე ყველა წევრი სახლში უნდა ყოფილიყო. ამ წესს თურმე მკაცრად იცავდნენ. ასე, რომ სახლობის წევრები სუფრასთან როცა სხდებოდნენ ვახშამი წვეულება გეგონებოდა.

ალექსის ორი ძმა (შალვა და გიორგი) და ერთი და (თამარი) ჰყავდა. ეს ოჯახი თბილისის წრეებში



ალექსი რობაქიძის მამა  
ივანე რობაქიძე

მიღებული და ცნობილი იყო. მათთან ხშირად სტუმრობდნენ ერის გამორჩეული შვილები. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ეს ოჯახი განსაკუთრებით უყვარდა და მას ხშირად მონახულებდა გალაკტიონ ტაბიძე, რომელიც ჭადრაკს ეთამაშებოდა კარგ მოჭადრაკედ ცნობილ ივანეს ძმას. და – თამარ რობაქიძე ცნობილი ექიმი გახლდათ. ქვეყანაში ძნელბედობის ჟამს, ავადმოსაგონებელ პერიოდში იგი გადაასახლეს. როცა გადასახლებიდან ჩამოვიდა, დროებით სამტრედიის დამკვიდრდა, ხოლო შემდეგ აკრძალვები მოუხსნეს და თბილისში ცხოვრების ნება დართეს. ძმა – შალვა რობაქიძე მოსკოვში სწავლობდა. იქ გაეცნო თავადის ასულს, ივანეს მეგობრის, – გენერალ ბელოუსოვის უფროსის ქალიშვილს – ვერა ბელოუსოვს. შემდეგ იგი საფრანგეთში, ემიგრაციაში გაემგზავრა, სადაც ეს ქალბატონი ცოლად შეირთო და როცა ავსტრალიაში სპეციალისტებზე მოთხოვნილება გაიზარდა, ცოლთან ერთად იქ გადავიდა საცხოვრებლად. ალექსიმ მონინახულა ძმა და რძალი. ავსტრალიაში, რძალს ნიშნის სახით მიართვა ქართველის ხელით ნაჭედი ვერცხლის სამკაულები, არწმუნებდა, რომ საქართველოში მათი ცხოვრება უკვე შესაძლებელი და უსაფრთხო იყო. პირად საუბრებში ალექსი იგონებდა: შალვას სამშობლოში ბოლშევიკების სახით კვლავ კაციჭამიები ეგულებოდა იმდენად მძიმე კვალი დატოვა მასზე „რევოლუციური კატაკლიზმების პერიოდმა. ერთხელაც – იგონებდა ბატონი ალექსი – საღამოთი შალვა მის ლამაზ ეზოში დავინახე, წითელი ღვინით სავსე ბოთლით კარ-მიდამოს ერთ მხარეს ორღობესთან იყო ჩამომჯდარი, ხოლო მეზობლად მცხოვრები, ასევე, თუ არ ვცდები ემიგრანტი, თავის მამულში ორღობის მეორე მხარეს ბოთლითა და ფიალით ხელში იჯდა, თან მუსაიფობდნენ. როცა გამიკვირდა და დავეკითხე – რატომ ასე, არა ჩვენებურად მეთქი, მიპასუხა: „სადაც წახვალ იქაური ქუდის დახურვა გიწევსო“. ალექსიმ ვერ შეძლო ავსტრალიაში დიდხანს გაჩერება, სამშობლო მოენატრა, ვერც ძმა დაიყაბულა წამოსვლაზე და ორი თვის

შემდეგ დატოვა ავსტრალია. საქართველოში მას წინ უამრავი ეროვნული საქმის განხორციელება ელოდა. შალვა და მისი მეუღლე ავსტრალიაში უმემკვიდრეოდ გარდაიცვალნენ. იქვე დაკრძალეს. საფლავი ძმასა და რძალს, რომელთაც იქ არავინ დარჩენიათ, ალექსიმ გაუკეთა და საფლავის ქვაზე წარწერის ქართულენოვან ტექსტზეც მან იზრუნა.

შუათანა ძმა – გიორგი რეპრესიების მსხვერპლი გახდა და ციმბირში ტიფისაგან გარდაიცვალა.

რობაქიძეთა ეს დიდი ოჯახი თავის დროზე წინააღმდეგი ყოფილა ალექსი ისტორიკოსი რომ გამხდარიყო, უფრო პრაქტიკული პროფესიის დაუფლებისაკენ უბიძგებდნენ, საინჟინრო ტრადიციების გაგრძელებას სთხოვდნენ.

საშუალო განათლება ალექსი რობაქიძემ თბილისის პირველ საცდელ-საჩვენებელ სკოლაში მიიღო. ამ სკოლის პირველი დირექტორი განლდათ მიხეილ ზანდუკელი. იგი ფართო ერუდიციისა და მაღალი კულტურის ადამიანი იყო. ამ თვისებების წყალობით თავისი მოწაფეებისათვის მას მშობლიური ლიტერატურის სიყვარული ჩაუნერგავს და რუსი კლასიკოსების – პუშკინი, ლერმონტოვი, ტოლსტოი, დოსტოევსკი – ტრადიციებზე ზრდიდა.<sup>2</sup> ეროვნული და უცხოური ლიტერატურისადმი ამდაგვარმა მაღალაკადემიურმა დამოკიდებულებამ განსაზღვრა ალექსი რობაქიძის მომავალი და ეს მის საუნივერსიტეტო ცხოვრებასა და სამეცნიერო-საზოგადოებრივ მოღვაწეობაშიც აისახა. მიხეილ ზანდუკელი, როგორც პროფესორი, შემდეგში მიიწვიეს თბილისის უნივერსიტეტში, იმ უნივერსიტეტში, სადაც პედაგოგიური ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე სწავლა გააგრძელა ალექსი რობაქიძემ. კიდევ ოთხი წლის მანძილზე მიხეილ ზანდუკელის მოწაფეები დიდი

---

<sup>2</sup> М. В. Кантария. Жизнь и деятельность члена-корреспондента АН ГССР, профессора, доктора исторических наук Алексея Ивановича Робакидзе-К 80 –летию со дня рождения и 55 – летию научно-общественной деятельности.- КЭС, VII, Тб., 1988.

სიზარულთ ისმენდნენ მის ლექციებს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

იმ პერიოდისათვის თბილისის უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ ქართული მეცნიერული აზრის ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც იყვნენ ივანე ჯავახიშვილი, შალვა ნუცუბიძე, გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, დიმიტრი უზნაძე, კორნელი კეკელიძე, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, გიორგი ჩუბინაშვილი. როგორც ცნობილია, მაშინ ივანე ჯავახიშვილი ლექციებს კითხულობდა საქართველოს ისტორიასა და წყაროთმცოდნეობაში, ხოლო გამოცდებს ღებულობდა იმ დროს ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდა სიმონ ჯანაშია. შემდგომში სიმონ ჯანაშიასთან ალექსი რობაქიძის მეგობრულმა, საქმიანმა და კოლეგიალურმა ურთიერთობამ ქართულ მეცნიერებას მრავალი სიკეთე მოუტანა.



რუსულარ ხარაძე


1929 წელს ალექსი რობაქიძე უნივერსიტეტს ამთავრებს და 1929-1936 წლებში სამეურნეო და პროფკავშირულ სამუშაოებზეა, რამაც ნიჭიერ ყმაწვილს დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება შესძინა. შემდეგში იგი ხდება რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

1935 წელს ალექსი რობაქიძე ჩაერიცხა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ასპირანტურაში, 1939 წელს ამთავრებს ენისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ასპირანტურას სპეციალობით – „საქართველოს ეთნოგრაფია.“

ასპირანტურის დასრულების პერიოდში პრობლემის ხელმძღვანელმა გიორგი ჩიტაიამ ალექსი რობაქიძეს, როგორც უაღრესად პერსპექტიულ მეცნიერს, დიდი შეფასება მისცა. სულ მალე ალექსი რობაქიძე იცავს საკანდიდატო დისერტაციას. 1939 წლიდან ალექსი რობაქიძე ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის



ინსტიტუტის თანამშრომელია. 1941-1943 წლებში იყო ამ ინსტიტუტის სწავლული მდივანი, ისე, როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი. 1944-1953 წლებში იგი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო მუშაობის დარგში. მან 1957 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 1966 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, 1970 წელს გახდა პროფესორი, ხოლო 1983 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.



გიორგი ჩიტაია

1961 წლიდან ალექსი რობაქიძე ხელმძღვანელობდა კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებას, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას გარდაცვალების შემდეგ – საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებასაც და, საერთოდ, ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექტორს. აქ, აკადემიკოსი გიორგი ჩიტაიას, საქართველოს ეთნოგრაფიის სულისჩამდგმელისა და პატრიარქის სახელი შემთხვევით არ გვიხსენებია. მრავალმხრივია საინტერესო პროფესორ ალ. რობაქიძის მისეული შეფასება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ უკვე შეუძ-

ლოდ მყოფმა მცხოვანმა მეცნიერმა ალექსი რობაქიძე საქართველოს ეთნოგრაფიის ბურჯად მიიჩნია და თავის უპირველეს მემკვიდრედ აღიარა. არ იქნება ინტერესმოკლებული, თუ გავეცნობით აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ანდერძს, რომელიც პროფესორ ალექსი რობაქიძეს წარმოაჩენს არა მხოლოდ როგორც ღრმად ერუდირებულ, უნიჭიერეს მეცნიერად, დარგის მოამაგედ და ქომაგად, არამედ რაფინირებულ ინტელიგენტად და რაც განსაკუთრებით მთავარია – კაცად, სანიმუშო მოქალაქედ. აი რას წერდა იგი: „დღეს მე ჩემს საქმეს ალექსი რობაქიძეს ვუან-

დერძებ... ჩემს ნამოწაფარებს შორის ყველაზე ერუდი-  
რებული ალექსია, ენაც უჭრის და კალამიც... ჩვენი  
ურთიერთობის გართულებით ფუჭდებოდა საქმე, რომელიც  
ჩვენ ორივეს გვიყვარდა. მე და ალექსის ცხოვრებამ ერთი  
ბედი გვარგუნა, ეთნოგრაფია იყო ჩვენი ოჯახი, შვილი, სი-  
ცოცხლის მიზანი. ჩვენ ამით ვცხოვრობდით. რა ვიცი, ამას  
ვინღა გაიგებს, ხალხი ჭრელია... მე სულ ვაკვირდებოდი  
მის მუშაობას გარედან და ძალიან მომწონდა ერთი რამ –  
პრინციპულობა, თუმცა ეს ჩემს მიმართაც გამომჟღავნა.  
ამას ახლა არა აქვს მნიშვნელობა. რატომ ვამბობ ამას?  
რამდენჯერ მოვსინჯე გარკვეული პირების დახმარებით  
მასთან ურთიერთობის გაუმჯობესება, მაგრამ შეიძლება  
სწორედ იმ ადამიანებმა როლი ითამაშეს, ვინ გაიგებს  
ახლა? ... მე ახლა ბევრს ვფიქრობ, ვერას რომ აბრალებენ,  
არ არის სწორი. ვერა ძალიან აფასებდა როგორც მეც-  
ნიერს, ჩვენთვის კი მთავარი ეს იყო. მისგან ცუდი საქმის  
გაკეთება არ მახსოვს. დავა კი გვქონია, მაგრამ ყოველთვის  
მეცნიერულ თუ საორგანიზაციო საკითხებზე და არა პირა-  
დი ურთიერთობების გარჩევით, როგორც ახლა ახასიათებთ...  
მე და ალექსისთან დამოკიდებულებაში ყველა, ვინც ჩვენ  
ერთგულები გვეგონა, მხოლოდ თავისთვის იბრძოდა. ამ  
დავამ ჩვენ ორივე დაგვაბნია და გზა გავუხსენით არასწორ  
ხალხს. ყოველ შემთხვევაში ბედნიერი ვარ, რომ ბოლოს  
მაინც გაიხსნა ჩვენი დამოკიდებულება. კარგად იყოს,  
ჯანმრთელად და ისევ ღარვს გამოადგება, მაწუხებს კია,  
ვინ ეყოლება გვერდით, ბევრი ჩვენთან გაორებულია<sup>3</sup>. ეს  
ვრცელი ამონარიდი ეკუთვნის კაცს, რომელსაც თითქოსდა  
არც თუ ისე კარგი ურთიერთობები ჰქონდა ალექსი რობაქი-  
ძესთან. რაოდენ მრავლისმეტყველია იგი დღევანდელი გადა-  
სახედიდან, როგორ თვალსაჩინოდ გვისურათებს მათ უანგა-

---

<sup>3</sup> ციტ. თ. ცაგარეიშვილი. გიორგი ჩიტაია – 100, თბ., 1983, გვ., 114, 120-121.

რობასა და სიყვარულს დარგისადმი და, საერთოდ, ადამიანურობისადმი.

სწორედ ალექსი რობაქიძის პიროვნების უნიკალობამ განსაზღვრა ის, რომ მას 1977 წელს გადაუხადეს დაბადებიდან 60, 1982 წელს – 75, ხოლო 1987 წელს 80 წლისთავი, მაგრამ მაშინ იგი სიცოცხლით სავსე იყო და უამრავი ჩანაფიქრი ჰქონდა. დღეს კი, როცა ალექსი რობაქიძეს დაბადებიდან 90 წლისთავს ვიხდით, იგი ჩვენს გვერდით აღარაა, მაგრამ მისი სახელი ყველას გვაერთიანებს და ამჟამინდელ დუნჯირ პირობებში, როცა საქართველოს ეთნოგრაფიასა და ქართველ ეთნოგრაფებს ასე უჭირთ, მომავლის რწმენით გვაგვსებს.

ალექსი რობაქიძე გარდაიცვალა 1990 წლის 17 თებერვალს, 83 წლის ასაკში.

ალექსი რობაქიძე იყო მეცნიერების უნარიანი ორგანიზატორი. მისი ინიციატივით გაიხსნა კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილება. გამოჩენილ ქართველ მეცნიერებთან ერთად (ნიკოლოზ ბერძენიშვილი, მიხეილ ჩიქოვანი, პაატა გუგუშვილი...) მონაწილეობდა ამჟამად ნ. ბერძენიშვილის სახ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსებაში. გახსნის დღიდან წლების განმავლობაში იყო ეთნოგრაფიის განყოფილების გამგე. დიდი ხნის მანძილზე თავის მოვალეობას საზოგადოებრივ საწყისებზე ასრულებდა და ფასდაუდებელი როლი შეასრულა ახალგაზრდა ეთნოგრაფთა გამოზრდასა და მეცნიერულ დაოსტატებაში. საკმარისია ითქვას, რომ ბათუმში მისი ხელმძღვანელობით მოკლე დროში მომზადდა 8 საკანდიდატო და 2 სადოქტორო დისერტაცია.<sup>4</sup> არა თუ ბათუმის, არამედ მთლიანად საქართველოს და უფრო მეტიც, კავკასიის მიმართაც მას განსაკუთრებული ამაგი მიუძღვის. მის მრავალრიცხოვან მოწაფეებს შორის მრავლად არიან მეც-

---

<sup>4</sup> დ. ხახუტაიშვილი, ნ. კახიძე. პროფესორი ა. რობაქიძე – აჭარის ეთნოგრაფიული წარსულის მკვლევარი.- სდსყკ, XVI, თბ., 1989.

ნიერებათა კანდიდატები და დოქტორები, არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტიც, რომლებიც ამუშავებდნენ და დღესაც წარმატებით ამუშავებენ საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიის ეთნოგრაფიისა და ისტორიის კარდინალურ პრობლემებს.

ალექსი რობაქიძის საორგანიზაციო უნარზე მეტყველებს ისიც, რომ თავის დროზე უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შეიქმნა სამეცნიერო-საკორდინაციო ცენტრი, რომელმაც მიზნად დაისახა სოციალურ-კულტურულ ტრადიციებთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლა და წარმატებითაც განახორციელა დასახული ამოცანა. ეს ცენტრი სწორედ ალექსი რობაქიძემ დააყენა ფეხზე და შედეგად რამდენიმე სერიული ნაშრომიც მივიღეთ.

ალექსი რობაქიძე ნახევარ საუკუნეზე მეტს ნაყოფიერად იღწვოდა მეცნიერებაში და აქტიური შემოქმედებითი საქმიანობით თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართული ეთნოგრაფიული სკოლის განვითარებაში. ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიაში საველე-ეთნოგრაფიული საექსპედიციო მუშაობის ფართო მასშტაბით გაშლას. ამ ექსპედიციებს გეგმავდა და ანხორციელებდა ალექსი რობაქიძე, უბადლო საველე მუშაკი, ინიციატივიანი და ალლოიანი მოგზაურ-დამკვირვებელი. საველე მუშაობიდან უნდა გამოიყოს ექსპედიციები საქართველოში (სვანეთში, რაჭაში, გურიაში, აჭარაში, სამეგრელოსა და აფხაზეთში, მთიულეთში, ხევსურეთში, თუშეთში...), დაღესტანში (1940, 1959-1960, 1962-1964 წლები), ადიღეში (1957 წელი), ყაბარდო-ბალყარეთში (1956-1962 წლები), ჩეჩნეთ-ინგუშეთში (1962-1964 წლები), აზერბაიჯანში (1962-1963 წლები), სომხეთში (1964 წელი)... განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართულ-აფხაზური პარალელების შემსწავლელი ჯგუფის

---

<sup>5</sup> იხ.: ალ. რობაქიძე. ტრადიცია და ცხოვრების წესი, თბ., 1980.

მიერ 1980-იან წლებში აფხაზეთსა და სამეგრელოში განხორციელებული ექსპედიციები, რომლებსაც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ალექსი რობაქიძე. როგორც ვხედავთ, კვლევის გეოგრაფიული არეალი ფართოა. სწორედ კავკასიის აღნიშნულ არეალში შეკრებილი მდიდარი ეთნოგრაფიული წყაროების საფუძველზე მეცნიერმა ქართულ-კავკასიური კულტურის ტრადიციული ფორმების შესწავლას არაერთი ნაშრომი მიუძღვნა, რომელთა ჩამოთვლა ალბათ შორს წაგვიყვანდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაშრომებმა მას საყოველთაო აღიარება მოუტანა და საფუძველი ჩაუყარა კავკასიათმცოდნეობას, კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიულ კვლევას საქართველოში. ალექსი რობაქიძის ხელმძღვანელობით კავკასიის ხალხებში შეკრებილი კოლექციის მიხედვით, 1959-1964 წლებში, ორგანიზაცია გაუკეთდა დარგობრივ გამოფენებს, სადაც ყურადღება მიიქცია ტრადიციულმა კოსტიუმმა, ხალიჩათა ნიმუშებმა, ოქრომჭედელთა ნაოსტატარებმა, კერამიკულმა ნაწარმმა. გამოსაცემად მომზადდა დალესტნური კერამიკის, ვერცხლის სარტყლების, კავკასიური კოსტიუმის კატალოგი. ყოფისა და კულტურის სფეროში გამოვლენილმა თავისებურებებმა ხელი შეუწყო ქართველ და კავკასიის ხალხებს შორის ეთნო-კულტურული ურთიერთობების სიღრმისეულ კვლევას, ამ თავისებურებათა ზოგადეთნოგრაფიულ და ზოგადკავკასიურ ასპექტში შესწავლას.

ალექსი რობაქიძეს გამოქვეყნებული აქვს ათზე მეტი მონოგრაფია და ოთხმოცზე მეტი სტატია, რომლებიც ეხებიან თანამედროვე ეთნოგრაფიას, სოციალური გარდაქმნების პროცესებს ქართველი ხალხის კულტურასა და ყოფაში, სპორტის ისტორიის საკითხებს, სამეურნეო ყოფას, საზოგადოებრივ სტრუქტურას, მატერიალურ კულტურას, ქართველი და კავკასიის ხალხების დასახლების ფორმებს, ტოპოგრაფიას, დასახლების აგებულებასა და მორფოლოგიას, დასახლების სოციალურ და სამეურნეო პირობებს, საცხოვრებელ, სამეურნეო და თავდაცვით ნაგებობებს, სამშენებლო

ტექნიკასა და არქიტექტურის ტრადიციულ ფორმებს, სათემო საკუთრების საკითხებს, თვითმართველობას, სამხედრო-პოლიტიკური ჯგუფების ორგანიზაციას, ეთნოგენეზისა და ეთნოსის თეორიას... აღნიშნული შრომები გამოქვეყნებულია ქართულ და უცხოურ ენებზე, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთის სამეცნიერო ჟურნალებსა და აკადემიურ გამოცემებში. განსაკუთრებული ხაზგასმის ღირსია „კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, რომელიც თბილისში ქართულ და რუსულ ენებზე ალექსი რობაქიძის რედაქტორობით გამოდიოდა. მეცნიერის კვლევის შედეგები აისახა განმაზოგადოებელ გამოცემებში, ენციკლოპედიებში, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასში. ალექსი რობაქიძე, როგორც მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, შეყვანილია ქართულ ენციკლოპედიაში.

ნიშანდობლივია, ალექსი რობაქიძემ იმთავითვე მეცნიერული კვლევის საგნად მეურნეობის ისტორია, სამეურნეო ცხოვრების მრავალმხრივი ფორმების შესწავლა რომ დაისახა. ამ საკითხს მიეძღვნა მისი ადრინდელი ნაშრომები: „შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში,“ „მოდგამი როგორც ექსპლოატაციის ერთი ფორმა ძველ საქართველოში,“ „სამეურნეო ყოფა სვანეთში“ (რუსულ ენაზე), რომლებშიც ავტორი სამეურნეო ყოფისა და კულტურის საკითხებთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოციალური ურთიერთობების მნიშვნელოვან მხარეებსაც. კონკრეტული ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე ალექსი რობაქიძემ გამოარკვია შრომის დანაწილების თავდაპირველი ხასიათი და ბუნება ძველ საქართველოში, გვიჩვენა „მოდგამის“ ევოლუცია ურთიერთდამარების ფორმიდან ექსპლოატაციის ფორმად გადაქცევამდე.

ქართველი ხალხის სამეურნეო ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს ეხება ვრცელი გამოკვლევა „მეფუტკრეობა საქართველოში,“ რომელშიც განხილულია მეურნეობის ამ უძველესი დარგის ტრადიციული ფორმები.

აღნიშნულ მონოგრაფიაში ყურადღებას იპყრობს მეფუტკრეობის გენეზისის ზოგადთეორიული საკითხები. ეთნოგრაფიულ ყოფაში შეკრებილი მასალების გამოყენებით ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მეფუტკრეობასთან დაკავშირებულ ლოკალურ თავისებურებებს, მეფუტკრეობის ხალხურ ხერხებსა და ემპირიულ გამოცდილებას, რომლებიც საინტერესოა არა მარტო ტრადიციული, არამედ მეფუტკრეობის პერსპექტიული განვითარების თვალსაზრისითაც.

ალექსი რობაქიძე საქართველოში მუშათა ყოფისა და კულტურის შესწავლის პიონერია. მისი ნაშრომი „ჭიათურის მარგანცის მუშათა ყოფის ზოგიერთი მხარე“ (1953 წელი) ერთ-ერთი პირველი გამოკვლევა იყო მაშინდელ საბჭოთა კავშირში. საგულისხმოა, რომ ავტორის მიერ შემუშავებულმა კვლევის მეთოდმა ეთნოგრაფთა აღიარება მოიპოვა. ამით აიხსნება აღნიშნული ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ მუშათა ყოფისა და კულტურის შესწავლა სწრაფი ტემპით რომ განვითარდა საქართველოში და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია.

ალექსი რობაქიძე, როგორც აღინიშნა, დაინტერესებული იყო ქართველი და კავკასიის ხალხების ეთნიკური და კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის შესწავლით. ამ პრობლემას კოლეგასთან და იმავდროულად უახლოეს მეგობართან, ცნობილ ეთნოგრაფ, პროფესორ რუსუდან ხარაძესთან თანაავტორობით 1964-1966 წლებში მიუძღვნა რამდენიმე მონოგრაფია, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს: „სვანეთის სოფელი ძველად“ და „მთიულეთის სოფელი ძველად.“ მათში შესწავლილი და განზოგადოებულია საქართველოს მთიანეთის დასახლების ფორმა, დასახლების სტრუქტურა, საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი ნაგებობები, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ხასიათი, ადათობრივი სამართალი და მისი ადგილი თვითმართველობით სისტემაში. ამ ნაშრომებში მოცემულ დასკვნებს დიდი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო საკუთრივ ქარ-

თველი ხალხის, არამედ კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიული ყოფისა და კულტურის მეცნიერული გაშუქებისათვის.

ალექსი რობაქიძემ შეკრიბა, დაამუშავა და 1961-1962 წლებში ორ ტომად გამოსცა XIX საუკუნის საზოგადო მოღვაწისა და თვალსაჩინო ეთნოგრაფის ბესარიონ ნიჟარაძის (თავისუფალი სვანი) რჩეული ეთნოგრაფიული ნაწერები, რითაც მკვლევართათვის ხელმისაწვდომი გახდა ძვირფასი მასალა ქართველ მთიელთა ყოფის შესასწავლად. ამ გამოცემის უადრესად დიდ როლს თავად მკვლევარმა ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პირველი დირექტორის ასლან ინაიშვილის ოჯახში გამართულ ამავე ინსტიტუტის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ წვეულებაზე გაუსვა ხაზი და აღნიშნა: „ჩემთვის, როგორც მეცნიერისათვის, სავსებით საკმარისი იქნებოდა ყველა ჩემი პუბლიკაციის სანაცვლოდ გამომეცა მხოლოდ ბესარიონ ნიჟარაძის ორტომეული, თუ რა თქმა უნდა ამას აუცილებლობა მოითხოვდა“-ო. აქ გამოჩნდა კულტურის ისტორიის კვლევაში წინამორბედთა მემკვიდრეობისადმი ალექსი რობაქიძის განსაკუთრებით ფაქიზი დამოკიდებულება.

ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მოღვაწეობისას ალექსი რობაქიძე დაინტერესდა აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის შესწავლითაც. მართალია, ამ თვალსაზრისით არსებობდა გარკვეული ტრადიცია (დიმიტრი ბაქრაძე, გიორგი ყაზბეგი, თედო სახოკია, ზაქარია ჭიჭინაძე, სტეფანე მენტეშაშვილი, ჯემალ ნოღაიდელი და სხვები), 1933 წელს მოეწყო პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციაც (ხელმძღვანელი გიორგი ჩიტაია), მაინც ამ მხარის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტების გეგმაზომიერი მეცნიერული კვლევა ალექსი რობაქიძისა და მისი მოწაფეების სახელთანაა დაკავშირებული. უპირველესად აღსანიშნავია ის, რომ მისი ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით ინსტიტუტში შემუშავდა ახლადგახსნილი ეთნოგრაფიის განყოფილების პრობლემატიკა, შედგა კონკრეტული სამუშაო გეგმა, განისაზღვრა მისი განხორციელების



გზები და ამოცანები. შემდეგ, დასახული ამოცანების შესაბამისად, ყოველწლიურად ეწყობოდა საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციები, რის შედეგად შეგროვდა დიდძალი მასალა. ამან კი შესაძლებელი გახადა ღრმა მეცნიერული კვლევა და მიღებული დასკვნების განზოგადება.

ალექსი რობაქიძემ დაამუშავა და გამოსცა საველე მუშაობისათვის განკუთვნილი გეგმა-კითხვარი, შექმნა ნაშრომთა სერია, რომლებშიც აჭარის მაგალითზე შეისწავლა დასახლების ფორმები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, ოჯახისა და საოჯახო ყოფის, პატრონიმიული ორგანიზაციის ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხები. ეს პრობლემები ადრე არ იყო სპეციალური კვლევის საგანი. მათ შესწავლას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო უნივერსალური და ზოგად თეორიული საკითხების გაშუქებისათვის, არამედ სამეურნეო და მატერიალური კულტურის ადრეულ ფორმათა დადგენისათვის, ჩვენი წინაპრების ძველი და უძველესი ცხოვრების წესის რეკონსტრუქციისათვის. ამ ტიპის მონაცემებს დღეს გვერდს ვერ აუვლის ვერცერთი იმ დარგის სპეციალისტი, რომელსაც მიზნად აქვს დასახული, როგორც უახლესი წარსულის ისტორიის, ისე კულტურის არქაული ფორმების კვლევა.

ბოლოს, ორიოდ სიტყვით, პატრონიმიული ორგანიზაციის შესახებ, რომელსაც ალექსი რობაქიძის მეცნიერულ კვლევა-ძიებაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ეკავა.

ცნობილია, რომ საზოგადოებრივი განვითარების ცალხაზობრივმა ევოლუციურმა გაგებამ, ხოლო ამის საფუძველზე შემდეგ საზოგადოებრივი წყობის განსაზღვრის ფორმაციულმა კლასიფიკაციამ სამეცნიერო ლიტერატურაში ბიძგი მისცა კაცობრიობის კულტურის ისტორიაში პირველყოფილი სოციუმის, როგორც სტადიურ-ფორმაციული წარმონაქმნის და შესაბამისად გვაროვნული ორგანიზაციის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური ბაზისური გაერთიანების, უნივერსალურ მოვლენად აღიარების ფაქტს. პრობლემის ამ კუთხით გაშუქებას ხელი შეუწყო გასული საუკუნის ცნო-

ბილი ისტორიკოსის, ანთროპოლოგისა და იურისტის ლუის ჰენრი მორგანის მიერ შემუშავებულმა ევოლუციურმა მოძღვრებამ. მანვე მოგვცა სოციალური ინსტიტუტების (ქორწინებისა და ოჯახის ფორმები...) – გვაროვნული სისტემების კლასიფიკაცია და ტიპოლოგიური დახასიათება. სწორედ მორგანის დებულებათა ძირითადი ნაწილი დაედო საფუძვლად მარქსიზმის კლასიკოსთა და მათი მიმდევრების კონსპექტებსა და გამოქვეყნებულ შრომებს, რომლებიც ეხებოდნენ ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხებს. ანალოგიური შეხედულებების ტყვეობის ქვეშ აღმოჩნდა ცნობილი მეცნიერი, კავკასიოლოგი მ. კოვალევსკი, რომელიც კავკასიის, მათ შორის ქართველი ხალხის ტრადიციული საზოგადოების ცხოვრების წესზე დაკვირვებით სწავლობდა მათ სოციალურ წყობასა და ადათობრივ სამართალს. მ. კოვალევსკიმ იმ დროს ევროპაში გავრცელებული თვალსაზრისები, მათ შორის ევოლუციური იდეები კავკასიის მაგალითზე მექანიკურად გადმოიტანა, რამაც შედეგად მოგვცა ე. წ. „გვაროვნული თეორიის“ შექმნა, კერძოდ არა თუ გამოითქვა თვალსაზრისი, არამედ უეჭველ ჭეშმარიტებად იქცა შეხედულება იმის შესახებ, რომ XIX საუკუნეშიც თითქოს კავკასიის მთიელები გვაროვნული ორგანიზაციის პირობებში ცხოვრობდნენ გვარისათვის დამახასიათებელი სოციალური ინსტიტუტებით. ასევე, ფიქრობდნენ, რომ აქ სახეზე გვქონდა არქაული ეპოქის რელიქტები, რის საფუძველზეც წინა პლანზე წამოიწია კიდევ ერთმა დებულებამ, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში „გადმონაშთების თეორიას“ უწოდებენ. გვაროვნულ თეორიას მიმდევრები გაუჩნდნენ არა მარტო უცხოელი კავკასიოლოგების სახით, უმეტესად რუსეთის სამეცნიერო წრეებიდან, არამედ საქართველოშიც. ევოლუციურმა იდეებმა ზენიტს რუსეთის იმპერიის სსრკ-დ მოდერნიზაციის შემდეგ მიაღწია და ფაქტობრივად არა მეცნიერულ, არამედ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ კონცეფციად იქცა. საბჭოთა პერიოდში ნაკლებ თუ უარყოფდა ვინმე კაცობრიობის კულტურის ისტო-

რიაში პირველყოფილი საზოგადოების (ფორმაციის), როგორც სტადიური წარმონაქმნის, რეალურად არსებობის ფაქტს. მეცნიერთა დიდი ნაწილი გამოკვლევებს აგებდა ფორმაციული კლასიფიკაციის საფუძველზე. ეს ავტორები სსრკ -ში შემაჯავალ ხალხებში, განსაკუთრებით იმპერიის „პროვინციებსა“ და პერიფერიებში ტრადიციული კულტურის მატარებელ ხალხებში, მათ შორის რუსულ თემებში, აღნიშნული წყობის ელემენტებს აფიქსირებდნენ.

მოგვიანებით მ. კოსვენმა ეთნოგრაფიულ პირობებში დააფიქსირა ახალი ტიპის სოციალური ორგანიზაცია, რომელსაც „პატრონიმია“ უწოდა, თუმცა მისმა და მისი მიმდევრების გამოკვლევებმა გვაროვნული თეორია კიდევ უფრო განამტკიცა, რადგან მ. კოსვენი პატრონიმიას გვაროვნული ორგანიზაციის შემადგენელ ნაწილად თვლიდა. მიუხედავად იმისა, რომ ალექსი რობაქიძე კაცობრიობის კულტურის ისტორიაში გვაროვნულ ორგანიზაციას უნივერსალურ მოვლენად მიიჩნევდა, მის უდავოდ დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ოჯახისა და პატრონიმიის სრულიად ახლებური გააზრების საფუძველზე მან დაძლია გვაროვნული თეორია, რომელიც კავკასიის ხალხების, მათ შორის ქართველი მთიელების სოციალურ-ეკონომიკური წყობისა და სოციალური განვითარების დონეს ხელოვნურად ამდაბლებდა. უკვე 60 -იან წლებში ამ პრობლემას ცენტრალურ საკავშირო ეთნოგრაფიულ ჟურნალში ცნობილი მეცნიერების მონაწილეობით რუსულ ენაზე სპეციალური დისკუსიაც კი მიეძღვნა, სადაც ქართველმა ისტორიკოსმა უაღრესად პრინციპული პოზიცია დაიკავა და ახალი ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე ორიგინალური თეორია შემოგვთავაზა.<sup>6</sup>

სწორედ ამ თეორიის არსებობამაც შეუწყო ხელი იმ ფაქტს, რომ პატრონიმიის და, საერთოდ, სოციალურ ორგანიზაციათა ტიპოლოგიის სფეროში ახალი, დებულებებიც

---

<sup>6</sup> А. И. Робакидзе. Особенности патронимической организации у народов горного Кавказа (в связи с вопросом о соотношении патронимии, рода и семьи).- СЭ, №5, М., 1968.

კი განვითარდა, რაც მეცნიერული აზრის დინამიკაზე, თავისუფლებასა და სიჯანსაღეზე მეტყველებს.

პატრონიმიული გაერთიანების გენეალოგიური ჯგუფები იმ სახით, როგორადაც ისინი აღიწერა კავკასიის ხალხთა მაგალითზე არის არა სტადიური, არამედ ნათესაური ორგანიზაციის, როგორც დამოუკიდებელი ტიპის სოციალური ერთობის, იერარქიაში სტრუქტურული წარმონაქმნები. რაც შეეხება პატრონიმიის გენეზისს, როგორც ჩანს, იგი უნივერსალური მოვლენა იყო, გარკვეული ფორმებით არსებობდა ყველა დროსა და ეპოქაში და მცირე და ფართო გენეალოგიური წარმონაქმნების სახით ახასიათებდა სეგმენტირებად ტრადიციულ საზოგადოებებს. თუ არა ალექსი რობაქიძის მიღწევები პატრონიმიული ორგანიზაციის კვლევის სფეროში, ალბათ ამ ბოლო თვალსაზრისის განვითარება ფაქტობრივად შეუძლებელი იქნებოდა და თუ ჩვენ ამ მხრივ განვითარებთ მეტ-ნაკლებად განსხვავებულ შეხედულებებს, ესეც ალ; რობაქიძის კვლევის ლოგიკურ გაგრძელებად მიგვაჩნია.

კავკასიის ხალხების, მათ შორის ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის განსაზღვრა ალექსი რობაქიძისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა. ამიტომაც იყო ამ პრობლემის გაშუქებაში იგი ასე აქტიურად რომ მონაწილეობდა. სამეცნიერო წრეებს კარგად მოეხსენებათ თუ რას ნიშნავს ცნებები „ფეოდალიზმი“, „პროტოფეოდალიზმი“, „მთური ფეოდალიზმი“ და თუ რაოდენ რთულია ამ პრობლემის მალალაკადე-

---

<sup>7</sup> დაწვრ. იხ.: Н. В. Мгеладзе. Формы социальной организации и система терминов родства в традиционной культуре грузинского народа (этнокультурные аспекты, историческая и локально-региональная специфика)-Автореферат докт. дис. М., 1992; ნ. მგელაძე, ნ. მასანოვი. სოციალურ ორგანიზაციათა ტიპოლოგიისა და მოდელირების თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემები.- კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში, 1, ბათ., 1996.

მიურ დონეზე გააზრება, პრობლემასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხზე მუშაობა.

ალექსი რობაქიძეს მემკვიდრე არ დარჩენია. მართალია გვიან, მაგრამ განგებამ მას მაინც შეახვედრა თბილი და მოსიყვარულე მეუღლე – ლინა ჩიტაიშვილი. რაოდენ ნიშანდობლივია, რომ ეს შეხვედრა სწორედ ბათუმში მოხდა, ალექსისა და ლინას მეგობრების – ბათუმელთათვის ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, აწ განსვენებული ლევან კალანდარიშვილისა და მისი მეუღლის ქალბატონ ნათელას ოჯახში. ლევანი ალექსის მოწაფე იყო, ხოლო ლინა ჩიტაიშვილი კალანდარიშვილთა ოჯახის მეგობარი. ლინა ჩვენთვის დღესაც ბათუმელია და ალექსი რობაქიძის მრავალრიცხოვან ბათუმელ მოწაფეებს ამჟამადაც ახსოვთ თბილისში მისი მფარველობა, სიტბო და ხელშეწყობა. ალექსისათვის კი მართლაც ბევრს ნიშნავდა ლინა, რომელმაც ამ კაცთან თანაცხოვრების პერიოდში ალექსის ცხოვრებით იცხოვრა და მას განსაკუთრებულ პირობებს უქმნიდა, რათა თავისი საღი მეცნიერული პოტენციალი არ შენელებულიყო და მიზნები უმოკლეს დროში განეხორციელებინა. ასეთი რამ კი სამწუხაროდ ყველას არ ხელეწიფება და ლოგიკური იყო ისიც ალექსიდან ლინას ესოდენ დიდი დაფასება რომ ჰქონდა, რაც მათ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ვლინდებოდა. აქ არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ ერთი შემთხვევა, რომელიც დღესაც ახსოვთ სამეცნიერო წრეებში. პატარა წვეულებაზე, რომელსაც წარმოადგენდა ალექსი რობაქიძე, ივანე გივინეიშვილი, მიხეილ ჩიქოვანი, შამშე მეგრელიძე და სხვები, პირველი სასმისით ალექსის სადღეგრძელო წარმოთქმულა, სადაც იგი საუკეთესო თვისებებით დაუნახსიათებიათ. ჯერი მიმდგარა პროფესორ შამშე მეგრელიძეზე, რომელსაც სიტყვა აუღია, ამდგარა და უთქვამს: „ბუნებრივია, რომ ვეთანხმები ალექსის ამდაგვარ დახასიათებას, იგი უდავოდ დიდი პიროვნება და მეცნიერია. ბათუმშიც ბევრი იარა სამეცნიერო საქმიანობის ფეხზე დასაყენებლად, ყოფილა, როცა ყოველ-

გვარი ანაზღაურების გარეშე უვლია, მაგრამ ნუ დაავიწყდება, რომ ლინას სახით მან ყველაზე დიდი ჰონორარი მიიღო.“ მოსწრებულ სიტყვას ყველანი გაუმხიარულდება.

ის ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია ალექსი რობაქიძეს, წარუშლელი შთაბეჭდილება დაუტოვებია მასზე. ალექსი რობაქიძემ პირნათლად შეასრულა მოქალაქეობრივი ვალი.



ალექსი რობაქიძე. მარცხნიდან მარჯვნივ: ნანული ჯავახაძე, ლია მელიქიშვილი, მელეა ქანთარია

მისი სახელი მარად იცოცხლებს სამეცნიერო წრეებში და, საერთოდ, ქართველ ხალხში, მანამ, სანამ ჩვენთვის ძვირფასი და ხელთუხლებელი იქნება ეროვნული კულტურის საგანძური. ამ დიდი კაცის ძალა მდგომარეობდა არა მარტო იმაში, რომ მან დაგვიტოვა უნიკალური სამეცნიერო მემკვიდრეობა,

შეიმუშავა სავსე მუშაობის მეთოდი და კვლევის მეთოდიკა, არამედ იმაშიც, რომ დატოვა მოწაფეები, დღეს მისი საქმის გამგრძელებელნი, რომელთათვის იგი ყოველთვის იყო სამაგალითო გონებით, ინტელექტით, კეთილშობილებითა და კაცობით. ასეთი კაცები კი სულიერად არ კვდებიან, უკვდავებას ეზიარებიან და მარადიულ ხსოვნაში აგრძელებენ არსებობას.

## ნანული ჯავახაძე

### ალექსი რობაქიძე და კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილება

კავკასიის პოლიეთნიკური მოსახლეობის კულტურისა და ყოფის საკითხების ქართულ-კავკასიური ურთიერთობის ჭრილში შესწავლა კავკასიათმცოდნეობაში დღემდე აქტუალური პრობლემაა. ამ ისტორიული რეგიონის მკვიდრთა ეთნოგენეტიკური და პოლიტიკურ-ეკონომიკური სიახლოვისა და ერთიანობის შესახებ იდეა სათავეს შორეულ წარსულში იღებს. კონცეფცია კავკასიის ხალხთა ნათესაობის შესახებ ეკუთვნის XI საუკუნის ქართველ მემატიანეს ლეონტი მროველს. კავკასიის პოლიკონფესიური ჯგუფების მრავალგვარი და ნაირსახოვანი გენეტიკური კავშირები, განვითარების ისტორიული პროცესების თანხვედრილობა, კულტურისა და ყოფის ტრადიციული ფორმების მსგავსება და ხანგრძლივი შემონახულობა განაპირობებდა ამ ხალხებს შორის კეთილმეზობლური თანამშრომლობის უძველეს ტრადიციებს.

საუკუნეების მანძილზე კავკასიის მრავალფეროვანი მოსახლეობის ეთნიკური და კულტურულ-ისტორიული ურთიერთობები რეალურ ისტორიულ საფუძვლებს ეყრდნობოდა. ერთი მხრივ, კავკასიის ეთნოსოციალური ჯგუფების ენათა ნათესაობა და, მეორეს მხრივ, კულტურისა და ყოფის ტრადიციული ფორმების მსგავსება დაედო საფუძვლად კავკასიის კონტრასტული მოსახლეობის კომპლექსურ შესწავლას ქართულ-კავკასიური ურთიერთობის ჭრილში. ფასეულ ღირებულებებს მიეკუთვნება ისეთი საკითხების შესწავლა, როგორცაა: იბერიულ-კავკასიურ ენათა ურთიერთობა, მატერიალური კულტურა, სამეურნეო ყოფა, ჩვეულებითი სამართლის ნორმები, ეკონომიკის ფორმები, სოციალური ურთიერთობის სფერო, სულიერი სამყარო რელიგიური რწმენა-წარმოდგენებით და სხვა მრავალი. ყოველივე ეს ითვალისწინებდა პოლიეთნიკური მოსახლეობის საზოგადო-

ებრივ ყოფაში ეთნოლოკალური თავისებურებების წარმოჩენას და კულტურათა შესწავლით საერთო კავკასიური ფენომენის გამოვლენას.

ჯერ კიდევ 1936 წელს, როცა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ენიმკის ინსტიტუტში შეიქმნა ეთნოგრაფიის განყოფილება (ხელმძღვანელი აკად. გ. ჩიტაია), ეთნოგრა-



სესიის მონაწილეები. გონიოს ციხე სიმაგრე. მარჯვნიდან მარცხნივ: ნანული ჯავახაძე, გიორგი თავაძაშვილი, ნუგზარ მგელაძე

ფიული კვლევა-ძიების ერთ-ერთ მიმართულებად ჩამოყალიბდა ქართულ-კავკასიურ კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობათა ეთნოგრაფიული შესწავლა. ამ მიმართულებით დიდი ხნის წინათ დაწყებულმა მუშაობამ საფუძველი მოუშადა კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების შექმნას.

1961 წლის ოქტომბერში ისტორიის ინსტიტუტის სა-

მეცნიერო საბჭოს შუამდგომლობითა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით ისტორიის ინსტიტუტში დაარსდა კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილება, რომლის უშუალო ინიციატორები და სულისჩამდგმელები იყვნენ პირველი ეთნოგრაფი დოქტორი ქალი რუსუდან ხარაძე და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ალექსი რობაქიძე. 30 წლის მანძილზე სიცოცხლის ბოლომდე (1990 წ.) ამ განყოფილების ყოველი პრობლემის იდეური და მეცნიერული ხელმძღვანელი და 40-მდე ეთნოგრაფიული ექსპედიციის ორგანიზატორი იყო პროფესორი ალ. რობაქიძე.

რ. ხარაძემ და ალ. რობაქიძემ, ორივემ ერთად, ფასდაუდებელი ამაგი დასდეს კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებას თემატიკის შემუშავებაში, კავკასიის მთელ რიგ სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთობლივი ექსპედიციების



მოწყობაში და კავკასიელ კოლეგებთან მჭიდრო მეცნიერული კონტაქტების დამყარებაში.

აღ. რობაქიძემ და რ. ხარაძემ იმთავითვე განსაზღვრეს კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების ძირითადი მიზნები და ამოცანები, რომელიც ასე ჩამოაყალიბეს:

1. ქართველ-კავკასიელთა ეთნიკური და კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის შესწავლა ძირითადად ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე: კულტურისა და ყოფის იმ მსგავსების დადგენა, რომელიც განპირობებულია კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის მონათესავე წარმოშობით, მათი ურთიერთ-კულტურული გამდიდრებით, ანალოგიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური საფუძველებით;

2. კავკასიის ეთნოგრაფიული მასალის მნიშვნელობის განსაზღვრა არა მარტო კავკასიის ხალხთა კულტურისა და ყოფის ისტორიისათვის, არამედ აგრეთვე ზოგადი ეთნოგრაფიისათვისაც – პირველყოვლისა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმების გენეზისისა და განვითარების გზების გაშუქება ზოგად-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით.<sup>8</sup>

ეს ორი მიმართულება წითელ ხაზად გაჰყვება კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების მუშაობას, ყოველი პრობლემის მეცნიერულ შესწავლას და ის დღემდე რჩება წამყვან მიმართულებად თანამშრომელთა მიერ რიგი საკითხის მეცნიერულ კვლევაში.

განყოფილების დამაარსებლებს კარგად ესმოდათ მეთოდოლოგიური ბაზის შექმნის აუცილებლობა ველზე მასალის ფიქსაციისათვის. „ეთნოგრაფიას, როგორც სამეცნიერო დისციპლინას – წერდა ალექსი რობაქიძე – განაპირობებს საგნობრივი საზღვრები, საკუთარი წყაროები და შესწავლის მეთოდი. ეს სამივე კომპონენტი ეთნოგრაფიული მასალის ზუსტი მეცნიერული ფიქსაციის საწინდარია.“<sup>9</sup>

<sup>8</sup> კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული (კეკ), №1, თბ., 1964, გვ., 4-5.

<sup>9</sup> აღ. რობაქიძე. ისტორიული მეცნიერების განვითარება საბჭოთა საქართველოში, თბ., 1986, გვ., 158.

აღ. რობაქიძე ეთნოგრაფიულ ფაქტს, სოციალურ მოვლენას თუ წეს-ჩვეულებას აანალიზებდა დინამიკაში, ისტორიული განვითარების პროცესში. ვ. გარდანოვისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში აღექსი რობაქიძე აღნიშნავდა: „საერთოდ არ არსებობს კარგი და ცუდი წეს-ჩვეულება ამა თუ იმ კონკრეტულ ხალხში. მხოლოდ დადებითი და უარყოფითი ელემენტების თვალსაზრისით გასათვალისწინებელია ქრონოლოგიური ჩარჩოები, რომლებიც კაცობრიობის ცივილიზაციისათვის თანაბარუფლებიანია.“

ხალხის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახულ თუ არსებულ ყველა მნიშვნელოვან ფაქტს, იქნებოდა ეს საცხოვრებელი ნაგებობა, სამეურნეო თუ საბრძოლო იარაღი, გასართობი სათამაშო თუ სხვა რამ, აღ. რობაქიძე განიხილავდა როგორც საზოგადოებრივ მოვლენას, რომელიც წარმოადგენს სოციალური ცხოვრების შესწავლის წყაროს სოციალურ ურთიერთვალდებულებათა ფონზე. ეს სოციალური კანონზომიერებანი განაპირობებენ ყოველი საზოგადოების ტრანსფორმაციის მექანიზმის სტადიალურობას. სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა განყოფილების ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული მასალის მეცნიერული დამუშავება, რომლის სპეციფიკა მის თემატიკურ გეგმაში აისახა. ყოველი საკითხი, არა მარტო სოციალური ურთიერთობის სფეროდან, არამედ მატერიალური კულტურის, სამეურნეო ყოფისა თუ სხვა, გაანალიზებული იყო სოციალური კუთხით, ისტორიული განვითარების პროცესში. ამ სპეციფიკით გამოირჩეოდა კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების პრობლემატიკა და დღესაც ამ მიმართულებით გრძელდება მუშაობა.

კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებამ იმთავითვე განსაზღვრა ეთნოგრაფიული კვლევის რეგიონი. ამოდიოდა რა საყოველთაოდ ცნობილი დებულებებიდან, რომ მთა ბართან შედარებით უფრო კონსერვატიულია და მტკიცედ ინარჩუნებს ყოფიერი კულტურის ტრადიციულ ფორმებს, აღ. რობაქიძემ განყოფილების პრობლემატიკა მთიანი კავკასიის

ეთნორეგიონების მეცნიერული შესწავლით დაიწყო. ქართულ-კავკასიური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების გამოვლენის მიზნით მოეწყო ეთნოგრაფიული ექსპედიციები ჩრდილოეთ კავკასიასა და კავკასიის სხვადასხვა კუთხეებში, კერძოდ: ინგუშეთში (1962-1964 წლები), ოსეთში (1966-1969 წლები), ჩეჩნეთში (1965, 1977-1978 წლები), ხევსურეთში (1965, 1974-1975 წლები), პანკისის ხეობაში (1965, 1970 წლები) თუშეთში (1972-1973 წლები), სვანეთში (1981-1982 წლები), სამეგრელო-აფხაზეთში (1983-1985 წლები), რაჭა-ლეჩხუმში (1986-1988 წლები) და სხვა. სწორედ ეს ექსპედიციები იყო განყოფილების თანამშრომელთა მეცნიერული წრთობისა და ზრდის სკოლა. ეთნოგრაფიული ექსპედიციების მომზადებისა და ველზე მუშაობის პროცესში ნათლად გამოიკვეთა ბატონი ალექსის, როგორც პირადი თვისებების პოზიტიური მხარე, ასევე მეცნიერული საქმიანობა – დაკისრებული სამუშაოსადმი ერთგულება და უდიდესი პასუხისმგებლობა: ექსპედიციაში გამგზავრების წინ სავალე მუშაობის თემატური გეგმის დამუშავება, მარშრუტის წინასწარი განსაზღვრა, მაღალი დისციპლინა, რაც გამოიხატებოდა ექსპედიციის ყველა წევრის მიერ მუშაობის რეჟიმის მტკიცედ დაცვაში, ექსპედიციაში მოპოვებული მასალის ველზევე დამუშავება და წინასწარი შედეგების სავალე სხდომებზე სისტემატიურ განხილვაში. ეს იყო ახალგაზრდა თაობის მეცნიერული აღზრდის შესანიშნავი სკოლა. ეთნოგრაფიული ექსპედიციები ერთობლივ ხასიათს ატარებდა. მათში მონაწილეობდნენ ჩრდილოეთ კავკასიის სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები, კოლეგები ინგუშეთიდან, ჩეჩნეთიდან, ოსეთიდან, ჩერქეზეთიდან და სხვა.

ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში მოპოვებულმა ახალმა, უნიკალურმა მასალებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს იმ მიზნებისა და ამოცანების აუცილებლობა, რომელიც განყოფილებას ძირითად მიმართულებად ჰქონდა დასახული –

ქართულ-კავკასიური ეთნოკულტურული ურთიერთდამოკიდებულების ეთნოგრაფიული შესწავლა.

კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების პრობლემატიკა მრავალფეროვანი იყო. თუმცა, თავდაპირველად, როცა განყოფილება ოთხი თანამშრომლით (ალ. რობაქიძე, რ. ხარაძე, მ. ქანთარია, მ. კედელაძე) იყო დაკომპლექტებული, სამეცნიერო ინტერესების სფერო შედარებით მცირე თემატიკით განისაზღვრებოდა. განყოფილების თანდათანობით შევსებამ (20 თანამშრომელი) ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებაც მრავალპლანიანი გახადა, რომელიც შემდეგში ძირითადი მიმართულებების სახით ჩამოყალიბდა. განყოფილების პრობლემატიკამ ფართო ხასიათი მიიღო და საკვლევი თემატიკა მრავალფეროვანი გახდა. მუშაობა ისეთი ძირითადი პრობლემების გარშემო გაიშალა, როგორც იყო მატერიალური კულტურა, სოციალური ურთიერთობანი და სამეურნეო ყოფა.

საკვლე-საექსპედიციო მუშაობის შედეგად მატერიალურ კულტურაში მოპოვებული მასალა საფუძვლად დაედო საცხოვრებელ ნაგებობათა ტიპოლოგიას, საცხოვრებლისა და დასახლების ფორმათა სოციალური ბუნების განსაზღვრას და მათ ზოგად კლასიფიკაციას კულტურულ-სამეურნეო ტიპოლოგიის ფონზე, მთურ საცხოვრებელ ნაგებობათა ძირითადი ნიშნების გამოყოფას, კოშკური კულტურის ტიპოლოგიას, მასში საერთო კავკასიური ნიშნების გარკვევას, საცხოვრებელ კომპლექსში კერის ადგილს და მის სოციალურ ბუნებას (ალ. რობაქიძე, თ. ჩიქოვანი, ვ. ითონიშვილი, ა. ქალდანი, გ. გეგეჭკორი, ვ. ჩიქოვანი).

ქართულ-კავკასიური ურთიერთობების ჭრილში სოციალური საკითხების შესწავლა სხვადასხვა კუთხით მიმდინარეობდა: სასოფლო თემი, ოჯახის ფორმები, დიდი ოჯახის სტრუქტურა, მმართველობის სისტემა, ოჯახის წევრთა ქონებრივ-უფლებრივი სტატუსი და სხვა მრავალი საკითხი, რომელმაც შემდეგ დამოუკიდებელი თემატიკის სახე მიიღო

(რ ხარაძე, ვ. ითონიშვილი, ლ. ფაშაევა, ს. ბახია) და გაიზარდა რეგიონალურად.

ნათესაობის სისტემაზე და ქორწინების ინსტიტუტზე ადრე დაწყებულმა მუშაობამ (რ. ხარაძე, ვ. ითონიშვილი) მაშტაბური ხასიათი მიიღო. კომპონენტური მეთოდის გამოყენებით ახლებურად გაშუქდა კავკასიის პოლიეთნიკური რეგიონის სოციალური ჯგუფების ნათესაობის სისტემის საკითხები. ისტორიულ-ტიპოლოგიური ანალიზით განისაზღვრა ნათესაობის ტერმინების კატეგორიები, დადგინდა ნათესაობის სისტემის ტიპები, რომელთაც საფუძვლად უდევს სოციალური ორგანიზაციის გარკვეული ფორმები. კავკასიის მოსახლეობის ნათესაობის სისტემის ტიპოლოგიურმა დახასიათებამ წარმოაჩინა ნათესაობის სისტემის ტრანსფორმაციის მექანიზმი (ოსეთის, ჩეჩნეთის, პანკისელი ქისტებისა და სხვათა მაგალითზე – ნ. ჯავახაძე).

ქორწინების ინსტიტუტის სტრუქტურულად გაანალიზებამ ახლებურად წარმოაჩინა საქორწინო ურთიერთობის ცალკეული ასპექტი – ნიშნობის სახეები, მზითევი, სათაგნო, საქორწინო უფლებრივ-ქონებრივი ნორმები, საქორწინო რიტუალი და სხვა კომპონენტების გავრცელების არეალი ქართულ-კავკასიური ურთიერთობის ჭრილში (ლ. მელიქიშვილი).

განყოფილების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება ისეთი ნათესაური გაერთიანებების შესწავლა, რომელიც პატრონიზმის სახელით არის ცნობილი. წარმოადგენდა რა პატრონიზმია ზოგად კავკასიურ მოვლენას, ალ. რობაქიძე მას განიხილავდა მატერიალურ კულტურასთან – დასახლება და საცხოვრებელი ნაგებობა – კომპლექსში. საველე მუშაობის შედეგად კონკრეტულ, ბუნებრივ-ისტორიულ მოვლენათა გათვალისწინებით გამოვლინდა მთიანი კავკასიის მკვიდრ მოსახლეობაში პატრონიზმიული დასახლების განსხვავებული ვარიანტები, როგორცაა ინგუშური, ოსური, ბალყარული, აფხაზური, საქართველოს მთიანეთისათვის დამახასიათებელი სახეები. ყველა

ეს ვარიანტები გამოხატავენ პატრონიმიული დასახლების თანმიმდევრულ ეტაპებს. რაც მთავარია, ალ. რობაქიძის უშუალო დამსახურებაა ამ უნივერსალური ორგანიზაციის სოციალური ბუნების ახლებური ახსნა. კერძოდ, პატრონიმია არა გვარის დაშლის შედეგად წარმოქმნილი ნათესაური გაერთიანებაა, როგორც ეს ადრე იყო მიღებული, არამედ იგი დიდი ოჯახის განვითარების, მისი სეგმენტაციის პროდუქტია და ამიტომ გვიანდელი მოვლენაა.

პატრონიმიული ორგანიზაციის კვლევა ზოგად კავკასიური ურთიერთობის ჭრილში კარდინალური საკითხი გახდა როგორც ალ. რობაქიძის სამეცნიერო საქმიანობაში, ასევე განყოფილების პრობლემატიკაში. მატერიალურ კულტურაზე, სამეურნეო ყოფაზე და სოციალური ურთიერთობის საკითხებზე მომუშავე თანამშრომელთა თემატიკაში მან მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. საექსპედიციო კვლევა-ძიება ამ მიმართულებით გაიშალა და გაფართოვდა რეგიონალურად. განსაკუთრებით ყურადღება გამახვილდა პატრონიმიის დასავლურ-ქართულ (მეგრულ-აფხაზურ) ვარიანტებზე. განყოფილების თემატიკაში წლების მანძილზე მიმდინარეობდა მუშაობა მეგრულ-აფხაზურ პატრონიმიაზე, მისი სოციალური ბუნების ახსნაზე, პატრონიმიის იდეოლოგიურ, სამეურნეო და სხვა ერთიანობაზე, მფლობელობის ფორმების თავისებურებაზე (ს. ბახია). პატრონიმიასთან, დასახლების ფორმებთან მიმართებაში განიხილებოდა საქართველოსა და კავკასიის მთიან რეგიონებში მმართველობის სისტემა და სოფლის საკრებულოს ადგილი დასახლების სტრუქტურაში (გ. ჩიქოვანი). ქართულ-კავკასიური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების ხაზით ერთ-ერთ საყურადღებო პრობლემას წარმოადგენს სამეურნეო ყოფა. მეურნეობის ტრადიციული ფორმების, მიწათმოქმედების კულტურის შესწავლა მიწათმოქმედების (მემინდვრეობის) კულტურაში ითვალისწინებდა ხალხური აგროკულტურის ძირძველი ტრადიციების, შრომის ორგანიზაციის ფორმების, მარცვლეული კულტურის სელექციის წესების, სახვნელი

იარაღების ადაპტირების, წეს-ჩვეულებათა რთული სისტემის, მიწათმოქმედების ხვედრითი წილის და სხვათა განხილვას. მიწათსარგებლობისა და მიწაზე საკუთრების (კერძო და სათემო) ფორმების შესწავლა გულისხმობდა მთლიანობაში სამიწათმოქმედო კულტურის სოციალური არსის ახსნას, რომელიც განყოფილების პრობლემატიკის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა.

მესაქონლეობაში გარდა ტრადიციული საკითხების შესწავლისა (ბ. გამყრელიძე) – წლიური ციკლი, ვერტიკალური ზონალობის პრინციპით საქონლის დამხმარე სადგომების განლაგება, მწყემსობის ორგანიზაცია, მესაქონლეობის პროდუქტის რეალიზაცია და სხვა, რომელსაც გააჩნდა როგორც ეკონომიკური მხარე, ასევე საზოგადოებრივი ყოფისათვის დამახასიათებელი ლოკალური თავისებურებანი, ყურადღება ექცეოდა მესაქონლეობის სოციალური ბუნების ახსნას და ამ მიზნით მიწაზე საკუთრების ფორმების შესწავლას.

განყოფილებაში გაგრძელდა ადრე დაწყებული სამუშაო მეურნეობის ისეთ დარგზე როგორცაა ნადირობა (ალ. რობაქიძე). საქართველოს მთიანეთში და ჩრდილო კავკასიაში მოპოვებული საველე მასალების საფუძველზე შესწავლილია ნადირობის უძველესი ფორმები, საშუალებები, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, გამოვლენილია საერთო კავკასიური ელემენტები მეურნეობის ამ უძველეს დარგში (ლ. ლევიძე).

რეგიონალური მიმართულება მიეცა კავკასიის პოლიკონფესიური ჯგუფების სულიერი კულტურის შესწავლას. რელიგიური დღესასწაულებისა და წეს-ჩვეულებების ასპექტების განხილვამ გამოავლინა ზოგად კავკასიური ფენომენი. ამ მხრივ საინტერესო მასალებია მოძიებული ქართული ალერტის, ინგუშური გალერდისა და ოსური ალარდის ურთიერთმიმართების მხრივ (ლ. ხუციშვილი). შესწავლილია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში რელიგიური სინკრეტიზმის პრობლემა, ასტრალური კულტის გადმონაშთები,

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა და ვაინახელთა ადა-  
თობრივი სამართლის რელიგიური ასპექტები (ნ. ჯალაბაძე).

აღ. რობაქიძეს არ დარჩენია სამეცნიერო ინტერესთა  
სფეროს მიღმა საქართველოში მაცხოვრებელი სხვადასხვა  
ეთნიკური ჯგუფების ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება. არაქარ-  
თული მოსახლეობის ეთნიკური და მიგრაციული პროცე-  
სების შესწავლა შესაბამისად აისახა განყოფილების თემა-  
ტიკაშიც. მათ რიცხვს მიეკუთვნება წალკელ ურუმთა და  
ქურთების ყოფისა და კულტურის საკითხები (ლ. ფაშაევა),  
პანკისელი ქისტების ჩამოსახლება, მატერიალური კულ-  
ტურა, მეურნეობის ფორმები, საოჯახო ყოფა, რელიგიური  
წარმოდგენები და სხვა (ლ. მარგოშვილი). დღეს განყოფი-  
ლებაში ეთნოსოციალური პროცესების შესწავლას უფრო  
ფართო ხასიათი მიეცა. ეთნიკური პროცესების რევიონა-  
ლურმა შესწავლამ მოიცვა საქართველოს არაქართული  
მოსახლეობის გარკვეული ნაწილი: საქართველოს ოსები (ბ.  
გამყრელიძე), კახეთში –ხუნძები (ნ. ომარაშვილი), შიდა  
ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში –სომხები (ლ. მღებრი-  
შვილი, ლ. ჯანიაშვილი), შიდა ქართლში –ასირიელები და  
ქვემო ქართლში –აზერბაიჯანელები (ეკ. რობაქიძე, ი. ჯუკ-  
აშვილი), დაღესტნელი ოქრომჭედლები თბილისში (ნ.  
აბაშიძე).

კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებამ მნიშვნელოვანი  
წვლილი შეიტანა კავკასიის მთიელთა საზოგადოებრივი  
ყოფის თავისებურებების გამოვლენაში. როგორც ცნობილია,  
რუსულ და ქართულ ისტორიოგრაფიაში კავკასიის და  
საქართველოს მთიელთა საზოგადოებრივი განვითარების უძ-  
ველეს საფეხურად აღიარებული იყო გვაროვნული წყობი-  
ლება. ამას განაპირობებდა ყოფიერ კულტურაში შემონახუ-  
ლი არქაული გადმონაშთები, რაც თავისთავად გვიან-  
ფეოდალურ ხანაში გვაროვნული წყობის ცოცხალი ტრა-  
დიციის არსებობას გულისხმობდა.<sup>10</sup> ამ აზრის პარა-

---

<sup>10</sup> კრებული რ. ხარაძისადმი მიძღვნილი, თბ., 1985, გვ., 13.



ლელურად XIX საუკუნის კავკასიათმცოდნეობით ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსაზრება იმის შესახებ, რომ კავკასიისა და საქართველოს მთიანეთში ფეოდალური ურთიერთობა არსებობდა შუასაუკუნეებში.<sup>11</sup>

ახალი ეთნოგრაფიული მასალებისა და წერილობითი წყაროების მონაცემებზე დაყრდნობით რ. ხარაძემ და ალ. რობაქიძემ არგუმენტირებული მოსაზრება გამოთქვეს იმის შესახებ, რომ საქართველოს მთიანეთში XIX საუკუნეში გვაროვნული წყობილება განვლილი ეტაპი იყო და უკვე არსებობდა გარკვეული ნიშნები კლასობრივი სტრუქტურისა. გვაროვნული წყობილების გადმონაშთების პარალელურად კლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ელემენტების არსებობა ყველაზე ნათლად მიწათმფლობელობის, მიწათსარგებლობისა და საკუთრების ფორმებში შეინიშნება.<sup>12</sup>

წარსულის მრავალსახოვან კომპონენტებს შორის კულტურისა და ყოფის პირველადი და გადმონაშთური ფორმების განსხვავებას ალ. რობაქიძემ სპეციალური წერილი მიუძღვნა,<sup>13</sup> სადაც კავკასიური მასალის საფუძველზე განხილულია გადმონაშთების ტრანსფორმაციის გზები სოციალური ურთიერთობის სფეროში, მატერიალურ კულტურაში და რელიგიური აზროვნების სამყაროში.

კავკასიის მთიელებში ფიქსირებული მდიდარი ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე ალ. რობაქიძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა „მთური ფეოდალიზმის“ ბუნების გარკვევაში. როგორც იგი აღნიშნავდა, ფეოდალური ურთიერთობა მსოფლიოს ყველა ხალხში სტერეოტიპულად არ მეორდება. მათ გააჩნიათ მრავალფეროვნება, რომელიც ვლინდება ეთნოლოკალურ თავისებურებებში. ფეოდალურ

---

<sup>11</sup> იქვე, გვ., 15.

<sup>12</sup> რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე. სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964; მათივე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965.

<sup>13</sup> კეკ, IV, თბ., 1972.

რამდე არსებული სოციალური ინსტიტუტების არსებობა ქმნიდა საზოგადოების იმ სპეციფიკურ სახეს, რომელიც თავისი სტრუქტურით ახლოს დგას მთურ ფეოდალიზმთან. ამ საკითხთან დაკავშირებით წერილები გამოქვეყნებულია „იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში“<sup>14</sup>.

მიაჩნდა რა ეთნოგრაფიული მასალა პირველწყაროდ ამა თუ იმ საკითხის გაშუქებაში, ალ. რობაქიძე ყურადღებას ამახვილებდა ეთნოგრაფიული მონაცემების თეორიულ ასპექტებით განხილვაზე. ამიტომ კავკასიის პოლიეთნიკური რეგიონის კულტურისა და ყოფის განსხვავებული თუ მსგავსი ფორმების შესწავლაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა შედარებით-ისტორიულ ანალიზს იმ კანონზომიერების გამოსავლენად, რომელიც კავკასიის მოსახლეობის მრავალგვარი და ხანგრძლივი კულტურულ-ისტორიული ურთიერთობებით იყო განპირობებული.

განყოფილების სამეცნიერო ინტერესების სფერო მარტო ჩრდილოეთ კავკასიის შესწავლით არ შემოიფარგლებოდა. ალ. რობაქიძემ პრობლემატიკა გააფართოვა მცირე კავკასიონის თემატიკით. ამან შექმნა სომეხ და აზერბაიჯანელ კოლეგებთან მჭიდრო კონტაქტების დამყარების აუცილებლობა. ამ მიზნით 1965 წელს მოეწყო ერთობლივი ექსპედიცია საქართველოში მოსაზღვრე რაიონებში (დმანისი, ბოლნისი), რომელშიაც მონაწილეობდნენ ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ეთნოგრაფები (თ. ჩიქოვანი –ხელმძღვანელი, ლ. ფაშაევა, გ. ჩიქოვანი, ს. ბახია, ა. სინარულიძე, დერენიკ ვარდუმიანი, იავარ რუსტამოვი და ბიბიხანიმ ალიევა).

დაგროვილმა ფაქტობრივმა, ეთნოგრაფიულმა მასალამ განაპირობა მისი ისტორიული გაანალიზების აუცილებლობა და განყოფილების ზოგადი ეთნოგრაფიის პრობლემით დაინტერესება. გეგმაში შეტანილი იქნა ისეთი თემები, როგორცაა სავსე ეთნოგრაფიული მეთოდის (ნ. ჩინჩალა-

---

<sup>14</sup> ზ. ანაბაძესთან ერთად, ტ. XVIII, 1973; შდრ. ცმ-ს, №2, 1978.

ძე) და შედარებითი მეთოდით ქართულ-ბასკური პარალელების შესწავლა (ს. გაბუნია). ამ ხაზით თემატიკის გაფართოებამ განაპირობა 1989 წელს განყოფილების ბაზაზე ეთნოგრაფიის თეორიისა და ისტორიის საპრობლემო ჯგუფის შექმნა ალ. რობაქიძის ხელმძღვანელობით.<sup>15</sup> ზოგადი ეთნოგრაფიის პრობლემებით დაინტერესება განყოფილებაში დღემდე აქტუალურია და მისი თემატიკაც მრავალფეროვანი (ქ. ხუციშვილი).

ალ. რობაქიძის ხელმძღვანელობით განყოფილებაში დაიწყო მუშაობა თანამედროვე ყოფაზე, ტრადიციის ადგილის, მისი ისტორიული ასპექტების, მავნე გადმონაშთების გამოვლენის გზებისა და მათთან ბრძოლის (ვ. ჩიქოვანი), თანამედროვე დღესასწაულების (მ. ვარაზაშვილი) შესახებ.

ალ. რობაქიძემ დაჯილდოვებულმა მაღალი ინტელექტითა და მოვლენათა გაანალიზების უბადლო ნიჭით უდიდესი წვლილი შეიტანა ქართულ ეთნოგრაფიაში ქართულ-კავკასიური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების ისეთ მიმართულებად ჩამოყალიბებაში, როგორცაა ქართულ-ვაინახური, ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური ეთნოგრაფიული პარალელები. ამ ხაზით მეცნიერული მუშაობა ხორციელდებოდა ერთობლივი ეთნოგრაფიული ექსპედიციების ბაზაზე, რომელშიაც მონაწილეობდნენ აღნიშნული რეგიონების სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები, კოლეგები. განყოფილების თანამშრომელთა მრავალნაშრომს და მონოგრაფიას საფუძვლად დაედო ზემოთჩამოთვლილი ეთნოგრაფიული პარალელების მიზნით მოწყობილი ექსპედიციის მასალები, რომელთა რედაქტორიც იყო ბატონი ალექსი. ეთნოგრაფიული პარალელების შესწავლას მიეძღვნა რესპუბლიკური სესიები და რაც მთავარია, დამყარდა პირადი და მეცნიერული კონტაქტები ეთნოგრაფ-კოლეგებთან.

---

<sup>15</sup> ჯგუფი დაკომპლექტდა შემდეგი შემადგენლობით: ვ. ჩიქოვანი, ს. გაბუნია, ნ. ჩინჩალაძე, ვ. შუბითიძე, შ. ქურციკიძე.

აღ. რობაქიძის ხელმძღვანელობით განყოფილების თანამშრომელთა უმრავლესობამ დაიცვა დისერტაციები ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების ნაყოფიერი სამეცნიერო და საექსპედიციო მუშაობის შედეგია კავკასიის ეთნოგრაფიული კრებულების (7 ტომის 3 ნაკვეთით) გამოცემა. კრებულებში გამოქვეყნებულია ექსპედიციებში მოპოვებული ახალი, უნიკალური მასალა, მეცნიერული ღირებულების ფაქტები. კრებულები რეგიონულ ხასიათს ატარებენ და ეძღვნება მთა ინგუშეთის, ოსეთის, ჩეჩნეთის, პანკისის ხეობის, სამხრეთ საქართველოსა და საქართველოს სხვადასხვა ეთნოგრაფიულ კუთხეებს. გამოცემულმა კრებულებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა ყოფილი საბჭოთა კავშირის ეთნოგრაფთა ფართო წრეში. აღსანიშნავია გამოხმაურება, რომელიც კავკასიის ეთნოგრაფიული კრებულის II ტომმა დაიმსახურა გროზნოდან, ვ. ვინოგრადოვისაგან: „კვლავ და კვალ გადავიკითხავ „კეკ“-ს და ვფიქრობ, რა კარგია, რომ იგი არსებობს.“ კრებული მთა ინგუშეთის ყოფისა და კულტურის საკითხებს ეხება.

„გენიალური გამჭრიახობა“ (მ. კოსვენის შეფასებით), მაღალი ინტელექტი, ღრმა მეცნიერული ალღო, მოვლენათა გაანალიზების უბადლო ნიჭი – ეს თვისებები ახასიათებდა აღ. რობაქიძეს როგორც პიროვნებასა და მეცნიერს. კავკასიის ხალხთა კულტურისა და ყოფის უდიდესმა სპეციალისტმა და თვალსაჩინო მკვლევარმა ჩრდილო კავკასიის კოლექციებისაგან უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. მას უწოდეს კავკასიათმცოდნეთა პატრიარქი (ვ. ვინოგრადოვი).

აღ. რობაქიძის უდიდესმა შეფასებამ, ასევე პიროვნულმა ღირსებამ განაპირობა ასპირანტთა და მაძიებელთა მოზიდვა კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებაში. შეუზღუდველი იყო მსურველთა გეოგრაფიული რეგიონი – აზერბაიჯანი, სომხეთი, დაღესტანი, ჩერქეზეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ჩეჩნეთ-ინგუშეთი, ოსეთი, აფხაზეთი და სხვა, რომ არაფერი

ვთქვათ მის ღვაწლზე ეროვნული კადრების მომზადებაში და იმ უამრავ კონსულტაციებზე, რომელსაც უწევდა ალ. რობაქიძე პოლონელ, ბულგარელ, უნგრელ, ჩეხოსლოვაკიელ და რუს მეცნიერებს. ყველანი ისინი დიდ მადლიერებას გამოთქვამდნენ პატივცემული მეცნიერის მიმართ. ალექსი რობაქიძე იყო მრავალი დისერტაციის ოფიციალური და არაოფიციალური ოპონენტი, იმ საკვალიფიკაციო ნაშრომებისა, რომლებიც კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებაში იყო აპრობირებული.

კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილება განაგრძობს ბატონი ალექსის მიერ დაწყებულ საქმეს. მართალია, დღეს მძიმე პოლიტიკურმა სიტუაციამ, რაც საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა შედეგად, გავლენა იქონია როგორც სამეცნიერო პრობლემატიკაზე, ასევე სამეცნიერო კონტაქტებზე, რომელიც კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებას წლების მანძილზე ჰქონდა კავკასიის მთელ რიგ სამეცნიერო ცენტრებთან, მაგრამ განყოფილებამ შეინარჩუნა ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც ითვალისწინებდა კავკასიის პოლიეთნიკური ჯგუფების ყოფისა და კულტურის საკითხების კვლევას საერთო კავკასიური ურთიერთობის ჭრილში.

განყოფილების თემატიკაში წინა პლანზე წამოიწია ისეთმა პრობლემებმა, რომლებიც ეხება პოლიეთნიკურ საზოგადოებაში კონფლიქტების ეთნოგრაფიულ შესწავლას (ხელმძღვანელი ლ. მელიქიშვილი) და საქართველოს არაქართული მოსახლეობის ეთნოგრაფიას (ხელმძღვანელი ბ. გამყრელიძე). თემატიკა ითვალისწინებს თანამედროვეობისთვის საჭირო როგორც საკითხების განხილვას: სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების თანაარსებობა, ადაპტაციის პროცესები, კონფესიურობა, ნათესაობისა და რელიგიის როლი პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, მიგრაციულ-ემიგრაციული პროცესები, სხვადასხვა ეთნოსოციალური ჯგუფების ჩამოსახლება-განსახლების ხასიათი და ძირითადი ფაქტორები და სხვ. ამრიგად, კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილება აგრძე-

ლებს სამეცნიერო საქმიანობას იმ მიმართულებით, რომელიც ჩადებული იყო მისი შემქმნელების რუსუდან ხარაძისა და ალ. რობაქიძის მიერ.

საბოლოოდ მინდა აღვნიშნო, რომ კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილება იყო ალ. რობაქიძის მეცნიერული და შეგნებული ცხოვრების ნახევარი. ამიტომაც, ჩვენი, მისი მოწაფეების ვალია ალ. რობაქიძის მიერ შექმნილი კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებას შევუნარჩუნოთ მისი მეცნიერული სახე, რაც იქნება მისი დაწყებული საქმისა და სახელის უკვდაყოფა.

პროფესორ ალექსი რობაქიძის მეცნიერული ღვაწლი<sup>16</sup>

ეთნოგრაფიული მეცნიერების უახლოესი წარსული და თანამედროვე მდგომარეობა ხასიათდება ემპირიული მონაცემების თეორიული გააზრების გაძლიერების ტენდენციით, სამეცნიერო მოღვაწეობის მეთოდოლოგიური მხარეების განვითარებით, ეთნიკური სიტუაციის, ეთნიკური რეალობის კვლევის აუცილებლობით. გასაგებია, რომ ამ პრობლემათა ეთნიკური ასპექტების შესწავლა და წარმოჩენა უპირველესად ეთნოგრაფთა ამოცანას წარმოადგენს.

ამჟამად უკვე იკვეთება იმ პრობლემათა ნუსხა, შესაბამისად კი იმ პრიორიტეტულ მიმართულებათა შერჩევა, რომელთა გადაწყვეტა მოუხდებათ ეთნოგრაფებს მომავალ წლებში და ჩვენი საუკუნის დასასრულამდე. ეს პერსპექტიული პრობლემებია: ეთნიკური ფაქტორის როლი, როგორც „ადამიანის ფაქტორის“ ერთ-ერთი ასპექტი სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების რეალიზაციის, სოციალური ურთიერთობების სრულყოფისა და დაჩქარების საქმეში, ერთაშორის ურთიერთობის ოპტიმიზაცია, ეთნიკური პროგნოზირების მეთოდი და მათი მართვა, მოქალაქეთა სრულ-

---

<sup>16</sup> თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის კათედრის გამგის, პროფესორ ვანტანგ შამილაძის ეს ნაშრომი, რომელიც 1989 წელს კრებულ „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურაში“ (XVI, თბ., 1989), დაიბეჭდა სათაურით „საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიოგრაფიის ზოგიერთი საკითხი პროფ. ალ. რობაქიძის მეცნიერული შემოქმედების შუქზე“, გარკვეული სახეცვლილებებით ჩვენს გამოცემაში გადმოვბეჭდეთ, რადგან მასში საინტერესოა მიმოხილული ალექსი რობაქიძის ის ღვაწლი, რომელიც მას მიუძღოდა სამამულო ეთნოგრაფიისა და, საერთოდ, კავკასიის ხალხთა კულტურის ისტორიის შესწავლაში. მართალია იგი დაწერილია საბჭოთა მმართველობის პერიოდში, მაგრამ, მაინც, მასში დასმული პრობლემები თანამედროვე ეტაპზეც არანაკლებ აქტუალურია –**რედაქტორი.**

ფასოვანი აღზრდა, თანამედროვე ეთნოგრაფიის განვითარების კრიტიკული ანალიზი, – თუმცა ინტენსიური კვლევა ამ მიმართულებებით სრულიადაც არ ნიშნავს ეთნოგრაფიის სხვა – კლასიკური პრობლემების, მათ შორის მსოფლიოს ხალხთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის კვლევის უკანა პლანზე გადაწევას. პირიქით, ისტორიულ-ეთნოგრაფიული სიუჟეტების კვლევის მიზანშეწონილი შეხამება თანამედროვეობის ზემოაღნიშნულ პრობლემებთან ხელს შეუწყობს ეთნოგრაფიის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის მეტად საჭირო და აუცილებელ საქმეს.

ეთნოგრაფიის წინაშე მდგარი ეს სადღეისო პრობლემები ახალ ამოცანებს სახავს ქართველ ეთნოგრაფთა წინაშეც. საყოველთაოდაა ცნობილი ის ღირსეული წვლილი, რომელიც შეჰქონდა და შეაქვს ქართულ ეთნოგრაფიულ სკოლას ზოგადად ეთნოგრაფიის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტაში. მართლაც, განვლილ პერიოდში ეთნოგრაფიის წინაშე არ წამოჭრილა რეგიონალური თუ ზოგად-თეორიული, პრაქტიკული თუ მეთოდოლოგიური ხასიათის არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პრობლემა თუ მიმართულება, რომელთა გადაწყვეტაშიც ქართველ ეთნოგრაფებს არ ეთქვათ თავიანთი ავტორიტეტული სიტყვა. ქართველ ეთნოგრაფთა ავანგარდული როლი განსაკუთრებული ძალით იჩენს თავს თანამედროვეობის ეთნოგრაფიის კვლევა-ძიების საქმეში.

ეთნოგრაფიის ამ წამყვანი პრობლემის შესწავლას დიდი ღვაწლი დადო პროფესორმა ალექსი რობაქიძემ. საქართველოს სამრეწველო მუშათა, კერძოდ, ჭიათურის მაღაროელთა ყოფისა და კულტურის პრობლემებისადმი მიძღვნილი მონოგრაფია - «Некоторые стороны быта рабочих Чиатурской марганцевой промышленности» (Тб., 1953), აგრეთვე ახალი ყოფის ამსახველი სხვა სპეციალური ნაშრომები «Некоторые черты семейного быта Чиатурских горняков (СЭ, №4, М., 1953); «Современное грузинское крестьянское жилище» (მას. საქ. ეთნოგრ. X, თბ., 1959); «Некоторые черты современного груз.



зинского крестьянского жилища (СЭ, №1, М., 1961) – ეთნოგრაფიაში ამ თემატიკის განვითარების პირველ და წარმატებულ ცდას წარმოადგენდა. ავტორის მიერ მრავალრიცხოვან ექსპედიციებში მოპოვებული დიდძალი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე აღნიშნულ მონოგრაფიასა და ნაშრომებში ნაჩვენებია ჭიათურელ მაღაროელთა საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის ძირითად სფეროებში მომხდარი ცვლილებები, ქართული ხალხური საცხოვრებლის განვითარებისა და ტრანსფორმაციის თავისებურებები, ამ პროცესების განმაპირობებელი ფაქტორები, ზოგადი კანონზომიერებანი და ის ეთნოსპეციფიკური ნიშანთვისებანი, რომლებიც ახასიათებდა კულტურისა და ყოფის ახალი ფორმების ჩამოყალიბებას საქართველოში. საყურადღებოა, რომ ალ. რობაქიძის მონოგრაფია და ნაშრომები გამოირჩევიან არა მარტო დასახელებული საკითხების ემპირიული ასპექტის კვლევით, არამედ ახალი ყოფის შესწავლის თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხების დაყენებითა და გადაწყვეტით, რასაც არ შეიძლებოდა არ მიექცია სათანადო სპეციალისტების ყურადღება. სწორედ ამით აიხსნება, რომ ამ ნაშრომებმა მაღალი შეფასება მიიღო როგორც რესპუბლიკურ, ასევე საკავშირო პრესაში და ითარგმნა უცხო ენებზე. შემთხვევით არ წერდა ჟურნალი „საბჭოთა ეთნოგრაფია“, რომ ქართველი ეთნოგრაფების მიერ წამოწყებულია თანამედროვეობის ეთნოგრაფიული შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემის კვლევა. შესრულებულია დიდი მოცულობის კვლევითი სამუშაო და საბჭოთა პერიოდის ყოფისა და კულტურის შესწავლა ფართო პერსპექტივებს სახავს შემდგომი ჩაღრმავებული კვლევისათვის<sup>17</sup>.

დასახელებულ მონოგრაფიასა და თანამედროვეობის ეთნოგრაფიის პრობლემებზე რესპუბლიკურ და საკავშირო, აგრეთვე უცხოურ სამეცნიერო გამოცემებში გამოქვეყნებულ

---

<sup>17</sup> იხ.: Итоги этнографических исследований по изучению современного быта.-СЭ, №3, М., 1954.

გამოკვლევებში წამოყენებულმა პრაქტიკულმა და თეორიულმა დებულებებმა მყარი ადგილი დაიმკვიდრეს ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში.

ქართული ეთნოგრაფიის ფორმირებისა და ჩამოყალიბების პირველსავე წლებში ჩაეყარა საფუძველი ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების ყველა იმ კლასიკურ მიმართულებას, რომლებიც ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის, მატერიალური და სულიერი კულტურისა თუ სოციალური ურთიერთობების კარდინალურ მხარეებს შეეხებოდა. გაიშალა ტოტალური მასშტაბის საველე-ეთნოგრაფიული და კამერალური კვლევა-ძიება, რომლის შედეგადაც უაღრესად ვრცელი და მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული მასალების მეცნიერული ანალიზისა და ინტერპრეტაციის პროცესში ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის უმთავრესი ასპექტები ახალი თეორიული და მეთოდოლოგიური მსოფლმხედველობის თვალთახედვით იქნა გაშუქებული.

ქართულ ეთნოგრაფიაში ამ მიმართულებით წამოწყებული კვლევა-ძიების მნიშვნელოვანი ნაწილი ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ტრადიციული ელემენტების შესწავლას მიეძღვნა, რომელშიც პროფესორ ალ. რობაქიძის მეცნიერულ მემკვიდრეობას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. მონოგრაფიაში – „კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში“ (თბ., 1941) – ახალი ეთნოგრაფიული მასალების, ისტორიულ-არქეოლოგიური, ფოლკლორული და ლინგვისტური მონაცემების ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია ქართველი ხალხის მონადირეობის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმები, კოლექტიური ნადირობის სხვადასხვა ხერხები და საშუალებები, სამონადირეო იარაღ-ინვენტარი, მონადირის აღჭურვილობა, ნანადირევის დამუშავება-განაწილება და მეურნეობის ამ დარგთან დაკავშირებული სხვა კულტურულ-ისტორიული მონაპოვრები.

მეურნეობის ასევე ტრადიციული დარგის – მეფუტკრეობის შესწავლისადმია მიძღვნილი ალ. რობაქიძის მონოგრაფიული გამოკვლევა „მეფუტკრეობის ისტორიისათვის“ (თბ., 1960), რომელშიც მრავალფეროვან საველე ეთნოგრა-

ფიულ მონაცემებზე დაყრდნობით გამოვლენილი და შესწავლილია მეფუტკრეობის ჩასახვისა და განვითარების საკითხები ზოგადი და კავკასიის ეთნოგრაფიის ჭრილში, დაზუსტებულია შინაური მეფუტკრეობის წარმოშობის ქრონოლოგიური ჩარჩოები, განვითარების ძირითადი ეტაპები და მისი ადგილი ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფაში.

მაგრამ ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის მეცნიერული კვლევის ინტერესები ალ. რობაქიძის შემოქმედებაში მარტო ამ ორი დარგის თეორიული და პრაქტიკული საკითხების კვლევით როდი ამოიწურება. დასახელებულ მონოგრაფიებსა და სხვა მრავალ ნაშრომში მკვლევარი ეხება ქართული მიწათმოქმედების, მევენახეობა-მელვინეობის, მეთევზეობის არაერთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელთა ავტორისეული ანალიზისა და ინტერპრეტაციის მეშვეობით გამოვლენილი და დადგენილია მათი ადგილი ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფაში, სოციალური ურთიერთობასა და რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში.

ალ. რობაქიძის ამ გამოკვლევებში, სამეურნეო ყოფის შემსწავლელ სხვა ქართველ სპეციალისტთა ნაშრომებთან ერთად, საბოლოოდაა დაძლეული ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებული მცდარი შეხედულებანი აგრარული ცივილიზაციის მონაპოვრებში კავკასიელი და მათ შორის ქართველი ხალხის პასიური წვლილის შესახებ, რომლის მიხედვითაც თითქოს მათ კულტურულ ღირებულებათა არა შემქმნელების, არამედ მხოლოდ გადამცემის როლი ეკისრებოდათ. ქართველი ხალხის მეურნეობის ტრადიციულ დარგებში დაუნჯებული კულტურულ-ისტორიული ღირებულებანი, რომელთა გამოვლენასა და შესწავლას ქართველ ეთნოგრაფთა მრავალი წლის დაუღალავი შრომა დასჭირდა, თვალნათლივ ადასტურებენ აღნიშნული ცრუმეცნიერული თეორიების უსუსურობას, ხაზგასმით მიუთითებენ ამ მონაპოვართა შემოქმედებით, ორიგინალურ ფესვებზე, რომლის მიხედვითაც მათ სამართლიანად დაიმკვიდრეს ადგილი აგრარული ცივილიზაციის ზოგადსაკაცობრიო საგანძურში.

ქართველი ეთნოგრაფების მიერ აღნიშნული დებულების დასაბუთების კიდევ უფრო მტკიცე საფუძველი ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებას უნდა მოეცა. ამ გარემოებით იყო განპირობებული საველე და კამერალური კვლევა-ძიების ის ფართო პროგრამა, რომელიც იმთავითვე დაისახა ქართულ ეთნოგრაფიაში. დასახლების ფორმები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, ხალხური ტრანსპორტი, ეროვნული ტანსაცმელი, ხალხური კულინარია, ორნამენტის ტრადიციული ნიმუშები და სხვა საკითხები, რომელთა შესწავლასა და ანალიზს ქართველი ეთნოგრაფების არაერთი გამოკვლევა და მონოგრაფია მიეძღვნა. მათ შორის თვალსაჩინო ადგილი პროფესორ ალ. რობაქიძის გამოკვლევებს უჭირავს.

მატერიალური კულტურის სფეროდან ალ. რობაქიძის კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ობიექტად საქართველოსა და კავკასიის მთიანეთის დასახლების ფორმებისა და საცხოვრებელი ნაგებობების შესწავლა იქცა. საქართველოს მთიანეთის დასახლების ფორმათა კვლევის პროცესში ფართო საველე მონაცემებისა და სპეციალური ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე შესწავლილია მთიელთა დასახლების ტოპოგრაფიისა და მორფოლოგიის საკითხები<sup>18</sup>.

მთიანეთის დასახლების სამეურნეო-გეოგრაფიული და კულტურულ-ისტორიული თავისებურებების გამოვლენა-დადგენასთან ერთად მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დასახლების ფორმათა სოციალურ ასპექტებს და სოციალური ურთიერთობების ისტორიის შესწავლის

---

<sup>18</sup> К вопросу о формах поселения в Сванети.- Краткие сообщения института этнографии (КСИЭ), XXIX, 1958; დასახლების ფორმათა საკითხისათვის აჭარაში.-ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები (ბსკიშ), I, ბათ., 1960; დასახლების ფორმები ბალყარეთში: 1. დასახლების ტოპოგრაფია.-მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის (მსე), I, თბ., 1960; 2. დასახლების მორფოლოგია.-მსე, XII-XIII, თბ., 1963; 3. დასახლების სამეურნეო პირობები.-კეკ, I, თბ., 1964; Жилища и поселения горных ингушей.- КЭС, III, 1968; Формы поселения в Аджарии в прошлом.- Очерки этнографии Аджарии (ОЭА), Тб., 1962.

საქმეში მატერიალური კულტურის ძეგლებისა და დასახლებების წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობის შესახებ მეთოდოლოგიური ხასიათის ახალ დებულებებს აყალიბებს.

აღ. რობაქიძე ღირსეულად აგრძელებს აკად. გიორგი ჩიტაიას მიერ დაწყებული ქართული ხალხური საცხოვრებლის შესწავლის საქმეს და საქართველოსა და კავკასიის მთიანეთში მრავალწლიანი საველე კვლევა-ძიების შედეგად დაგროვილი ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე იძლევა ქართული მთური საცხოვრებელი და თავდაცვითი ნაგებობების შედარებით-ისტორიული და ტიპოლოგიური კლასიფიკაციის სრულყოფილ და მეცნიერულად გამართულ სქემას. ამ პრობლემებისადმი მიძღვნილ მრავალრიცხოვან ნაშრომებში – „სვანეთის სოფელი ძველად“ (რუსუდან ხარაძესთან თანაავტორობით, თბ., 1964), „მთიულეთის სოფელი ძველად“ (რ. ხარაძესთან თანაავტორობით, თბ., 1965), „Основы типологии и картографирования жилища народов Кавказа“ (СЭ, №2, 1967), „აჭარული საცხოვრებელი ნაგებობანი“ (აჭარის მოსახლეობის ყოფა და კულტურა, თბ., 1967) და სხვა, რომელთაც ერთვის ავტორის მიერ მოძიებული, მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული საილუსტრაციო მასალა, მოცემულია ქართველ მთიელთა საცხოვრებელი და თავდაცვითი ნაგებობების გენეზისისა და განვითარების გზები, ნაჩვენები და დახასიათებულია ხალხური ხუროთმოძღვრების მრავალფეროვანი ხერხები და საშუალებები ამ სფეროში ჩამოყალიბებული ეთნოსპეციფიკური ნიშნების გამოვლენა-დადგენით, აგრეთვე ის ცვლილებები, რომლებიც განიცადა ხალხურმა საცხოვრებელმა ახალი ცხოვრების პირობებში გარდაქმნისა და ტრანსფორმაციის პროცესში. კვლევის ეს მრავალრიცხოვანი შედეგები განზოგადებულია ვრცელ მონოგრაფიაში - «Сванети» (I, თბ., 1983), რომელშიც გაანალიზებულია საქართველოსა და კავკასიის მთიელთა დასახლებისა და საცხოვრებლის სამეურნეო-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები, მათი ადგილი და როლი მთიანეთის მოსახლეობის

სოციალური სტრუქტურის ტრადიციულ თავისებურებათა შექმნისა და ჩამოყალიბების საქმეში. ალ. რობაქიძის ამ გამოკვლევებში შემუშავებული თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპები საფუძვლად დაედო გეგმა-კითხვარს, რომელიც რეკომენდირებული იყო საკავშირო ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის კავკასიის ნაკვეთის შესადგენად. აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და კავკასიის მთიელთა დასახლებისა და საცხოვრებელი ნაგებობების ტიპოლოგიური კლასიფიკაციისა და კარტოგრაფირების ამ პრინციპებითაა შექმნილი საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის პირველი მონაკვეთი – „საქართველოს მთური საცხოვრებელი ნაგებობანი“, რომელიც გამოქვეყნდა 1986 წელს.

ქართული ეთნოგრაფიის თეორიულ მიმართულებათა განსაზღვრისა და პრობლემური კვლევა-ძიების გაშლა-გაფართოების პირველი წლებიდანვე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქართველი და კავკასიელი ხალხების სოციალური ურთიერთობების შესწავლას. დღის წესრიგში იდგა კავკასიის მთიელთა სოციალური სტრუქტურის მეცნიერული ანალიზისა და განსაზღვრის საკითხი, რომელიც კავკასიათმცოდნეობითი ეთნოგრაფიის ყველაზე უფრო რთულ და გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენდა. ქართველ და კავკასიელ მთიელთა საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის ადრინდელი ფორმების, მათი გენეზისის საფეხურების, თუ ამ სფეროში შემონახული გადმონაშთური ფორმების ისტორიული კანონზომიერების გამოვლენა და დადგენა, ახალი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების მოძიებასა და სათანადო მეთოდოლოგიური პრინციპების შუქზე გაანალიზებას მოითხოვდა. ქართულ ეთნოგრაფიაში ამ მიმართულებით წამოწყებული საქმის წარმატებით დაგვირგვინებას დიდად შეუწყო ხელი ალ. რობაქიძის მეცნიერულმა გამოკვლევებმა.

ჩვენ უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საქართველოსა და კავკასიის მთიელთა სოციალური ურთიერთობის სფეროს ალ. რობაქიძე თავდაპირველად მატერიალური კულტურის

ძეგლების ანალიზის პრინციპებიდან მიუდგა. სოციალური პრობლემების შესწავლისადმი ეს მიდგომა ახალი იყო და არა მარტო კავკასიათმცოდნეობით, არამედ მთლიანად ეთნოგრაფიულ ლიტერატურაშიც. ამდენად, ბუნებრივია, იგი ახალი მეთოდოლოგიური პრინციპების შემუშავებასაც გულისხმობდა. სწორედ ასეთ გამოკვლევად იქნა აღიარებული ანთროპოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მეცნიერებათა VII საერთაშორისო კონგრესზე წაკითხული მოხსენება – „Поселение как источник изучения общественного быта” (მოსკოვი, 1964), რომელშიც დებულებამ სოციალური ურთიერთობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესწავლის საქმეში მატერიალური კულტურის ძეგლებისა და დასახლების ფორმების უმნიშვნელოვანესი წყაროთმცოდნეობითი ღირებულების შესახებ ხორცშესხმა პოვა. სოციალური პრობლემატიკის ამ კუთხით გაშუქების პრიორიტეტულობა უდავოდ დიდ მეცნიერულ ეფექტს იძლეოდა კავკასიის მთიელთა მაგალითზე, სადაც საცხოვრებელი და თავდაცვითი ნაგებობების ტრადიციული ფორმები დღესაც გვხვდება, ხოლო შორეული წარსულის შესწავლისათვის აუცილებელი საოჯახო და საზოგადოებრივი ურთიერთობის ამსახველი უტყუარი მასალა ფიქსირებულია თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში. შემთხვევითი არ გახლდათ ის გარემოება, რომ აღნიშნულმა მოხსენებამ, რომელიც ითარგმნა ინგლისურ ენაზეც, სპეციალისტთა დიდი ყურადღება დაიმსახურა. მხედველობაში გვაქვს ცნობილი ეთნოგრაფის ნ. გეგენტორნის მოსაზრება, რომელიც თავის გამოსვლაში ხაზს უსვამდა ამ მოხსენების არა მარტო წყაროთმცოდნეობით სიახლეს, არამედ მის მეთოდოლოგიურ მნიშვნელობასაც<sup>19</sup>.

ზოგადკავკასიური და ახალი ქართული ეთნოგრაფიული მასალების მომარჯვებით ალ. რობაქიძე აფართოებს სოციალურ პრობლემატიკას და ამ მიმართულებით აქვეყნებს

---

<sup>19</sup> Труды VII Международного конгресса антропологических и этнографических наук, т. VIII, М., 1968, с. 184.

მრავალრიცხოვან ნაშრომებს.<sup>20</sup> თუ მატერიალური კულტურის ძეგლების ირგვლივ გამოვლენილი ეთნოგრაფიული მასალების კვლევის პროცესში აღ. რობაქიძემ შეძლო ეჩვენებინა მთიელთა ადრეკლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების რიგი თავისებურებანი, მაშინ სოციალური ურთიერთობის ტრადიციულ ფორმათა თანმიმდევრული კვლევა-ძიებით მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მთური ფეოდალიზმის ზოგადთეორიული საკითხების გაშუქებაში. ჩვენ არ შევეხებით აღ. რობაქიძის ნაშრომებში ადრეკლასობრივი საზოგადოებისა თუ მთური ფეოდალიზმის ირგვლივ დასმულ და წარმატებით გადაწყვეტილ კონკრეტულ პრობლემებს, მაგრამ შეუძლებელია არ აღვნიშნოთ საქართველოსა და კავკასიის მთიანეთში ამ მხრივ ჩატარებული მრავალწლიანი კვლევა-ძიების ზოგადი შეფასების შესახებ, მით უმეტეს, რომ იგი საქართველოს ეთნოგრაფიის თვალსაჩინო მიღწევას წარმოადგენს. კერძოდ, განავითარა და შემდგომ სრულყო რა მ. კოსვენის, გ. ჩიტაიას, ვ. ბარდაველიძის და რ. ხარაძის ნაშრომებში აღძრული დებულებები, აღ. რობაქიძემ დაადგინა პატრონიმიის, როგორც გარკვეული სოციალური სისტემის, უნივერსალური გავრცელება კავკასიის მთიელებში. დასაბუთებულია დებულება, რომლის თანახმად კავკასიის ხალხებში ეთნოგრაფიულად ფიქსირებული პატრონიმია წარმოადგენს არა გვარის განაყოფს, არამედ ნათესაურ ჯგუფს, განვითარებულს დიდი ოჯახის სემენტაციის შედეგად. ამრიგად, პატრონიმია მიჩნეულია არა როგორც არქაული სოციალური ინსტიტუტი, არამედ ახალი წარმონაქმნი, რომელსაც გვაროვნული ორგანიზაციის მხოლოდ გარეგნული თანმთხვევი ნიშნები გააჩნია და არსებითად გან-

---

<sup>20</sup> იხ.: Patronimy Among the Peoples of the Caucasus, 1968; О характере сословных отношений у горных ингушей.- КЭС, III, 1968; მთიულური კომობის ზოგიერთი მხარე.- კეკ, III, თბ., 1971; კავკასიური მთური ფეოდალიზმის ბუნების საკითხისათვის. - იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVIII, თბ., 1973 და სხვა.



სხვაგვება პატრიარქალური გვაროვნული ორგანიზაციისაგან.

სტატიის შეზღუდულობის გამო ვერ ვახერხებთ აგრეთვე ამ ახალი თეორიული დებულებების მაღალ მეცნიერულ ღირსებათა შესახებ სპეციალისტების მიერ გამოთქმულ შეფასებათა და გამონხმაურებათა წარმოჩენას, მაგრამ გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ალ. რობაქიძის მიერ კავკასიის მთიანეთის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის მეცნიერული კვლევისა და ანალიზის შედეგად მიღებული ეს დებულებები, ქართველი ეთნოგრაფების მიღწევებთან ერთად, საეტაპო მოვლენად იქცა კავკასიათმცოდნეობაში. კერძოდ, კრიტიკულად შეფასდა და უარყოფილ იქნა კავკასიის მთიელთა სოციალური ურთიერთობის შესახებ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40 – იანი წლებიდან მომდინარე მცდარი, ე. წ. „გვაროვნული თეორია“, ხოლო აღნიშნული სტერეოტიპის დაძლევის პროცესში კავკასიათმცოდნეობის რიგი ფუნდამენტური მიმართულებანი სათანადო თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპების თვალთახედვით გაშუქდა.

საყოველთაოდაა აღიარებული ქართველი ეთნოგრაფების მიღწევები ქართველი ხალხის სულიერი კულტურის შესწავლისა და განზოგადების საქმეში. ამ მხრივ პროფესორ ვ. ბარდაველიძის ხელმძღვანელობით ადრიდანვე დაწყებულმა კვლევა-ძიებამ შემდგომში ფართო და მრავალმხრივი ხასიათი მიიღო, რომლის შედეგებიც თვალნათლივ გამოჩნდა ქართველი ხალხის რელიგიური მსოფლმხედველობის კულტურულ-ისტორიული, რიგ შემთხვევაში კი, გენეტიკური სიანლოვე და კავშირურთიერთობა წინა აზიისა და ხმელთაშუაზღვის აუზის უძველესი ცივილიზაციების მატარებელ ხალხებთან.

ქართველი ხალხის სულიერი კულტურის, კერძოდ, რელიგიური წეს-ჩვეულებებისა და რწმენა-წარმოდგენების საკითხები ალ. რობაქიძემ პირველ რიგში მეურნეობის ფორმებისადმი მიძღვნილ ზემოაღნიშნულ მონოგრაფიებსა და

სხვა ნაშრომებში<sup>21</sup> გამოიკვლია. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მეფუტკრეობასა და მონადირეობასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებს, რომელთა ანალიზს ახალი შუქი შეაქვთ ქართულ მითოლოგიასა და ეპოსში. უაღრესად საინტერესო და საყურადღებოა თევზისა და წყლის კულტის საწესო-რიტუალური მხარეების, მათთან დაკავშირებული გამრავლების, ნაყოფიერებისა და სიუხვის სიმბოლური ფუნქციების კვლევა, რომლის შედეგები ასევე განზოგადებულია საერთოკავკასიური და ზოგადი ეთნოგრაფიის მონაცემების შუქზე.

ქართველი ეთნოგრაფების მიერ ზემოაღნიშნულ საგნობრივ სფეროებში მოპოვებული მიღწევების შეფასებისას საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფორმირების ადრეული ეტაპებიდანვე მომდინარე კიდევ ერთი ტენდენციის შესახებაც. ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის, მატერიალური და სულიერი კულტურისა თუ სოციალური ურთიერთობის ფასეული ელემენტები ქართველ ეთნოგრაფთა შრომებში იმთავითვე განზოგადებული იყო, ერთი მხრივ, წინა აზიის ძველი ცივილიზებული სამყაროს, ხოლო, მეორე მხრივ, კავკასიელი ხალხების ფართო კულტურულ-ისტორიული პარალელების შუქზე. ქართული ეთნოგრაფიის ეს ფუნდამენტური მიმართულება, რომელსაც თავის დროზე აკად. გ. ჩიტაიამ ჩაუყარა საფუძველი, შემდგომში სხვა ქართველ ეთნოგრაფთა ნაშრომებში კიდევ უფრო გაღრმავდა და გაფართოვდა. ალ. რობაქიძის გამოკვლევებში ცენტრალური კავკასიის მთიანეთში გამოვლენილი ახალი ეთნოგრაფიული მონაცემების შედარებით-ისტორიული ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე შესწავლილი და დადგენილია ქართველ და კავკასიელ მთიელთა ეთნოკულტურული ურთიერთობის რთული და მრავალმხრივი პროცესები, რაც ეთნიკური, ენობრივი და

---

<sup>21</sup> იხ.: К вопросу о пережитках культа рыбы.- СЭ, №3, 1948; მეფუტკრეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების შესახებ. – მიმომხილველი, III, თბ., 1963 და სხვა.

კონფესიონალური სხვაობის თუ შინაფეოდალური განხეთქილების მიუხედავად ხელს უწყობდა ამ მეზობელი ხალხების ერთიანი კავკასიური კულტურული სამყაროს წილიდან მომდინარე კულტურული ურთიერთმოქმედების გამდიდრებასა და გაღრმავებას<sup>22</sup>.

ომისშემდგომი წლები ქართული ეთნოგრაფიული სკოლის საველე და კამერალური კვლევა-ძიების შემდგომი გაშლავაფართოებისა და ახალი მეთოდოლოგიური პრინციპების შემუშავების აღმავლობით აღინიშნა. უფროსი თაობის ქართველი ეთნოგრაფების სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არა მარტო ტოლს არ უდებდნენ უცხოელ ეთნოგრაფებს, არამედ საერთოდ ეთნოგრაფიის თეორიისა და მეთოდიკის საკითხების დამუშავებაში ეთნოგრაფიული სკოლის ავანგარდშიც იდგნენ ხოლმე. ჩვენ, პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს 40-50 –იან წლებში აკად. გ. ჩიტაიას მიერ შემუშავებული საველე ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი, რომელმაც ფართო აღიარება პოვა ეთნოგრაფიაში. საველე კვლევის ამ ახალი მეთოდის დამკვიდრებისა და განმტკიცების საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ალ. რობაკიძეს, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო ჟურნალ „საბჭოთა ეთნოგრაფიის“ ფურცლებზე აღნიშნულ საკითხზე გაშლილ დისკუსიაში, დაასაბუთა ამ მეთოდის განსაკუთრებული მნიშვნელობა თანამედროვე ყოფის აქტუალური საკითხების კვლევაში და ახალი თეორიული დებულებებით სრულყო და გაამდიდრა იგი<sup>23</sup>. აღნიშნული ნაშრომი ითარგმნა და დაიბეჭდა ჩეხურ ენაზეც<sup>24</sup>.

---

<sup>22</sup> К вопросу о сванско-балкарских этно-культурных взаимоотношениях, Нальчик, 1960; К вопросу о нахской этнонимике.- КЭС, III, 1968; Об особенностях общественного быта горцев Кавказа, Тб., 1983 და სხვა.

<sup>23</sup> К некоторым спорным вопросам горцев Кавказа, Тб., 1983.

<sup>24</sup> A. U. Robakidze. K nektorym Spornym otazkam etuografickeno Studia Noveho Zposoby zivota, Gesky Lid, Gislo 7-8, Rocnik 39, 1952, s. 171-175.

მაგრამ ალ. რობაქიძის დამსახურება ეთნოგრაფიული მეცნიერების თეორიისა და მეთოდის საკითხების კვლევაში ამით არ ამოწურულა. ნაშრომში, „ეთნოგრაფია და თანამედროვეობა“ (თბ., 1982), ავტორი განიხილავს თანამედროვეობის ეთნოგრაფიული შესწავლის ძირითად ასპექტებს და მოითხოვს თანამედროვე ფუნდამენტური ეთნოგრაფიული გამოკვლევებისა და ცხოვრების წესის განმტკიცების პრაქტიკული ამოცანების სწორ შეხამებას.

თანამედროვე ეთნოგრაფიის მეთოდოლოგიური საკითხების გაშუქებისას ასევე უნდა გამოიყოს ალ. რობაქიძის შენიშვნები ამერიკელი ეთნოგრაფის ფრედერიკო დე ლაგუნას ნაშრომზე<sup>25</sup>.

მკვლევარი კრიტიკულად იხილავს დე ლაგუნას კონცეფციას ობიექტივისტურ შეხედულებათა თაობაზე და ასაბუთებს ქართული ეთნოგრაფიული სკოლის პოზიციას გადმონაშთების წყარომცოდნეობითი მნიშვნელობის შესახებ. ეს თემა მან შემდგომ განავითარა ქართველი ხალხის ეთნიკური ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილ შრომებში და მონოგრაფიაში - „ტრადიცია და ცხოვრების წესი“ (თბ., 1980), სადაც დააზუსტა გადმონაშთის სოციალური ბუნება და გაარკვია მისი არა მარტო ზოგადთეორიული, არამედ უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც. ამავე ნაშრომში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ტრადიციის ადგილსა და როლს ეთნოგრაფიისა და ეთნიკური კულტურის განვითარებაში, ეთნიკური თვითშეგნების ფორმირებაში ცხოვრების ახალი წესის დამკვიდრებისა და განმტკიცების პროცესში.

აღნიშნულ, აგრეთვე სხვა სპეციალურ ნაშრომებში ალ. რობაქიძე დიდ ყურადღებას უთმობს ეთნოსის სტრუქტურის ზოგადთეორიულ საკითხებს და ქართველი ხალხის ეთნიკური ისტორიიდან აღებულ კონკრეტულ-ისტორიულ მასალაზე დაყრდნობით, უჩვენებს შიდაეთნიკური ჯგუფების

---

<sup>25</sup> იხ.: А.И. Робакидзе. Фредерико де Лагуна и некоторые вопросы объективности этнографии.- КЭС, IV, Тб., 1971.

(„ეთნიკური ჯგუფი“, „ეთნოგრაფიული ჯგუფი“) ჩამოყალიბების პროცესებს, იკვლევს იმ საერთო კანონზომიერებებს, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭებათ ეთნოსის თეორიისათვის<sup>26</sup>.

ქართული ეთნოგრაფიის განვითარების პირველი წლებიდანვე მიექცა ყურადღება საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიოგრაფიის ცალკეული ეტაპის გაშუქებას. ამ პრობლემას არაერთი ნაშრომი მიუძღვნა აკად. გ. ჩიტაიამ, მაგრამ რევოლუციამდელი და ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის ისტორიის მონოგრაფიული შესწავლა და მისი ერთიან ისტორიულ ჭრილში წარმოჩენა ალ. რობაქიძეს ხვდა წილად. სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ, აგრეთვე ამ პრობლემისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომებში – „Пути развития грузинской советской этнографии“ (Тб., 1983), „ქართული საბჭოთა ეთნოგრაფია“, „ისტორიული მეცნიერების განვითარება საბჭოთა საქართველოში“ (თბ., 1986) – ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარება XIX-XX საუკუნეების საზოგადოებრივი აზროვნების ფართო ფონზე განხილული, ნაჩვენებია ილია ჭავჭავაძის მეთაურობით დარაზმულ თერგდალეულთა უდიდესი დამსახურება ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების, ეროვნული კულტურისა და ყოფის ფასეული ელემენტების გამომზეურების საქმეში და მათი მეცნიერული კვლევის აუცილებლობის დასაბუთებაში.

ალ. რობაქიძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საქართველოში ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების განვითარებისა და ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ჩამოყალიბების საეტაპო მოვლენებსა და ფაქტებს, ახასიათებს ცალკეულ საგნობრივ სფეროებში მიღწეულ წარმატებებს ქვეყნის ყველა სამეცნიერო ცენტრის მასშტაბით.

ასეთია ქართული ეთნოგრაფიის ტრადიციული და თანამედროვე მიმართულებების ზოგიერთი პრობლემა საქარ-

---

<sup>26</sup> იხ.: ეთნოსი და ეთნოგრაფიული ჯგუფი.– მაცნე, № 4, თბ., 1980; К понятию термина „Этнографическая группа“- СЭ, №5, М., 1983.

თველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ალ. რობაქიძის მეცნიერული შემოქმედების ზოგადი მიმოხილვის შუქზე. წინამდებარე ნაშრომის მოცულობის შეზღუდულობის გამო ჩვენ მხოლოდ მკვლევარის მეცნიერული ინტერესების ძირითად სფეროებს შევეხეთ. მისი მრავალწლიანი კვლევის შედეგები სრული სახით 10 - ზე მეტ მონოგრაფიასა და 150 -ზე მეტ სამეცნიერო ნაშრომშია წარმოდგენილი, რომლებიც გამოქვეყნდა რესპუბლიკურ, აგრეთვე უცხოურ სამეცნიერო გამოცემებში. ამ გამოკვლევებში იგი გვევლინება როგორც ფართო პროფილის მეცნიერი, რომლის ნაშრომები გამოირჩევა კონკრეტულობით, მეცნიერული სიღრმითა და კომპეტენტურობით. პუბლიკაციებში დასმულმა და განზოგადებულმა დებულებებმა საერთო აღიარება პოვეს ეთნოგრაფიაში და სათანადო წვლილი შეიტანეს კავკასიათმცოდნეობის შემდგომ განვითარებაში. კვლევის ეს შედეგები ასახულია საბჭოთა პერიოდის საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მრავალტომეულში - „Народы Кавказа“, II, (მოსკოვი, 1962), „ისტორიულ ენციკლოპედიაში“ (ტ. II, მოსკოვი, 1964), დიდ საბჭოთა და ქართულ ენციკლოპედიებში, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასში და სხვა ფუნდამენტურ გამოცემებში.

ფართო სპეციალურმა და ზოგადმა განათლებამ, ერუდიციამ და მკვლევრის იშვიათმა ალლომ შესაძლებლობა მისცა ალ. რობაქიძეს არა მარტო მიეკვლია და გამოემზურებინა ქართველი და კავკასიელი ხალხების მატერიალური და სულიერი კულტურის დარგში დაუნჯებული თავისებურებები, განვითარების მაღალი დონის მანიშნებელი ელემენტები, არამედ ჩამოყალიბებული კონცეფციით, მდიდარი მასალითა და ამ მასალების განზოგადოებით, ახალ საფეხურზე აეყვანა ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერება.

ალექსი რობაქიძე და აჭარის ეთნოგრაფიის პრობლემები<sup>27</sup>

აჭარის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულის შესწავლას საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. იგი დაკავშირებულია დ. ბაქრაძის, გ. ყაზბეგის, ზ. ჭიჭინაძის, თ. სახოკიას, ა. მიქელაძის, ა. ფრენკელის, ვ. ლისოვსკის და სხვა ქართველ, რუს თუ უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა სახელებთან. ისინი აჭარისა და მთლიანად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას პირადად გაეცნენ ოსმალთა ბატონობის პერიოდში თუ მისი განთავისუფლებისა და დედა-სამშობლო საქართველოსთან დაბრუნების შემდეგ, მაგრამ მათ ნაშრომებში, პუბლიცისტური ხასიათის წერილებში, რომლებიც დროდადრო იბეჭდებოდა იმდროინდელ ქართულ და რუსულ პერიოდულ პრესაში, მხოლოდ ეთნოგრაფიული ხასიათის ცალკეულ საკითხებზეა საუბარი და, ცხადია, მათ ამ მხრივ სრულყოფის პრეტენზიას ვერ წავუყენებთ. ამათგან ეთნოგრაფიული მასალების სიუხვით გამორჩეულია თ. სახოკიას წერილები აჭარაზე, რომლებიც გასული საუკუნის დასასრულს იბეჭდებოდა ჟურნალ „მოამბე“-ში. აჭარის ეთნოგრაფიული წარსულის ბევრი ძველი შტრიხი შეიძლება ამოვიკითხოთ მეცამეტე საუკუნის ცნობილი მწერლისა და მოაზროვნის ტბელ აბუსერიძის თხზულებაში, რომელიც იმდროინდელი პროფესიონალი ხელოსნის ბასილის აღმშენებლობით საქმიანობაზე მოგვითხრობს.

<sup>27</sup> აღნიშნული ნაშრომი სათაურით – „პროფესორი ა. რობაქიძე – აჭარის ეთნოგრაფიული წარსულის მკვლევარი“ დაიბეჭდა 1989 წელს კრებულში – „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“ (XVI, თბ., 1989). თემის აქტუალობიდან გამომდინარე, რედაქციამ გადაწყვიტა იგი წინამდებარე გამოცემაშიც დაბეჭდოს მცირეოდენი ცვლილებებით – რედაქტორი.

აჭარის ეთნოგრაფიულ შესწავლაში თვალსაჩინოა აჭარის სახელმწიფო მუზეუმის წვლილი. მართალია, მუზეუმის ამოცანა თავდაპირველად წმინდა ეთნოგრაფიული ხასიათის კვლევა არ ყოფილა, მაგრამ მის მიერ გაწეული სამხარეთმცოდნეო საქმიანობა ეთნოგრაფიულ მხარეებსაც შეიცავდა. 1930-იანი წლებიდან მუზეუმში წერილობითი ეთნოგრაფიული მასალების შეკრებაც დაიწყო, რაც დღეს წარმატებით გრძელდება. ამჟამად მუზეუმში დაცულია მდიდარი ეთნოგრაფიული აღწერილობანი, კოლექციები, რომლებსაც არა მარტო აჭარის, არამედ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული შესწავლისათვის უნიკალური მნიშვნელობა აქვს.

1933 წელს ჩატარდა პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიცია აჭარაში, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა მოაწყო გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით. მასში მონაწილეობდნენ მეცნიერული ძალები თბილისიდან (გ. ბარდაველიძე, რ. ხარაძე, სტ. მენტეშაშვილი), ბათუმიდან (ჯ. ნოლაიდელი, ვ. იაშვილი) და სხვა. ექსპედიციის შედეგად შეიკრიბა დიდძალი წერილობითი მასალა, შესრულდა ფოტოგადაღებები. ამ მასალების საფუძველზე დაიწერა არაერთი გამოკვლევა.

აჭარაში ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების საქმეში მნიშვნელოვანია ჯ. ნოლაიდელის წვლილი. ეს მუშაობა მან 1920-იანი წლების ბოლოს დაიწყო. 1935 წელს გამოქვეყნდა მისი ეთნოგრაფიული ნარკვევი, რომელიც ამ ხასიათის პირველი წიგნია აჭარაზე.

მიუხედავად ამისა, აჭარის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულის შესწავლა მაინც ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. ამგვარ საქმიანობას გეგმაზომიერი, სისტემატური და პრობლემური ხასიათი მიეცა მხოლოდ ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსებისა (1958 წელი) და აქ ეთნოგრაფიის განყოფილების ჩამოყალიბების დღიდან, რო-



დესაც მას სათავეში ჩაუდგა პროფესორი ალექსი ივანეს ძე რობაქიძე.

ალ. რობაქიძის ხანგრძლივი მეცნიერული თუ მეცნიერულ-ორგანიზაციული მუშაობის დიდი ნაწილი დაკავშირებულია ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ისტორიასთან. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით შემუშავდა ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების პრობლემატიკა. აღსანიშნავია მისი აქტიური მონაწილეობა საერთოდ ინსტიტუტის სამეცნიერო და ორგანიზაციული მუშაობის დაგეგმვასა და მის შემდგომ სრულყოფაში. დაარსებიდან ორი ათეული წლის მანძილზე იგი ხელმძღვანელობდა ეთნოგრაფიის განყოფილებას, ხოლო 1975 წლამდე ეთნოგრაფიულ ექსპედიციებს. მისი თაოსნობითა და ხელმძღვანელობით ფართო ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება გაიშალა ჯერ აჭარის, შემდეგ მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მასშტაბით, რაც დღეს წარმატებით ხორციელდება მისი აღზრდილების მიერ. 1958-1968 წლებში დამუშავდა თემა „აჭარის სოფელი ძველად და ახლა“, 1969 წლიდან კი მუშავდება გამსხვილებული თემა - „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“. ალ. რობაქიძის ხელმძღვანელობით განყოფილების რვა მეცნიერმა თანამშრომელმა დაიცვა საკანდიდატო, ხოლო ერთმა – სადოქტორო დისერტაცია. მეცნიერის გარდაცვალების შემდეგაც მისი ხელმძღვანელობით შესრულებული არაერთი სადისერტაციო თემა წარმატებით იქნა დაცული სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე. დღესაც, მისი მოწაფეების მიერ მზადდება სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციები. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსებიდან იყო მისი სამეცნიერო საბჭოს უცვლელი წევრი და ეთნოგრაფიული პრობლემის მეცნიერული ხელმძღვანელი. მისი ხელმძღვანელობითა და რედაქტორობით მომზადდა და დაიბეჭდა ინსტიტუტის ეთნოგრაფიული კრებულები და მონოგრაფიები, რომელთა რაოდენობა ოცდაათ ერთეულს აჭარბებს. ეს არის ძვირფასი მეცნიერული შენა-

ძენი, რომელმაც შუქი მოჰფინა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ტრადიციული თუ ახალი ყოფისა და კულტურის მთელი რიგი საკითხის კვლევას.

ამ გამოკვლევებშიც ალ. რობაქიძემ დიდი წვლილი შეიტანა. მან შექმნა ნაშრომთა სერია, რომლებშიც აჭარის მაგალითზე შესწავლილია დასახლების ფორმები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, ოჯახისა და საოჯახო ყოფის, სოციალური ორგანიზაციის და სხვა საკითხები, რომლებიც მანამდე სპეციალური კვლევის თემა არ ყოფილა.

პირველი ნაშრომი, რომელიც ალ. რობაქიძემ დაბეჭდა ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში, დაკავშირებული იყო დასახლების ფორმის შესწავლასთან ზემო აჭარაში<sup>28</sup>. იგი გამომდინარეობდა ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების საერთო პრობლემური თემიდან „აჭარის სოფელი ძველად და ახლა“ და შეადგენდა ამ პრობლემის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს. ნაშრომი შევსებული და ვრცელი სახით შემდეგ რუსულ ენაზეც გამოქვეყნდა<sup>29</sup>.

დასახლების ფორმები აჭარაში მკვლევარმა შეისწავლა კომპლექსურად სამეურნეო პროფილთან, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებთან, სოციალურ ორგანიზაციასთან კავშირში. ამავე დროს დასახლების აჭარული ფორმის თავისებურებანი მან დაახასიათა საქართველოს სხვა მთიანი რაიონების შესადარებელი მასალების შუქზე. ისტორიული წყაროებისა და ლიტერატურის მონაცემების, პირველ რიგში საველე ეთნოგრაფიული მასალების, შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე მკვლევარმა დაადგინა, რომ დასახლების ძირითად ერთეულს მთიან აჭარაში წარმოადგენს სოფელი, მაგრამ დასახლების ზოგიერთი ელემენტის, საკუთრივ განსახლების წესის, დასახლებული პუნქტების მდებარეობის, მათი მორფოლოგიური და მეურნეობრივი ნიშ-

<sup>28</sup> ალ. რობაქიძე. დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში.- ბსკიშ, I, ბათ., 1960, გვ. 11-14.

<sup>29</sup> А. И. Робакидзе. Традиционные формы поселения в Аджарии.- ОЭА, Тб., 1982, с. 3-37.

ნების, აგრეთვე სხვა ფაქტორების მიხედვით, გაარკვია, რომ ძველად დასახლების ძირითადი ერთეული დასახლებული პუნქტების უფრო ფართო გაერთიანებას წარმოადგენდა<sup>30</sup>. საამისოდ იგი ღორჯომის შესახებ ისტორიულ და ეთნოგრაფიულ მასალებს იშველიებდა და დაადგინა, რომ იგი წარმოადგენდა გეოგრაფიულად მტკიცედ ლოკალიზებულ ტერიტორიაზე ისტორიულად ჩამოყალიბებულ ერთეულს თემის სახით, რომელიც თავდაპირველად ოთხი უძველესი დასახლებული პუნქტისაგან შედგებოდა (ტუნაძეები, ირემაძეები, დავლაძეები და საკუთრივ ღორჯომი). მათი შემდგომი განვითარების გზით იყო მიღებული თანამედროვე ღორჯომის დასახლებული პუნქტების საკმაოდ ფართო ქსელი. 1958 წლის ეთნოგრაფიული მონაცემებით, მათი რიცხვი 21 ერთეულს შეადგენდა<sup>31</sup>, მაგრამ ანალოგიური ვითარება მკვლევარმა შენიშნა აჭარის მთისა და ბარის სხვა ტერიტორიული გაერთიანებების მიმართაც<sup>32</sup>. ამავე დროს ყურადღება მიექცა აჭარული დასახლების ტოპოგრაფიისათვის დამახასიათებელ ორ ნიშანს. პირველია გეოგრაფიულად მტკიცედ ლოკალიზებული, ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთეულის (თემის) შიგნით მოქცეული საცხოვრებელი და კოლექტივის ნორმალური საქმიანობისათვის საჭირო მეურნეობრივ პირობათა (ყველა სახის სახმარი მიწა, წყალი, ტყე) ერთობლიობა. მეორე – დასახლებული პუნქტებისა და სახმარი მიწის ფართობების დაქანებულ ფერდობებზე განლაგება და მათი ტერასისებური ხასიათი. მეცნიერის აზრით, პირველი ნიშნის მიხედვით, აჭარული დასახლება საქართველოს მთიანეთის სხვა რაიონების დასახლების ფორმებს განეკუთვნება, ხოლო მეორე ნიშნის მიხედვით, ამ ფორმებს ენათესავება. გარკვეულია

---

<sup>30</sup> ალ. რობაქიძე. დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში, გვ. 13.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 15.

<sup>32</sup> იქვე., 14-15; მისივე, მასალები პატრონიმიული ორგანიზაციის ისტორიისათვის აჭარაში.- სლსყკ, თბ., 1974, გვ. 25.

აგრეთვე, რომ დასახლების ამ ტოპოგრაფიულმა თავისებურებებმა განსაზღვრეს საკარმიდამო კომპლექსის ხასიათი მთიან აჭარაში, რომელმაც სპეციფიკური იერი მისცა დასახლების ფორმას მთლიანად. მკვლევარი აქ პირველ რიგში მიუთითებს სამოსახლო კომპლექსის, კერძოდ, საცხოვრებელი სახლის ორიანტაციაზე საკარმიდამო ნაკვეთის მიმართ. აჭარული საკარმიდამო კომპლექსის დამახასიათებელ ნიშან-თვისებად მან გამოყო ამ კომპლექსის განლაგება დაფერდებული საყანეს თავში, როდესაც ასეთ პოზიციაში საცხოვრებელი ნაგებობა ზურგით ყანისკენაა მიმართული, ხოლო ფასადით გზისაკენ<sup>33</sup>. სამოსახლო ერთეულის ასეთი სტრუქტურა, აღნიშნავს ალ. რობაქიძე, უზრუნველყოფდა ყანების გაპატივების ისეთ პრაქტიკას, რომლის განხორციელება შესაძლებელი იყო მხოლოდ განვითარებული მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების სიმბიოზის პირობებში.

სამოსახლო კომპლექსის აღნიშნულმა თავისებურებებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს დასახლების იმ ფორმის ჩამოყალიბებაში მთიან აჭარაში, რომელსაც ალ. რობაქიძემ მოხერხებული სახელწოდება გამოუნახა და მას სერისპირული უწოდა, რადგან საკარმიდამო ერთეულის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი სწორედ სერების გასწვრივ არის განლაგებული<sup>34</sup>. ამისგან განსხვავებით მკვლევარი გამოყოფს ბარული დასახლების ფორმას აჭარაში და მას ქუჩისპირულს უწოდებს, რადგან აქ განსახლება ქუჩებს მისდევს<sup>35</sup>. მისი შეხედულებით, პირველი ფორმის მიხედვით

---

<sup>33</sup> ალ. რობაქიძე. დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში, გვ. 20; მისივე. მასალები პატრონიმიული ორგანიზაციის ისტორიისათვის აჭარაში, გვ. 26; А. Н. Робакидзе. Традиционные формы поселения в Аджарии, с. 19.

<sup>34</sup> ალ. რობაქიძე. დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში, გვ. 14; მისივე. მასალები პატრონიმიული ორგანიზაციის ისტორიისათვის აჭარაში, გვ. 26; А. Н. Робакидзе. Традиционные формы поселения в Аджарии, с. 19.

<sup>35</sup> А. Н. Робакидзе. Традиционные формы поселения в Аджарии, с. 19.

აჭარული დასახლება განსხვავდება საქართველოს მაღალ-მთიანეთის რაიონებისაგან (მთიანი რაჭა, ზემო სვანეთი, ხევსურეთი, მთათუშეთი) და უახლოვდება მთიანი სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის, აფხაზეთის მთიანეთის დასახლებებს, ხოლო მეორე ფორმის მიხედვით ემსგავსება დასავლეთ საქართველოს ბარის ზონის დასახლებას.

დასახლების მორფოლოგიასთან დაკავშირებით ალ. რობაქიძემ საგანგებოდ პირველმა შეისწავლა აჭარის მთის ზონის მოსახლეობის გვარობრივი შედგენილობა, გვართა მოძრაობა-გადაადგილებისა და შერევის საკითხი როგორც მოცემული რეგიონის შიგნით, ისე მომიჯნავე რაიონების მოსახლეობის ხარჯზე. ახალი ეთნოგრაფიული მასალების მოშველიებით დადასტურდა, რომ აჭარის სოფლის მოსახლეობა იყო მკვეთრად დიფერენცირებული, სოციალურად რთული შედგენილობისა, რაც უშუალო გავლენას ახდენდა, თავის მხრივ, როგორც სოფლის სტრუქტურაზე, ასევე მოსახლეობის ურთიერთობის ნორმებზე<sup>36</sup>. დადგენილია, რომ დასახლებული უბნებისა თუ სოფლების სახელწოდება აჭარაში, უმეტეს შემთხვევაში, გვარსახელებიდან არის მიღებული და ძირითადად ხასიათდება ფიქტიური მონოგენურობით. ავტორი წერს, რომ მრავალ შემთხვევაში სოფლის მონოგენურობა (ერთგვაროვნება) ხელოვნურად არის შექმნილი, რადგან ძველად არსებული წესით, ჩასიძებული პირი ხშირად (განსაკუთრებით, როცა ჩასიძებული ოჯახი უკაჟო იყო) სიმამრის ქონებასთან ერთად ცოლის გვარსაც იღებდა. ასე იქმნებოდა ე. წ. ფიქტიური ერთგვაროვნობა, რომელიც იძლეოდა ფორმალურ საფუძველს იმისათვის, რომ ეს სოფელი მონოგენურად ყოფილიყო მიჩნეული და გვაროვნულად აღიარებული, მაშინ, როდესაც სინამდვილეში აჭარაში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ა. რობა-

<sup>36</sup>ალ. რობაქიძე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების მოკლე ანგარიში (1958-1969).– სდსმკყს, თბ., 1973, გვ. 7.

ქიძის აზრით, გვაროვნული წყობილება დიდი ხნის წინათ განვლილსა და დრომოჭმულ საფეხურს წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, ფიქტიური მონოგენურობა თავისი წარმომართ ფაქტიურ მონოგენურ ტრადიციებთან არის დაკავშირებული. ამის მაგალითად დასახლებულია სოფელი ვანაძეები (ღორჯომის ხეობა), სადაც 1958 წლისათვის საკუთრივ ვანაძეების 49 კომლიდან 13 სხვა გვარი აღმოჩნდა. ჩასიძების შემთხვევაში გვარის გამოცვლის აღნიშნული პრაქტიკა, რაც საქართველოს სხვა კუთხეებშიც დასტურდება, მოსახლეობის მიგრაციის ფაქტორებთან ერთად, ხელს უწყობდა პოლიგენური დასახლების ჩამოყალიბებას. ამგვარი სოფლები აჭარაში სხვაც არსებობდა. მიუხედავად ამისა, აჭარაში იყო სოფლები, სადაც მხოლოდ ერთი გვარის მოსახლეობა ცხოვრობდა. მაგალითად, ამ სოფლების რიგს ეკუთვნის ინწკირვეთი (ჭვანის ხეობა), რომელიც მხოლოდ ინწკირველებით იყო დასახლებული. დიდი ხანია ამ სოფელში ამ გვარის არც ერთი წარმომადგენელი არ ცხოვრობს. ოსმალთა შემოსევების ხანაში ისინი გურიაში გადასახლებულან<sup>37</sup>. აღსანიშნავია ისიც, რომ სხვადასხვა მიზეზით და სხვადასხვა დროს აჭარაშიც ბევრი გვარის წარმომადგენელი ჩასახლებულა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.<sup>38</sup>

პროფესორ ალ. რობაქიძის სახელთან არის დაკავშირებული აგრეთვე აჭარის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების პირველი მეცნიერული შესწავლა, აჭარული

---

<sup>37</sup> ალ. რობაქიძე. დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში, გვ. 14, 18; მისივე. მასალები პატრონიმიული ორგანიზაციის ისტორიისათვის აჭარაში, გვ. 26; А. Н. Робакидзе. Традиционные формы поселения в Аджарии, с. 19, 20, 35; ალ. რობაქიძე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების მოკლე ანგარიში (1958-1969), გვ. 7.

<sup>38</sup> დასახლების სამეურნეო პირობებისა და მორფოლოგიის საკითხებზე აგრეთვე იხილეთ: ვლ. მგელაძე. ზემო აჭარული სოფელი ძველად, ბათ., 1973.

სახლის განვითარების თანმიმდევრული საფეხურების დადგენა და მისი ადგილისა და როლის გარკვევა ქართულ საცხოვრებელ ნაგებობათა განვითარების პროცესში.<sup>39</sup>

აღ. რობაქიძემ ახალი ეთნოგრაფიული მასალების ანალიზის საფუძველზე პირველ რიგში გაარკვია, რომ აჭარის ალპურ ზონაში ფიქსირებული ერთსართულიანი ძირითადი ჯარგვალი ადრინდელი საფეხურია აჭარული სახლის ფორმათა განვითარების პროცესში, რომლის საფუძველზე უნდა განვითარებულიყო ორსართულიანი ზედშედგმული ჯარგვალი.<sup>40</sup> ორივე სახის ჯარგვალური სახლი ადრე გავრცელებული ყოფილა აჭარის მთის ზონის სოფლის დასახლებების ზონაში. მისი აზრით, ზედშედგმული ჯარგვალის განვითარების შედეგად უნდა მიღებულიყო თანამედროვე ზემოაჭარული ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც მიჩნეულია ქართული ხალხური ხითხურობის ერთ-ერთ ბრწყინვალე ნიმუშად. ამავე დროს მკვლევარმა ყურადღება მიაქცია აჭარული სახლის საცხოვრებელი ფართობის საკმაოდ შორს წასულ სეგმენტაციას, მის დანაწილებას მეურნეობრივი დანიშნულებისა და მასში მცხოვრები საქორწინო წყვილის მიხედვით, რაც კარგად პასუხობდა საოჯახო ცხოვრების განვითარებისა და მრავალრიცხოვანი ოჯახის ინტერესებს. ამ თვალსაზრისით მთური აჭარული სახლი, რომელმაც განვითარების ხანგრძლივი გზა განვლო, განიხი-

---

<sup>39</sup> აჭარულ სახლზე, მის ტიპებზე პირველად გ. ჩიტაიამ გაამახვილა ყურადღება, მაგრამ საგანგებოდ მას იგი არ შეუსწავლია (გ. ჩიტაია. ხევსურული სახლის სენე.-ანალები, I, თბ., 1947, გვ. 155-156). აჭარული საცხოვრებელი სახლის დაგეგმარებისა და მშენებლობის საკითხებზე, მისი სათავესოების ფუნქციონალური გამოყენების საკითხებზე იხილეთ აგრეთვე: თ. ჩიქოვანი. ზემო აჭარული სახლი.-ბსკიშ, I, ბათ., 1960, გვ. 95-102; ვ. შამილაძე. ალპური მეურნეობა საქართველოში, თბ., 1969, გვ. 128-132; ჯ. მიქელაძე. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში, ბათ., 1982; ნ. კახიძე. მესაქონლეობა მაჭახლის ხეობაში.-სდსმკყს, თბ., 1973, გვ. 39-4.

<sup>40</sup> აღ. რობაქიძე. დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში, გვ. 23.

ლება მატერიალური კულტურის ისეთ ელემენტად, რომელიც სანდო წყაროს წარმოადგენს საოჯახო ფორმათა შესწავლაში.

პროფესორ ალ. რობაქიძის ნაშრომებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოციალური ორგანიზაციის საკითხებისა და საკუთრების ფორმების კვლევას.

პირველ საკითხთან დაკავშირებით მის მიერ საგანგებოდაა შესწავლილი აჭარაში არსებული ნათესაობის სისტემა. გაშუქებულია მისი ზოგადქართული ბუნება და ლოკალური თავისებურებანი. ალ. რობაქიძე წერს: „აჭარაში, ისევე როგორც საქართველოს სხვა ეთნოგრაფიულ რეგიონებში, დადგენილია ნათესაობის გარკვეული ტიპის არსებობა ძველად. იგი ზოგად ლიტერატურაში პატრონიმიის სახელით არის ცნობილი და ხასიათდება რიგი ერთობლიობით სოციალური ურთიერთობის, მეურნეობრივი ცხოვრებისა და რწმენა-წარმოდგენათა სფეროში. სხვათა შორის, პატრონიმიული ორგანიზაციისათვის დამახასიათებელმა ამ ერთობლიობამ შექმნა ილუზია XIX საუკუნის აჭარაში გვაროვნული წყობილების გაბატონებული ადგილის შესახებ, რაც ხელოვნურად ამდაბლებს საქართველოს ამ კუთხის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს“. მკვლევარი შემდეგ იშველიებს საქართველოს სხვა კუთხის შესაბამის მონაცემებს და აღნიშნავს, რომ აჭარელთა პატრონიმიული ორგანიზაციის მოდელი (მამობა თუ ძირი, მოძმეობა თუ სამოძმეო) ანალოგიას პოულობს ხევსურული მამანის, მთიულური კომობის და სვანური ლამხუბის ტიპის ნათესაურ ერთეულებთან. აღნიშნული სოციალური ორგანიზაციის ზოგიერთი ნიშან-თვისება აჭარაშიც ის იყო, რომ განაყარი ოჯახების დასახლება ხდებოდა მამისეული სახლის მახლობლად. ასეთ ოჯახებს ახასიათებდა ურთიერთდახმარების



სავალდებულო წესი, ოჯახის გაყრის შემდეგ<sup>41</sup> საოჯახო ქონების საერთო მოხმარების პრაქტიკა და სხვა.

ნათესაური ურთიერთობისა და საოჯახო ყოფის საკითხები შემდგომ სხვათა ნაშრომებშიც აისახა<sup>42</sup>.

აჭარის წარსული ისტორიის შესწავლაში მნიშვნელოვანია ალ. რობაქიძის შეხედულებანი საკუთრების ფორმების შესახებ, რომლებიც განხილული სოციალური ორგანიზაციის საკითხებს უკავშირდება და რიგ შემთხვევაში ამ ორგანიზაციის ბუნების გარკვევის საშუალებას იძლევა. ამიტომაც განიხილავს მკვლევარი ამ საკითხებს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში და აქაც ამოსავალს, პირველ რიგში, საველე ეთნოგრაფიულ მასალებში ხედავს. ამ მასალების საფუძველზე იგი გამოყოფს სასოფლო თუ სათემო, საოჯახო და პატრონიმიული საკუთრების ფორმებს და ხაზს უსვამს აჭარაში საკუთრების თემური ფორმების ხანგრძლივ შემონახულობასა და მდგომარეობას. მიუხედავად იმისა, რომ აქაც, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, ამ პერიოდში გაბატონებული ადგილი კერძო საკუთრებას ეჭირა, ავტორის აზრით, საკუთრების ეს გადმონაშთური ფორმა გამოყენებული იყო როგორც პოზიცია, რითაც აჭარის მოსახლეობა ებრძოდა ოსმალთა ხელისუფლების მიერ აქ საკუთრების აღმოსავლური ფორმების დანერგვას. სათემო საკუთრების გადმონაშთების არსებობა, თავის მხრივ, განაპირობებდა საოჯახო საკუთრების შემონახულობას

---

<sup>41</sup> ალ. რობაქიძე. მასალები პატრონიმიული ორგანიზაციის ისტორიისათვის, გვ. 47; მისივე, ეთნოგრაფიული კვლევა ნ. ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. – ქართველოლოგიური კვლევის მნიშვნელოვანი კერა, თბ., 1986, გვ. 55; მისივე, ეთნოგრაფიული ექსპედიცია მართის ხეობაში.–დროშა, 1973, 28 ივნისი; А. И. Робакидзе. Традиционные формы поселения в Аджарии, с. 27.

<sup>42</sup> მ. ბეჭაია. ძველი და ახალი საქორწინო წეს-ჩვეულებანი აჭარაში, ბათ., 1974; თ. აჩუგბა. საოჯახო ყოფის ისტორიიდან ზემო აჭარაში. – სდსყკ, VII, თბ., 1979; ნ. მგელაძე. ნათესაური ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი აჭარაში ადათობრივი ნორმების შუქზე.–მაცნე, №3, თბ., 1984.

აჭარაში, რომელიც თავისებურ ხასიათს ატარებდა. საკითხის შესწავლისას მიღებული ავტორისეული დასკვნები ასეთია: ერთი მხრივ, საოჯახო საკუთრების ამგვარი ფორმა არ შეიძლება გაიგივებული იქნეს ინდივიდუალური ოჯახისათვის დამახასიათებელ კერძო საკუთრებასთან, მიუხედავად იმისა, რომ შემადგენლობით ეს ოჯახი ისევე მრავალრიცხოვანი იყო და ფუნქციების განაწილებითაც დიდად არ განსხვავდებოდა ძველი ტიპის ოჯახისაგან. მეორე მხრივ, საოჯახო საკუთრების ეს ფორმა არც გვაროვნული იყო, რადგან საერთო საკუთრების ერთადერთ ფორმას სასოფლო-თემური საკუთრება წარმოადგენდა. საკუთრების ფორმები მიწისმფლობელობის ფორმებთან დაკავშირებით აჭარაში შესაბამისი საარქივო წყაროებისა და ისტორიული ლიტერატურის მონაცემებზე დაყრდნობით ადრეც იყო შესწავლილი<sup>43</sup>, მაგრამ საკუთრივ ეთნოგრაფიულმა მასალებმა, რომლებიც შეკრებილი იქნა აჭარის მთის ზონის სოფლებში, ახალი დამატებითი საბუთი მოგვცა დასმული საკითხების კვლევისათვის.

სხვა მნიშვნელოვანი დასკვნა ღორჯომის ხეობაში (სოფელი აგარა) ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე შეეხება აჭარული ოჯახისათვის დამახასიათებელ ქონებრივ ურთიერთობათა სისტემის განვითარების ორ სხვადასხვა საფეხურს. მათგან უძველესად მიჩნეულია ოჯახის ის ფორმა, რომელიც გულისხმობდა საოჯახო ქონების თანაბარ განაწილებას მოწილეთა შორის. საუფროსო-საუმცროსო და სხვა ამ რიგის დანამატი თანაბარი განაწილების პრინციპს ეწინააღმდეგებოდა და ამდენად, იგი ფაქტიურად საოჯახო თემური ტრადიციების რღვევაზე მიუთითებდა. მაგრამ საოჯახო საკუთრების ამ ფორმას დიდი ხნის წინათ ჰქონდა დაკარგული თავისი მნიშვნელობა, რომელმაც ადგილი დაუთმო მამის უფლებაზე დაფუძნებულ პატრიარქალურ ოჯახს.

---

<sup>43</sup> ა. ავალიანი. მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში, ბათ., 1960.

უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალთა სამასწლოვანმა ბატონობამ თვალსაჩინო დადი დაასვა აჭარული ოჯახის საერთო განვითარებას. ეს იმაში გამოიხატება, რომ აჭარაში ამ პერიოდშიც ადგილი ჰქონდა საოჯახო-თემური ტრადიციების გადმონაშთებს. მიუხედავად ამისა, აჭარული ოჯახი შეესატყვისებოდა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ორგანიზაციის უფრო განვითარებულ საფეხურს, ვიდრე ეს საქართველოს მთიანეთის სხვა რაიონების მოსახლეობის საოჯახო ყოფის შესახებ ითქმის. სწორედ ამაში ვლინდება აჭარული ოჯახის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება.

აღ. რობაქიძის ნაშრომებში დასახლების ფორმებთან დაკავშირებული საკითხების კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა აჭარის სამეურნეო პროფილის ბუნების გარკვევა-დახასიათებას მეურნეობრივ-კულტურული ტიპის რაობის შუქზე.

საქართველოს ცალკეული კუთხეებისათვის დამახასიათებელი ყოფისა და კულტურის ელემენტების თავისებურებათა შედარებითი შესწავლის საფუძველზე მკვლევარი გამოყოფს სამ ძირითად ზონას (კოლხეთის დაბლობი, აღმოსავლეთ საქართველოს ბარი, საქართველოს მთიანეთი), რომლებიც სხვადასხვა მეურნეობრივ-კულტურულ ტიპებს განეკუთვნებიან. ამ კვალიფიკაციით აჭარის მთიანეთი მესამე, ხოლო მისი ბარი პირველ ზონაში ექცევა. პირველი ზონის მეურნეობრივ საფუძველს წარმოადგენდა მიწათმოქმედება (წამყვანი დარგი) და მასთან დაკავშირებული მესაქონლეობა, მაღლარი მევენახეობა. საქართველოს მთიანეთისათვის ძირითადი იყო მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სიმბიოზური ფორმა. რიგ შემთხვევაში მესაქონლეობას წამყვანი ადგილი ეჭირა. საკუთრივ ზემო აჭარის მისამართით მკვლევარი წერს: „აჭარელთა ეკონომიკური ყოფის საფუძველს ძველთაგანვე მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სიმბიოზური ფორმა შეადგენდა, მაგრამ მეურნეობის ამ ორი ძირითადი დარგის თანაშეფარდება აჭარის სხვადასხვა რაიონში სხვადასხვა იყო. თუ ქობულეთისა და ბათუმის რაიონებში

მეურნეობის წამყვან დარგს მიწათმოქმედება შეადგენდა, აჭარის მაღალმთიან ზოლში მეურნეობა მესაქონლეობას მიჰყავდა“. ამასთან ერთად, მკვლევარი შენიშნავს, რომ მესაქონლეობის წამყვანი მნიშვნელობა მთიანი აჭარის მეურნეობაში აჭარელთა ყოფის ყველა სფეროში იჩენს თავს. მისი დასკვნით, მეურნეობის პროფილირების თვალსაზრისითაც ზემო აჭარა ხასიათდება საქართველოს მთიანეთის ტიპური ნიშნებით და საქართველოს ალპური მეურნეობის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, „ზემო აჭარისათვის დამახასიათებელია დაწინაურებული მიწათმოქმედებაც საქართველოს მთიანეთის სხვა რაიონებთან შედარებით, სადაც მესაქონლეობა წამყვან მნიშვნელობას ინარჩუნებდა“. ეს ფაქტი ახსნილია იმით, რომ „მთიანი აჭარის დასახლებათა საშუალო სიმაღლე რამდენადმე ნაკლებია, ვიდრე საქართველოს მთიანეთის სხვა რაიონებში და კლიმატითაც აჭარა რამდენადმე განსხვავდება აღნიშნული რაიონებისაგან“<sup>44</sup>.

როგორც ვხედავთ, ამ ფაქტორების გათვალისწინება დღესაც არ კარგავს მნიშვნელობას აჭარის მთის ზონაში სასოფლო-სამეურნეო დარგთაშორისი შეთანწყობისა და განვითარების თვალსაზრისით.

აღ. რობაქიძის ნაშრომებში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს აგრეთვე იმ სპეციფიკური ვითარების შეფასებას, რომელშიც აჭარა აღმოჩნდა ოსმალთა სამსაუკუნოვანი ბატონობის პერიოდში. ამის შესახებ ნაწილობრივ ზემოთაც ითქვა, მაგრამ ამჯერად საკითხის სხვა მხარეზე შევჩერდებით.

ისტორიული ლიტერატურისა და კონკრეტული სავლე ეთნოგრაფიული მონაცემების შესწავლისა და ანალიზის

---

<sup>44</sup> აღ. რობაქიძე. დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში, გვ. 12, 18-19; აჭარის მთური ტიპის მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის შესახებ იხ: ნ. ჩიჯავაძე. სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში, თბ., 1971; ვ. შამილაძე. ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბ., 1969.

საფუძველზე მკვლევარმა ცხადყო, რომ ქართველი ხალხის ძნელბედობის უმძიმეს პერიოდში, როდესაც მძლავრი ფეოდალური მონარქია დაიშალა და აჭარა ოსმალეთის ბატონობაში მოექცა, მას არ გაუწყვეტია შინაგანი კონტაქტი საქართველოსთან და აქტიური თუ პასიური ბრძოლის მეშვეობით სათუთად იცავდა გადაგვარებისაგან კულტურისა და ყოფის ძველ ქართულ ტრადიციებს<sup>45</sup>. ნათქვამის საილუსტრაციოდ იგი რამდენიმე მაგალითს იმოწმებს, კერძოდ: ტანსაცმელს, რომელმაც აჭარაში, მიუხედავად არაქართული ტერმინების მომძლავრებისა, მტკიცედ შემონახა ქართული ეროვნული სახე; მესაქონლეობასთან დაკავშირებულ და ორთოდოქსალური ისლამის დოგმებისათვის აშკარად შეუწყნარებელ მაგიურ რიტუალს ბოსლობის სახით, რომელიც აჭარელთა ოჯახებში საიდუმლო ვითარებაში სრულდებოდა; ხეზე, ქვაზე, ლითონზე თუ ქსოვილზე ტრადიციული ქართული ორნამენტის კვეთის ტრადიციების შემონახულობას გეომეტრიული, მცენარეული, ზოომორფული თუ ასტრალური სახეებით, სადაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ვაზისა და ჯვრის გამოსახულება, რომელიც, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, მთელი ქართული ქრისტიანობის – ქართველობის სიმბოლოდ იყო მიჩნეული, ხოლო აჭარაში მისი შემონახულობა ქართველობისათვის აჭარელთა ბრძოლის ერთ-ერთი შედეგი უნდა ყოფილიყო; აჭარული ოჯახის შინაგანი წყობა, რომელსაც ძირითადად არ დაუკარგავს ქართული სახე და შემონახა ძირძველი ქართული ოჯახისათვის დამახასიათებელი ტრადიციები; წმინდა ქართული ნათესაური ურთიერთობისა და ნორმების ამსახველი ტერმინოლოგიის შემონახულობას, საქორწინო ურთიერთობების ძველ ტრადიციებსა და მასთან დაკავში-

---

<sup>45</sup> ალ. რობაქიძე. რედაქტორისაგან.–სდსმკყს, I, თბ., 1973, გვ. 4.

რებულ წეს-ჩვეულებებს, რომლებიც აჭარაში ვერ აღმოფხვრა ისლამმა<sup>46</sup>.

ამრიგად, როგორც ალ. რობაქიძის გამოკვლევებშია ნაჩვენები, ოსმალთა სამსაუკუნოვანმა ბატონობამ და მის საფუძველზე ძალით დანერგილმა მუსლიმანურმა ფანატიზმმა თავისი დამახასიათებელი ნორმების ზეგავლენით აჭარის მოსახლეობაში მთლიანად ვერ წაშალა ქართული სახე, ქართული სული, ყოფისა და კულტურის თვითმყოფადი ელემენტები, ქართული ენა და ზნე-ჩვეულებები. ამ საქმეში დიდია აჭარელი ქალის როლი, მიუხედავად იმისა, რომ ისლამმა იგი ჩადრში გახვია, გარკვეული ვადით მოწყვიტა აქტიურ საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებას და უმთავრესად საოჯახო-სამეურნეო საქმიანობის სფეროში ჩაკეტა. აჭარის მოსახლეობამ მძიმე განსაცდელის ჟამს არა მარტო შეინარჩუნა ძირითადად ძველი ქართული ტრადიციები, არამედ მას არც ეკონომიკური თუ კულტურული კავშირები გაუწყვეტია დედა-სამშობლო საქართველოსთან, ამასთან დაკავშირებით ალ. რობაქიძე წერს: „აჭარაში არ არის კულტურისა და ყოფის არცერთი სფერო, რომელიც არ გვაძლევდეს დამაჯერებელ საბუთს საქართველოს ამ კუთხის აქტიური და უწყვეტი მონაწილეობისა ქართველი ხალხის მატერიალური თუ სულიერი კულტურის განვითარების პროცესში“.

ალ. რობაქიძის ნაშრომებში აჭარის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულის სხვა საკითხებზეც არის შესწავლილი. ამ მხრივ აღსანიშნავია ის ნაშრომები (ანგარიშები) და საგაზეთო სტატიები, რომლებშიც დანახასიათებელია ეთნოგრაფიის განყოფილების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითადი შედეგები. საყურადღებოა მისი შეხედულებანი აჭარის მთური ტიპის მიწათმოქმედების, ალპური მეურნეობაზე, ხელოსნობაზე, მატერიალურ კულტურაზე (ხალ-

---

<sup>46</sup> ალ. რობაქიძე. ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება აჭარაში.—გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №7 აგვისტო, 1971.

ხური ორნამენტი, ტანსაცმელი), ახალ ყოფაზე და სხვა საკითხებზე, რომლებიც მან გამოთქვა ცალკეულ მეცნიერ თანამშრომელთა მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების მიმოხილვისა და ანალიზის საფუძველზე<sup>47</sup>.

ამრიგად, პროფესორმა ალექსი რობაქიძემ თავისი ნაშრომებით დიდი ღვაწლი დასდო აჭარის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შესწავლას. კვლევის სფეროში მან პირველ რიგში ის ძირითადი საკითხები მოაქცია, რომლებიც მანამდე არ შეისწავლებოდა. მისმა აღზრდილებმა მისივე ხელმძღვანელობით ამ საკითხების შესწავლა შემდგომ განავითარეს და წინ წასწიეს. ალ. რობაქიძის უშუალო დამსახურების შედეგია ისიც, რომ ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დღეს ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების ერთ-ერთ წამყვან ცენტრად იქცა ჩვენს ქვეყანაში.

### **პროფესორ ალექსი რობაქიძის ნაშრომთა სია, რომელიც ეძღვნება აჭარის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შესწავლას.**

1. დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში.–ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, 1, ბათ., 1960 (გვ. 11-24 – ილუსტრაციებით).
2. დასახლება და საცხოვრებელი ნაგებობანი აჭარაში.–აჭარის მოსახლეობის კულტურისა და ყოფის საკითხები, თბ., 1963 (გვ. 5-22 – ილუსტრაციებით).

---

<sup>47</sup> ნ. ჩიჯავაძე. აჭარის სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში, თბ., 1971; ვ. შამილაძე. ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბ., 1969; ნ. კახიძე. მაჭახლის ხეობა, ბათ., 1974; ჯ. ვარშალომიძე. ორნამენტი ხეზე, ბათ., 1979; ი. სამსონია. მამაკაცის კოსტუმი საციხურიდან.–სდსყკს, 1, თბ., 1973; ლ. კალანდარიშვილი. აჭარის კოლმეურნეთა ყოფა და კულტურა, ბათ., 1970; მ. ბეჟაია. ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათ., 1974; თ. აჩუგბა. ქალის საოჯახო მდგომარეობა აჭარაში.–სდსყკ, XII, თბ., 1986; ნ. მგელაძე. ნათესაური ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი აჭარაში ადათობრივი ნორმების შუქზე.–მაცნე, №3, თბ., 1984.

3. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების მოკლე ანგარიში (1958-1969)–სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურისა და ყოფის საკითხები, I, თბ., 1973 (გვ. 6-15).
4. რედაქტორისაგან.–სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურისა და ყოფის საკითხები, I, თბ., 1973 (გვ. 3-5).
5. მასალები პატრონიმიული ორგანიზაციის ისტორიისათვის აჭარაში.–სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურა და ყოფა, თბ., II, თბ., 1974 (გვ. 25-49 – ილუსტრაციებით).
6. Традиционные формы поселения в Аджарии.-Очерки этнографии Аджарии, Тб., 1982, с. 3-37.
7. Этнографическая работа в Аджарской АССР.-Пути развития грузинской советской этнографии. Тб., 1983 (с.139-150).
8. ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება ნ. ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.–ქართველოლოგიური კვლევის მნიშვნელოვანი კერა, თბ., 1986 (გვ. 53-60).

### რეცენზია

საინტერესო ნაშრომი აჭარელთა სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (რეცენზია ვ. მგელაძის წიგნზე “ზემო აჭარული სოფელი ძველად“.–სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, I, თბ., 1977 (გვ. 113-118).



## საგაზეთო სტატიები

ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება აჭარაში.—საბჭოთა აჭარა, № 153, 1971 (7 აგვისტო).

Научный центр в Батуми.—Советская Аджария, №51, 1975 (13 март).

ეთნოგრაფიული ექსპედიცია მარიტის ხეობაში.—დროშა, №., 1973 (28 ივნისი).

## ბახვა გამყრელიძე

### სამეურნეო ყოფის საკითხები ალექსი რობაქიძის შემოქმედებაში

ალექსი რობაქიძე, ჩვენი დროის გამოკვეთილი ფიგურა ისტორიოგრაფიაში, ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელია. მან განვლო ვრცელი და შინაარსიანი გზა და სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობით წარუშლელი კვალი დასტოვა. მრავალმხრივი იყო ალექსი რობაქიძის შემოქმედება, რომლის შეფასება მცირე მოცულობის ერთ წერილში ან გამოსვლაში შეუძლებელია და არც ჩვენ ვაძლევთ თავს ამის უფლებას. შევეცდები მხოლოდ ზოგიერთ მომენტს გავუსვა ხაზი.



სესის მონაწილენი. გონოს ციხე.  
მარჯვნიდან მარცხნივ: ბახვა გამყრელიძე,  
გიორგი თავაძაიშვილი, ეკატერინე რობაქიძე,  
ნანული ჯაგაზაძე, ნინო ჩხაიძე

სამეცნიერო მოღვაწეობა ალექსი რობაქიძემ სამეურნეო ყოფის კვლევით დაიწყო. ამ პრობლემას მიუძღვნა არაერთი ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფიები: „კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში“ და „მეფუტკრეობის ისტორიისათვის“. გამოიკვლია შრომის ორგანიზაცი-

ის ფორმები („მოდგამი როგორც ექსპლოატაციის ერთი ფორმა რევოლუციამდელ საქართველოში“) და სხვა. ყველა ნაშრომში წინა პლანზეა წამოწეული სამეურნეო ყოფის სოციალური ასპექტები.

შემდგომ მისი კვლევის ძირითადი ობიექტი გახდა მატერიალური კულტურა და სოციალური ურთიერთობები, და-

სახლების ფორმები და საცხოვრებელი ნაგებობები, სოციალური სტრუქტურა და ეთნიკური პროცესები, ქართულ-კავკასიური კულტურულ-ისტორიული პრობლემები. 1961 წლის ბოლოს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, მისი ინიციატივით არსდება კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილება. დამყარდა მჭიდრო კავშირები იმიერ და ამიერ კავკასიის სამეცნიერო ცენტრებთან, გაიშალა მუშაობა, ერთი მხრივ, ჩრდილოეთ კავკასიის, ხოლო, მეორე მხრივ, მცირე კავკასიონის მიმართულებით, ფართო ხასიათი მიიღო საექსპედიციო მუშაობამ, რომლებშიც კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობდნენ მეცნიერ თანამშრომლები ჩრდილოეთ კავკასიის, სომხეთისა და აზერბაიჯანის სამეცნიერო და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებიდან. შეიკრიბა უაღრესად ფასეული ეთნოგრაფიული მასალა, გრაფიკულად დამუშავდა მატერიალური კულტურის ძეგლები, გაკეთდა სოფელთა სქემები და დამზადდა ფოტო ილუსტრაციები. ყოველივე ეს საფუძვლად დაედო მისი ხელმძღვანელობით გამოცემულ „კავკასიის ეთნოგრაფიულ კრებულებს“, მონოგრაფიულ გამოკვლევებს საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ყოფისა და კულტურის საკითხებზე, პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებს, საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებს. ალექსი რობაქიძემ შესძლო თავის გარშემო შემოეკრიბა მთელი კავკასიის ახალგაზრდობა. მისი ხელმძღვანელობით მზადდებოდა კადრები კავკასიის სამეცნიერო ცენტრებისათვის. სწორედ მისმა დიდმა ძალისხმევამ, მეცნიერულმა ალლომ, ფართო ერუდიციამ და თვალსაწიერმა, დიდმა ავტორიტეტმა და შეიძლება ითქვას, ორატორულმა ხელოვნებამ, განაპირობა ის, რომ კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილება სულ მოკლე ხანში გადაიქცა საბჭოთა კავშირში უპირველეს კავკასიოლოგიური კვლევის ცენტრად.

სამეურნეო ყოფა ბოლომდე არ ამოვარდნილა ალექსი რობაქიძის შემოქმედებიდან. კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფი-

ფილებაში მისი ხელმძღვანელობით მუშავდებოდა მიწათმოქმედებასთან და მესაქონლეობასთან დაკავშირებული პრობლემები, რასაც მიეძღვნა მონოგრაფიული გამოკვლევები, დაცული იქნა საკანდიდატო, შემდეგ სადოქტორო დისერტაციები ქართულ-კავკასიური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის ჭრილში. ამ პრობლემატიკაში წინა პლანზე იყო წამოწეული საკითხის სოციალური ასპექტები. თავად მკვლევარი დიდ ყურადღებას უთმობდა დასახლების სამეურნეო ფაქტორებს და ამით ხსნიდა საქართველოსა და კავკასიის ეთნიკური ისტორიის საკმაოდ რთულ პრობლემებს. შეიძლება დავასახელოთ ერთი მაგალითი.

მკვლევარი ეხება ჩრდილოეთ ოსეთში გავრცელებულ ტოპონიმს „ქურთათას“ ეტიმოლოგიას და მას ტერმინ «каерта»-ს მეშვეობით ხსნიდა. ოსური ტერმინი каерта ეზოს მნიშვნელობით, აღნიშნავს ის, თავისი ძირებით ირანულ ტერმინოლოგიამდე დადის და საკუთრების ფორმებთანაა დაკავშირებული. მასში, როგორც პირვანდელი მნიშვნელობით ისე გვიანდელი გაგებით, კავკასიის სხვადასხვა ხალხში მიწაზე ადრეფეოდალური საკუთრების ფორმები აირეკლება. აქედან გამომდინარე, ტოპონიმ „ქურთათას“ საფუძველში სწორედ ეს ტერმინი უნდა იყოს ჩადებული. ქურთათის ხეობა, განაგრძობს მკვლევარი, მეზობელი რაიონებისათვის საქონლის საზაფხულო საძოვრად გამოიყენებოდა. აქ ეწყობოდა მათი პარალელური სამეურნეო ბაზები, დროებითი სადგომები – **ქართა**, რომლებიც თანდათანობით მუდმივ საცხოვრებელ ადგილად იქცეოდა და სოფლად ყალიბდებოდა. ამ პროცესებთან დაკავშირებით, აღნიშნულ ტერმინზე მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი -**თა**-ს დამატებით მივიღეთ ხეობის, როგორც დასახლებული პუნქტის სახელწოდება **ქურთათა**.

ეს არის ჩამოყალიბებული დებულება, რომელშიც აისახა ქურთათის ხეობაში მეზობელი რაიონებიდან მოსახლეობის მიგრაციის სამეურნეო ფაქტორი.

აღ. რობაქიძის ინტერესთა სფეროში საქართველოს კუთხეებიდან განსაკუთრებით აჭარის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა შედიოდა. იგი იყო ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი, ამ სამეცნიერო უჯრედში ეთნოგრაფიულ პრობლემათა ხელმძღვანელი. აქ მისი ხელმძღვანელობით მომზადდა სამეცნიერო კადრები, დაცული იქნა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, სისტემატურად, ყოველწლიურად გამოდიოდა კრებულები „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყოფა და კულტურა“, დაიბეჭდა მონოგრაფიული გამოკვლევები.

აჭარის გვერდით ალექსი რობაქიძე უდიდეს ყურადღებას სვანეთს უთმობდა. სხვა გამოკვლევებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მისი სიცოცხლის ბოლო ხანებში მომზადდა სვანეთისადმი მიძღვნილი სამი მონოგრაფია, მათ შორის ერთ-ერთი მიეძღვნა მეურნეობის საკითხებს და გამოიცა რუსულ ენაზე სათაურით: – „სამეურნეო ყოფის ძირითადი ნიშნები სვანეთში“. დასახელებულ ნაშრომში, ვერტიკალური ზონალობის ჭრილში, ცალკეული რეგიონის მიხედვით, ბალს-ზემო, ბალსქვემო და ქვემო სვანეთში, განხილულია სამეურნეო ყოფის საკითხები, ძირითადად შესწავლილია მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, გაანალიზებულია ავტორის მიერ ათეული წლების განმავლობაში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა, საარქივო დოკუმენტები და სპეციალური ლიტერატურული მონაცემები. მოცემულია სამეურნეო ყოფის ის ნიშნები, რომელთაც შეიძლება ხელი შეუწყონ სვანთა სოციალური სტრუქტურის შესწავლას. საგანგებოდ უნდა გავუსვათ ხაზი, რომ მკვლევარის ძირითადი მიზანია გამოავლინოს სამეურნეო ყოფის ის თავისებურებები, რომელთაც გარკვეული გავლენა მოახდინეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ქართველ მთიელთა სოციალური კულტურის სპეციფიკური ნიშნების ფორმირების პროცესში.

სვანეთის სამეურნეო ყოფისადმი მიძღვნილ დასახელებულ მონოგრაფიაში, რომელიც წარმოადგენს პირველი წიგნის –

დასახლებისა და საცხოვრებელი ნაგებობების, როგორც სვანთა საზოგადოებრივი შესწავლის წყაროს უშუალო გაგრძელებას, განსაზღვრულია მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ხვედრითი წონა სვანთა სამეურნეო ცხოვრებაში, მეურნეობის ამ დარგთა სინთეზის თავისებურებები, მის სხვადასხვა ტიპოლოგიურ ვარიანტებში და სვანეთის განსხვავებულ შიდარეგიონულ ზონებში. ჩამოყალიბებულია დებულება, რომლის მიხედვითაც ბალსზემო სვანეთის ბუნებრივი პირობები, გეოგრაფიული გარემო და კლიმატური თავისებურებები განაპირობებდა აქ სამეურნეო ყოფის ფორმირებას. სამეურნეო ყოფაში მეურნეობის ძირითადი დარგები – მიწათმოქმედება და მესაქონლეობა სიმბიოზურად ვითარდებოდა, სადაც მესაქონლეობას, რომელიც შიდაალპურ ხასიათს ატარებდა, წამყვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მეურნეობის ამ დარგთა შეფარდება სვანეთის სხვადასხვა რეგიონში, ბალსზემო სვანეთის მაგალითზეც კი, იცვლებოდა მიწათმოქმედების სასარგებლოდ, სამიწათმოქმედო ფონდების მომატებასთან დაკავშირებით. დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით, სათანადოდაა ყურადღება გამახვილებული მიწათსარგებლობისა და საკუთრების ფორმებზე.

ზემო სვანეთის მოსახლეობა მისდევდა არა მარტო მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას. მათ ეკონომიკურ ცხოვრებაში, საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურზე და მის შემდეგაც დიდი ხნის განმავლობაში, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მონადირეობას. დადგენილია, რომ ანტიკური დროიდან მოყოლებული ახლო წარსულამდე, სვანები აქტიურად მისდევდნენ მეფუტკრეობას და გარკვეული რაოდენობის თაფლი და სანთელი გაჰქონდათ თავიანთი კუთხის ფარგლებს გარეთ. აღნიშნულია ზემო სვანეთის ბუნებრივ სიმდიდრეებზე, პირველ რიგში ოქროზე, რაზეც ანტიკური წყაროებიც მიუთითებენ.

ბალსქვემო სვანეთთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ აქ მიწათმოქმედება შედარებით ფართო მასშტაბითაა წარმოდგენილი. მეურნეობის ძირითადი დარ-

გები აქაც სიმბიოზურად ვითარდებოდნენ და ურთიერთ წარმატებას განაპირობებდნენ. სამეურნეო ყოფის განვითარების ხასიათსა და მიმართულებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ფეოდალური მიწათმფლობელობის ფორმები. ამ მხრივ, სვანეთის ეს ორი მომიჯნავე რეგიონი, პრინციპულად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. იგივე, შეიძლება ითქვას ქვემო სვანეთთან დაკავშირებით.

განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება სვანეთის სამეურნეო ყოფის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დამახასიათებელ თავისებურებაზე, „ლაბაგების“ სისტემაზე, როგორც სოფელთა განსახლების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორზე. ეს ძირითადად ბალსქვემო და ქვემო სვანეთისათვისაა დამახასიათებელი. „ლაბავი“ იყო პარალელური სამეურნეო ბაზა, რომელიც დიდი ოჯახის მთელი ძალებით ეწყობოდა სოფლის მოშორებით მდებარე სამეურნეო ფართობებზე და საფუძველშივე ქმნიდა დიდი ოჯახის, ამ სოციალური ერთეულის, დაშლის პირობებს. ლაბავზე მეურნეობის თანადართობით გაფართოებასთან ერთად, დროებით სადგომს კაპიტალური ნაგებობა ცვლიდა, სადაც დიდი ოჯახის დაშლის შემდეგ ერთ-ერთი განაყოფი ოჯახი მკვიდრდებოდა და მუდმივ საცხოვრებელ ადგილად იქცეოდა. ამით საფუძველი ეყრებოდა ახალი დასახლებული ერთეულის, სოფლის არსებობას.

ამჯერად მიზნად არ ვისახავ სრულად წარმოვაჩინო ალექსი რობაქიძის შემოქმედების თუნდაც ერთი პრობლემა. შევეცადეთ ზოგიერთი დეტალისათვის გაგვესვა ხაზი. ეს კი საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ მის მოწაფეებს, რომელთა შორის მეც მაქვს პატივი ვიყო, მძიმე მაგრამ მეტად საპასუხისმგებლო ტვირთვი გვაწევს მხრებზე – მეცნიერული კეთილსინდისიერებით განვლოთ ჩვენი მოძღვარის მიერ გაკვალული გზა, ჩვენი წვლილი შევიტანოთ მის თვალსაწიერში მოხვედრილი პრობლემების შემდგომ კვლევაში.

## სალომე ბახია-ოქრუაშვილი

### ოჯახი და პატრონიმია ალექსი რობაქიძის სამეცნიერო მემკვიდრეობაში

საქართველოსა და კავკასიის ხალხების ეთნოგრაფიული ყოფისა და კულტურის თვალსაჩინო მკვლევარმა ალექსი ივანეს ძე რობაქიძემ თავისი მაღალკვალიფიციური ნაშრომებით მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა კავკასიოლოგიაში. მის მრავალრიცხოვან გამოკვლევებში სოციალური ყოფის ამსახველ საკითხებს ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვთ. ამ ნაშრომებში გაშუქებულია სოფლის თემი, დასახლების ფორმები, ოჯახი, სისხლ-მესისხლეობა, მამამძუძეობა და მრავალი სხვა ინსტიტუტი.



სალომე ბახია, ნანული ჯავახიაძე

ტერესდა ალ. რობაქიძე, რომელმაც იგი აშუქა.

სოციალურ ურთიერთობათა სფეროდან ერთ-ერთმა პრობლემამ, რომელიც ცნობილია პატრონიმიული ორგანიზაციის სახელწოდებით,<sup>48</sup> - ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში განსაკუთრებული გა მოხმაურება ჰპოვა. ამ პრობლემით თავიდანვე დაინიშნა იგი ახლებურად გა-

<sup>48</sup>М. О. Косвен. Распад родового строя у удмуртов.- «Ученые записки научно-исследовательского института народов Советского Востока», вып. II, М., 1931.



ეს სოციალური ინსტიტუტი დაფიქსირდა კავკასიის მთელ რიგ ხალხში, რომლებსაც ყველა ენაზე თავისი შესაფერი ტერმინი აღმოაჩნდა. კავკასიის ხალხთა საზოგადოებრივ ყოფაში იგი შორს წასული რღვევის პროცესში იქნა მიკვლეული. ჩვენამდე პატრონიმამ გადმონაშთისა და ზოგჯერ ფრაგმენტული სახით მოაღწია. რღვევის პროცესს მრავალმა ფაქტორმა შეუწყო ხელი, მათ შორის, სოციალისტურმა რევოლუციამ და კოლექტივიზაციამ. კოლექტივიზაციის პირობებში პატრონიმიულმა ორგანიზაციამ დაკარგა ის მთავარი და რეალური საფუძველი, რაც საკუთრების ფორმასა და მეურნეობის ერთობლიობაში გამოიხატებოდა.

პატრონიმიის გენეზისის, სტრუქტურისა და ფუნქციის შესახებ თავიდანვე ორი საწინააღმდეგო თვალსაზრისი ბატონობდა. პირველი – რომლის მიხედვით პატრონიმიის გაჩენა დაკავშირებული იყო პატრიარქალურ გვაროვნულ წყობილებასთან,<sup>49</sup> ხოლო მეორე – თავისი ბუნებით პრინციპულად განსხვავებული პირველისაგან, რომელიც გულისხმობდა ამ ინსტიტუტის წარმოშობას კლასობრივ საზოგადოებაში.<sup>50</sup> ორი ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისი წარმოიქმნა იმის ნიადაგზე, რომ პატრონიმიული ორგანიზაციის ბუნებისა და ევოლუციის კვლევისას თავიდანვე იქმნებოდა შთაბეჭდილება გვარისა და პატრონიმიის იგივეობის შესახებ, იმ გარეგნული მსგავსი ნიშნების გამო, რომლებიც ორივეს გააჩნდა (ეგზოგამია, სისხლ-მესისხლეობა ...).<sup>51</sup> სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა კავკასიის მთიელთა საზოგადოებრივი ურთიერთობის პატრიარქალურ-გვაროვნული თეორია, რომელიც წლების მანძილზე დამკვიდრებული იყო ქართულ ეროვნულ ისტორიოგრაფიაში.

<sup>49</sup>М. О. Косвен. Семейная община и патронимия, М., 1963.

<sup>50</sup>А. И. Робакидзе. Особенности патронимической организации у народов горного Кавказа.- СЭ, №5, М., 1968, с. 103-104.

<sup>51</sup>В. К. Гарданов. А. И. Першиц. М. О. Косвен – историк первобытного общества и кавказовед, М., 1979, с. 336-337.

პატრონიმიული ორგანიზაციის კვლევაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რ. ხარაძის ნაშრომმა ხევსურული „ძირი“ და „გვარი“.<sup>52</sup> ამ ნაშრომში პირველად დადგინდა ისეთი ნათესაური გაერთიანება, როგორც იყო **მამანი** (პატრონიმია). რ. ხარაძის მიერ აღწერილი ნათესაური ჯგუფის სტრუქტურა აშკარად პატრონიმიული ორგანიზაციის სტრუქტურის მსგავსი იყო, თუმცა ეს ტერმინი მას საერთოდ არ გამოუყენებია, რადგანაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, იმ დროისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული იყო მოსაზრება კავკასიის მთიელებში პატრიარქალურ-გვაროვნული წყობის არსებობის შესახებ. რ. ხარაძის მიერ ორმოციან წლებში მოპოვებული იყო ისეთი სისრულის მასალა, რომლის მსგავსის მოპოვებაც, ბუნებრივია, შემდგომი პერიოდისათვის გამორიცხული დარჩა. ამ ნაშრომში ყურადღება გამახვილებული იყო სოციალური სტრუქტურისა და სოციალური ორგანიზაციის წევრთა ფუნქციათა ყველა იმ მნიშვნელოვან კომპონენტზე, რომელიც შემდგომში მიღებული გახდა პატრონიმიული ორგანიზაციის განმსაზღვრელ ნიშნებად.

მიწათსარგებლობის უძველესი ფორმების შესწავლის პროცესში და პატრონიმიის საერთო საკუთრების კვლევის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ვ. ბარდაველიძემ. ხევსურეთის ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით დაადგინა საზოგადოებრივი მიწათსარგებლობის ორი ფორმა: სამამო ანუ პატრონიმიული და სამძო საკუთრება. საკომლო სიების, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის შესახებ ეთნოგრაფიული მასალის, გენეალოგიური სქემების და კარტოგრამების შეჯერების შედეგად ხევსურეთის მოსახლეობა იყოფოდა სამძოებისა და პატრონიმიების მიხედვით, რომელთაც ჰქონდათ საერთო სახელწოდება, საერთო საკუთრება. ავტორმა ხევსურული „მამანი“ გენეტურად

---

<sup>52</sup> რ. ხარაძე. ხევსურული „ძირი“ და „გვარი“ – მიმომხილველი, I, თბ., 1949.

თემური წყობილების ადრინდელ საფეხურს დაუკავშირა,<sup>53</sup> თუმცა მას უკვე ჰქონდა გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ქართველი მთიელების საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველი არა გვაროვნული ურთიერთობა, არამედ ადრე კლასობრივი წყობა უნდა ყოფილიყო.<sup>54</sup>

50-იანი წლების ბოლოდან, პატრონიმიული ორგანიზაციის ბუნებისა და ევოლუციის საკითხის კვლევითი ალექსი რობაქიძის მიერ კავკასიისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში იკრიბებოდა ეთნოგრაფიული მასალა, რომლის შეჯერებისა და ანალიზის შედეგად ჯერ 1958 წელს სვანეთისა<sup>55</sup> და შემდეგ ჩრდილო კავკასიის მთიელთა დასახლების ფორმების შესწავლისას XV-XVI საუკუნეების თავდაცვითი ნაგებობანი ადრეფეოდალური, ადრეკლასობრივი წყობის დროინდელი აღმოჩნდა.<sup>56</sup>

1967 წელს ჟურნალ «Советская этнография»-ს ფურცლებზე გაიმართა დისკუსია, რომელიც მიემდგვნა პატრონიმიის გენეზისის საკითხის გამოკვლევას და მის მიმართებას სხვა სოციალურ ორგანიზაციებთან. მეცნიერები ცდილობდნენ ეროვნული საზოგადოების მრავალი ასპექტი ახლებურად განესაზღვრათ და გაერკვიათ პატრონიმიის

---

<sup>53</sup> В. В. Бардавелидзе. Древнейшие формы землевладения в свете грузинских этнографических материалов, М., 1964, с. 2.

<sup>54</sup> В. В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тб., 1957.

<sup>55</sup> А. И. Робакидзе. О форме поселения в Сванети.- КСИЭ, XXIX, М., 1958.

<sup>56</sup> რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე. სვანეთის სოფელი ძველად. თბ., 1964, გვ. 58-62; А. И. Робакидзе. Жилища и поселения горных ингушей.- КЭС, IV, Тб., 1972, с. 16-17; ზ. ანჩაბაძე, ალ. რობაქიძე. კავკასიის მთური ფეოდალიზმის საკითხისათვის.- იკე, XVIII, თბ., 1973; А. И. Робакидзе, Г. Г. Гегечкори. Формы жилища и структура поселения горной Осетии.- КЭС, V, Тб., 1975; А. И. Робакидзе. К вопросу о формах поселения в горной Чечне.- КЭС, VI, Тб., 1986, с. 3-9 და სხვა.

მიმართება გვართან და ოჯახთან ურთიერთობაში. ეს საკითხი პირველად მ. კრიუკოვმა დასვა.<sup>57</sup>

1968 წელს ამ დისკუსიაში მონაწილეობდა ალექსი რობაქიძე. გამოქვეყნებულმა ნაშრომმა საბოლოოდ გამო-რიცხა პატრონიმიის უშუალო კავშირი გვაროვნულ საზო-გადოებასთან, რადგანაც კავკასიაში აღწერილ პატრონი-მიულ ორგანიზაციას აკლდა ისეთი მნიშვნელოვანი ნიშანი, როგორც იყო საკუთრების საგვარო ფორმა. ავტორის სამართლიანი აზრით, კავკასიაში პატრონიმია ეთნოგრა-ფიულად ფიქსირებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ და მხო-ლოდ განვითარებულ კლასობრივ წყობაში. ამ დროისათვის კი გვარი gens-ის მნიშვნელობით ვეღარ ითამაშებდა რაიმე მნიშვნელოვან როლს, რადგანაც უკვე აღარ არსებობდა. ოჯახის ფორმათა განხილვისას ავტორი პრინციპულ განსხ-ვაებას ხედავდა საოჯახო თემს, დიდ ოჯახსა და ინდივი-დუალურ ოჯახებს შორის. მისი აზრით, პატრონიმიის საფუძველი უნდა გამხდარიყო ოჯახი, რომლის ბირთვი იყო არა კერძო, არამედ საერთო საოჯახო საკუთრება. ამიტ-ომაც პატრონიმიული ორგანიზაციის ერთ-ერთ ყველაზე ძირითად დამახასიათებელ ნიშნად იგი თვლიდა პატრ-ონიმიული საკუთრების ფორმას, რომელიც გამოხატულებას პოულობდა გაყრისა და საოჯახო ქონების განაწილების წე-სში, შრომის კოლექტიურ ფორმებსა და დასახლების ფორ-მაში.

ცოტა მოგვიანებით, კიდევ უფრო გაიმიჯნა საოჯახო თემისა და დიდი ოჯახის სოციალური შინაარსი, რომელიც დიდი ხნის მანძილზე იხმარებოდა როგორც ერთმანეთის შემცვლელი ტერმინები. ალექსი რობაქიძის განმარტებით საოჯახო თემი იყო ბირთვი და პროდუქტი გვარისა, ხოლო დიდი ოჯახი – გადმონაშთის სახით არსებობდა კლასობრი-ვი საზოგადოების პირობებში და პრინციპულად განსხვავდე-

---

<sup>57</sup>М. В. Крюков. О соотношении родовой и патронимической (клановой) организации.- СЭ. №6, М., 1967.

ბოდა პირველისაგან.<sup>58</sup> ამრიგად, დადგინდა, რომ ის უჯრედი, რომლის განვითარებისა და სეგმენტაციის შედეგად ყალიბდებოდა პატრონიმია იყო კლასობრივ საზოგადოებაში წარმოშობილი დიდი ოჯახი.

აღექსი რობაქიძემ პატრონიმიული ორგანიზაციის ნიშნების ჩამოყალიბებაში კიდევ უფრო მეტი სიღრმადე შეიტანა აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონის, მთიულეთის კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით. მართალია ფრაგმენტული, მაგრამ გარკვეული კომპლექსის სახით წარმოდგენილი გადმონაშთური მონაცემების მეშვეობით დადგინდა ისეთი სოციალური ტერმინების კონკრეტული შინაარსი, როგორც იყო კომობა, თავისი ორი საფეხურით –**ახალი** და **ძველი კომობა**. კომობათა სისტემა კი აღინიშნებოდა ტერმინებით ბუღობა ან ძირობა. საკითხის ასეთნაირად გადაჭრამ განაპირობა, ავტორის მიერ პატრონიმიული ორგანიზაციისათვის დამახასიათებელი ექვსი ძირითადი კომპონენტის ჩამოყალიბება:

1. აღმავალი ხაზით IV-V თაობამდე კარგად დაცული და უეჭველი გენეალოგია, რომელიც განსაზღვრავდა ნათესაური ურთიერთობის სიახლოვეს და აქედან გამომდინარე ვალდებულებათა და მოვალეობათა ნორმებს;
2. ტერიტორიულად კომპაქტური განსახლება მამისეული სახლის მეზობლად;
3. ოჯახის გაყოფისას საოჯახო ქონების ზოგი ობიექტის განაყარ ოჯახთა საერთო მფლობელობაში დატოვება;
4. ინტერესების ერთიანობა მეურნეობრივი ცხოვრების ცალკეულ სფეროში;
5. ზოგი დღეობა-დღესასწაულის ერთობლივი გადახდის პრაქტიკა;
6. პატრონიმიის სახელდება მისი ამოსავალი ოჯახის ეპონიმის მიხედვით.

---

<sup>58</sup>А. И. Робакидзе. О характере семейной собственности в Сванетии.- Вопросы истории народов Кавказа, Тб., 1988, с. 95.

ამავე ნაშრომში, ავტორის მიერ კიდევ უფრო გამახვილებული იყო ყურადღება საოჯახო ქონების ფორმებზე. მთიულურ მასალაზე დაყრდნობით დადგენილ იქნა საოჯახო საკუთრების ორი ფორმა, რომელთა შორის ერთი – **სათავისთავო** – კერძო საკუთრებას გულისხმობდა, ხოლო მეორე, ე. წ. **საძმო** კი – სასახლო-საოჯახოს. აქედან გამომდინარე ოჯახის იმ ფორმას, რომელიც პატრონიმიული ორგანიზაციის ბირთვი ხდებოდა საფუძვლად ედებოდა არა კერძო საკუთრება, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ ლიტერატურაში კარგად ცნობილი საოჯახო-თემური საკუთრების გადმონაშთური ფორმა. გაუყოფლად დატოვებულსა და მორიგეობით დასამუშავებელ მამულის ნაწილს კი საზიარო ან სარიგაო ეწოდებოდა. ავტორის დებულებით, პატრონიმიული ორგანიზაციის საფუძველი ინდივიდუალური ოჯახი ვერ განდებოდა.<sup>59</sup>

მოკლე დროში აჭარაში მოპოვებული იქნა ახალი „საკონტროლო“ ეთნოგრაფიული მასალა, რომლის გადამუშავების შედეგად გამოქვეყნდა ალექსი რობაქიძის ნაშრომი „მასალები პატრონიმიული ორგანიზაციის ისტორიისათვის აჭარაში“. ამჟამად, აჭარული კონკრეტული მასალით, ავტორმა კიდევ ერთხელ დაგვანახა პატრონიმიული საკუთრების პრაქტიკის არსებობა და აჭარული ოჯახისათვის დამახასიათებელი ქონებრივ ურთიერთობათა სისტემის განვითარების საფეხურები, მოხსნა ილუზია XIX საუკუნის აჭარაში გვაროვნული წყობილების გაბატონებული ადგილის შესახებ, რაც მისი აზრით, ხელოვნურად ამდაბლებდა საქართველოს ამ კუთხის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს. ავტორმა დაადგინა, რომ პატრონიმიული ორგანიზაციის ამოსავალი პოზიცია აქაც ოჯახის სწორედ ის ფორმა იყო, რომელსაც ტრადიციული ფორმები ჰქონდა დაცული და განაპირობებდა პატრონიმიისათვის დამახასია-

---

<sup>59</sup> ალ. რობაქიძე. მთიულური კომობის ზოგიერთი მხარე.–კეკ, III, თბ., 1961, გვ. 63-81.

თებელ ერთობლიობას საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების რიგ სფეროში.

მიუხედავად ტერმინთა მრავალფეროვნებისა, ანალოგიური ვითარება შეიმჩნეოდა საქართველოს სხვა კუთხისა და კავკასიის ხალხების შესახებ არსებული მასალის მიხედვითაც. სოციალური ორგანიზაციის ეს ფორმა ყველგან ერთი და იგივე ნიშნებით ხასიათდებოდა. ალექსი რობაქიძის ნაშრომების ძირითადი დებულება იყო, რომ პატრონიმიული ორგანიზაცია კავკასიაში წარმოადგენდა დიდი ოჯახის განვითარების პროდუქტს და არა გვარის დაშლის შედეგად მიღებულ მის განაყოფს.

ჩვენი აზრით, ამ სოციალური ინსტიტუტის ამგვარმა გააზრებამ მოხსნა გაურკვეველობა, რომელიც არსებობდა ამ სოციალური ორგანიზაციის სახელწოდებასთან დაკავშირებით. ტერმინი პატრონიმია ბევრად უფრო მიესადაგებოდა აღნიშნული სოციალური ინსტიტუტის არსს, ვიდრე ის, რომელიც შემოთავაზებული იყო თავის დროზე ზოგიერთი მეცნიერის მიერ.

საბჭოთა პერიოდში ეთნოგრაფიულ-ტერმინოლოგიური ლექსიკონის შექმნასთან დაკავშირებით ტერმინ „პატრონიმიის“ განხილვისას, რომელიც „სოვეტსკაია ეთნოგრაფიის“ ფურცლებზე გაიმართა, ბევრი საბჭოთა ეთნოგრაფი და მათ შორის ნ. კისლიაკოვი, მ. კრიუკოვი, ნ. ბუტინოვი და გ. მარკოვი ამ ტერმინს მოძველებულად და უვარგისად თვლიდნენ, მაგრამ სწორედ ალექსი რობაქიძის ავტორიტეტულ ნაშრომებში დასაბუთებული არგუმენტაცია გახდა გადამწყვეტი.<sup>60</sup> ჩვენი აზრით, პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა თვით სახელწოდებას. მთავარი ისაა, რომ ამ სოციალური ორგანიზაციის არსებობა, ჯერ-ჯერობით, ჩვენს ხელთ არსებული ლიტერატურის მიხედვით, არც ერთი მკვლევარისაგან უარყოფილი არაა.

---

<sup>60</sup> Свод этнографических понятий и терминов, М., 1986, с. 133-134.

აღ. რობაქიძის თეორია პატრონიმიული ორგანიზაციის მეორადობის შესახებ მრავალმა ეთნოგრაფმა გაიზიარა, მათ შორის ვ. გარდანოვმა, მ. კრიუკოვმა, ა. პერშიცმა, ნ. კისლიაკოვმა, ნ. ბუტინოვმა, ს. ვაინშტეინმა და სხვებმა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ალექსი რობაქიძის პედაგოგიური მოღვაწეობისა და ღვაწლის შესახებ. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ხდებოდა პატრონიმიული ორგანიზაციის გენეზისისა და სტრუქტურის შესახებ კავკასიასა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მასალის შეგროვება, რომლის შედეგადაც არა ერთი საკანდიდატო და სადოქტორო ნაშრომები მომზადდა. შესწავლილი იქნა პატრონიმია აზერბაიჯანში,<sup>61</sup> სომხეთში,<sup>62</sup> ბალყარეთში,<sup>63</sup> ოსებში,<sup>64</sup> ჩეჩნებში,<sup>65</sup> ცენტრალური კავკასიის მთიელების ყოფაში,<sup>66</sup> საქართველოში – აფხაზებში,<sup>67</sup> აჭარაში,<sup>68</sup> ხევსურებში<sup>69</sup> და ა.შ.

აღ. რობაქიძის ხელმძღვანელობით ჩატარდა ექსპერიმენტი. სვანური პატრონიმიული ორგანიზაციის „მეორადი შესწავლის“ შედეგად გაჩნდა საშუალება ორმოციან წლებში

---

<sup>61</sup>Г. А. Раджабов. Пережитки сельско-общинного быта в дореволюционном Азербайджане.-Диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук, Баку, 1966.

<sup>62</sup>Э.Т. Карапетян. Родственная группа «азг» у армян. Эреван, 1966.

<sup>63</sup>А. Н. Мусукаев. Патронимия у балкарцев в конце XIX –начале XX вв. –Новое в этнографических и антропологических исследованиях, ч. 1, М., 1974.

<sup>64</sup>З. Д. Гаглоити. Очерки по этнографии осетин, Тб., 1974.

<sup>65</sup>М. Мамакаев. Чеченский тайп (род) и процесс его разложения, Грозный, 1962.

<sup>66</sup>ვ. ითონიშვილი. ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, თბ., 1969.

<sup>67</sup>С. А. Бахиа. Абхазская «Абипара» – патронимия, Тб., 1986.

<sup>68</sup>ვლ. მგელაძე. ზემო აჭარული სოფელი ძველად, ბათუმი, 1973; Мгеладзе Н. В. Система кровного родства в Аджарии, Батуми, 1988.

<sup>69</sup>ბ. გამყრელიძე. ხევსურეთის სოფელი და სამეურნეო ტრადიციები, თბ., 1989.



შეკრებილ მასალას დაპირისპირებოდა ოთხმოციან წლებში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა. ჯერ კიდევ 25-30 წლით ადრე მაინც იყო შესაძლებელი გადმონათების გამოვლენა და შემდეგ მათი მეშვეობით შედარებით სრული სურათის რეკონსტრუქცია. სვანური „სამხუბსა“ თუ „ლამხუბის“ (პატრონიმია) დიაქრონულმა შესწავლამ გამოავლინა საკმაო ცვლილებები, რომლებიც მთიელთა ყოფაში სოციალურ ნორმათა განმტკიცების შედეგი იყო.<sup>70</sup>

ამრიგად, კავკასიისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონების მასალაზე შესწავლილმა პატრონიმიულმა ორგანიზაციამ კულტურის ტრადიციული ფორმების სპეციფიკური თავისებურება გამოამჟღავნა.

უპირველეს ყოვლისა, დადგინდა, რომ პატრონიმია იყო კლასობრივ საზოგადოებაში დიდი ოჯახის სემენტაციის შედეგად წარმოქმნილი უახლოესი ნათესაური გაერთიანება, რომელსაც გააჩნდა მთელი რიგი ნიშნები სოციალური, მეურნეობრივი და იდეოლოგიური ერთობლიობისა. ეს ინსტიტუტი მოიცავდა ერთი ოჯახიდან გამოყოფილი ინდივიდუალური ოჯახების ჯგუფს, რომელშიაც შედიოდა რამოდენიმე საფეხური ძმათაშვილებისა და ქმნიდა ახლო და გარე ბიძაშვილების კავშირს. მეორე – პატრონიმია არ შეიძლებოდა ყოფილიყო გვარის განაყოფი, რადგანაც მას არ გააჩნდა გვაროვნული საკუთრების ფორმა. მესამე – არ შეიძლებოდა წარმოქმნილიყო იგი არც ინდივიდუალური ოჯახის ბაზაზე, რადგანაც მას არ გააჩნდა ინდივიდუალური საკუთრების ფორმა. ამასთან გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო დიდი ოჯახის შიგნით დიდი ხნის მანძილზე ჩამოყალიბებული ოჯახის სტრუქტურა: 1. რიცხობრივი შემადგენლობა; 2. მუხლობრივი შემადგენლობა ანუ თაობათა საფეხურები; 3. სქესობრივ-ასაკობრივი განსხვავება და ამის

---

<sup>70</sup>Н. Г. Чинчаладзе. Наблюдения и интервью как методы полевого этнографического исследования.-Диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тб., 1988.

მიხედვით ოჯახში ფუნქციათა განაწილება; 4. მმართველობის სისტემა და 5. უფლებრივ-ქონებრივი სტრუქტურა, ე. ი. მემკვიდრეობითი უფლება.

ასეთი სტრუქტურა კი შეიძლებოდა შექმნილიყო და ჩამოყალიბებულიყო მხოლოდ ისეთ ოჯახში, რომელშიც ქონებრივ-უფლებრივი ურთიერთობა და მორალურ-ეთიკური ნორმები დემოკრატიული პრინციპით ვითარდებოდა და დამყარებული იყო მხოლოდ და მხოლოდ ურთიერთშეთანხმებასა და თანასწორუფლებიანობაზე. ინდივიდუალური ოჯახი კი, ჩვენი გაგებით, დესპოტური პრინციპების მატარებელი იყო და მემკვიდრეობის პრინციპებში განსხვავებებს გვაძლევდა იმ მხრივ, რომ ოჯახის რომელიმე წევრი შეიძლებოდა ქონების თანაბარი მფლობელი ვერ გამხდარიყო. რაც შეეხება პატრონიმიული ორგანიზაციის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, ისინი ერთდროულად გამმიჯნავიც იყვნენ იმ გვარისაგან, რომელსაც gens-ის მნიშვნელობა ჰქონდა და იმ გვარისგანაც, რომელიც familia-ს გამოხატავდა და ამკარად გვიანდელი წარმონაქმნი იყო.

ასეთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებები შემდეგია:

1. საკუთრების ფორმა. როგორც ცნობილია, ყველა სოციალური ინსტიტუტისათვის და საზოგადოებისათვის ძირითადი განმსაზღვრელი ელემენტი იყო სწორედ საკუთრების ფორმა. პატრონიმიული მფლობელობის ობიექტები დიდი ოჯახის გაყრისა და ქონების განაწილების შემდეგ ჩნდებოდა და მოიცავდა მხოლოდ დამხმარე საწარმოო საშუალებას. ე. ი. საერთო საოჯახო **სამძი** საკუთრება (კოლექტიური შრომითა და შრომის პროდუქტების თანაბარი განაწილებით ოჯახის ყველა წევრზე) ნაწილდებოდა თანაბრად მამაკაცთა უფროსი თაობის წარმომადგენლებზე ურთიერთშეთანხმების ნიადაგზე. ქონების განაწილების შემდეგ გამოყოფილ ინდივიდუალურ ოჯახებს რჩებოდათ გარკვეული საოჯახო ნივთები: ზოგჯერ მიწა (სათიბი, ტყე), მუშა საქონელი, წისქვილი, მარანი საერთო სარგებლობაში, ე. ი. ძირითადი საწარმოო საშუალებები გადადიოდა საოჯახო

მფლობელობაში, ხოლო დამხმარე საწარმოო ძალები რჩებოდა პატრონიმიულ სარგებლობაში. ეს საკუთრება, ბუნებრივია, პირობითიც იყო და დროებითიც, რადგანაც იგი თანხმობისა და მოლაპარაკების შედეგად ჩნდებოდა, თუმცა ოჯახის მამაკაც წევრთა თანაბარუფლებიანობა ადათობრივი სამართლის ნორმებით იყო შეპირობებული. ასეთი საერთო საწარმოო საშუალება თუ მფლობელობა გარკვეულ თაობათა შემდეგ კარგავდა თავის მნიშვნელობას და სიმბოლურ ხასიათს იღებდა.

2. მეურნეობრივი ერთობლიობა. ქონების ის ნაწილი, რომელიც ინდივიდუალური ოჯახების ერთობას საზიაროდ რჩებოდა პატრონიმიული ორგანიზაციის სამეურნეო ყოფის ინტერესების ერთობლიობას იწვევდა. ეს კი თავისთავად აყალიბებდა კოლექტიური შრომის ორგანიზაციას, მორალურსა და მატერიალურ ურთიერთვალდებულებათა ფორმებს. აქ უნდა აღინიშნოს, რომ პირველად, სწორედ რ. ხარაძის ნაშრომებში<sup>71</sup> დადგენილი პატრონიმიის წევრთა ნათესაური კატეგორიების მიხედვით მოვალეობა-ვალდებულებათა დიფერენციაცია, ე. ი. ნათესავების მიმართ კატეგორიების მიხედვით დიფერენცირდებოდა მოვალეობის ფორმა. რაც უფრო ახლობელი იყო ნათესავი, მით მეტი მოვალეობა და ვალდებულება ეკისრებოდა.

3. დასახლების ფორმა. საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში პატრონიმიისათვის დამახასიათებელი იყო ტერიტორიული მთლიანობა. თითქმის ყველა რეგიონში, თავის დროზე, პატრონიმიას ეჭირა მტკიცედ განსაზღვრული ლოკალური ტერიტორია, რომელიც ჩნდებოდა განაყარი ოჯახების მამისეული საცხოვრებლის მეზობლად განსახლების წესის შედეგად. ეს იყო მონოგენური სოციალურ-ლოკალური დასახლება, რომელსაც სახმარი მიწები, საცხოვრისი და ტყე ტერიტორიულად გარს ერტყმოდა.

---

<sup>71</sup> რ. ხარაძე. დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939, გვ. 17-61.

საველე-ეთნოგრაფიულ პირობებში შეიძლება ზოგიერთი მათგანის აღდგენა მთხრობელებისა და ტოპონიმიკის დახმარებით. დღეისათვის კი გვარის (familia) დასახლების მტკიცე ლოკალურ მთლიანობაზე ლაპარაკი ზედმეტია. იგი დიდი ხანია დარღვეულია.

4. ხატ-სალოცავი. ჩვენ გვაქვს არა ერთი და ორი მაგალითი, რომლითაც შეიძლება გვარისა (familia) და პატრონიმიის სალოცავების გამიჯვნა. ხშირად საოჯახო სალოცავი გადადიოდა პატრონიმიულ საკუთრებაში და გვარის საკუთრება არასოდეს ხდებოდა.

პატრონიმიული საცხოვრებელი ადგილი, თავისი „წმინდა ადგილებით“ (სამჭედლო, მარანი, სასაფლაო), ითვლებოდა იდეოლოგიური ერთობლიობის ცენტრად. მაგალითად, სამეგრელოს, რაჭასა და სვანეთში, ასევე აფხაზეთში, როდესაც სამჭედლო ოჯახის მფლობელობაში იყო, მას, სამეურნეო მნიშვნელობასთან ერთად, საკულტო ფუნქციაც ენიჭებოდა, მაგრამ ოჯახის სეგმენტაციასთან ერთად, მოგვიანებით, პატრონიმიის სარგებლობაში გადადიოდა, სამეურნეო მნიშვნელობას კარგავდა და მხოლოდ რელიგიურ ფუნქციას ინარჩუნებდა. იდეოლოგიური ერთობლიობის გამოსატყულებას სვანეთში და ასევე ოსეთშიც წარმოადგენდა **მურყვამ** – კოშკი, რომელიც დიდი ოჯახის სეგმენტაციის შემთხვევაში გაუყოფელი რჩებოდა. კოშკის მესამე სართული სამლოცველოს როლს ასრულებდა და წმინდა ადგილი გახლდათ. დროთა განმავლობაში კოშკი საცხოვრებელ და სამეურნეო მნიშვნელობას კარგავდა და მთელი სოფლის საერთო სალოცავი ხდებოდა. ეს თავისთავად მიუთითებდა პატრონიმიული ორგანიზაციის, როგორც მოქმედი ერთეულის, მნიშვნელობის დაკარგვაზე და მის ტრანსფორმირებაზე.<sup>72</sup>

---

<sup>72</sup> А. И. Робакидзе, Г. Г. Гегечкори. Формы жилища и структура населения горной Осетии.-Кавказский этнографический сборник, VI, Тб., 1975, с. 103.

5. ეგზოგამია. პატრონიმიული ორგანიზაცია საქართველოსა და კავკასიის ყველა რეგიონში მკაცრად ეგზოგამიური იყო. სხვადასხვა რეგიონში მუშაობისას არ შეგვხვედრია მისი დარღვევების თუნდაც ერთი მაგალითი, რასაც ვერ ვიტყვით გვარზე. გვარების ნათესაური ურთიერთობა დიდი ხანია დარღვეულია და ქორწინებაც დასაშვები ხდება, მაგალითად, სვანეთში, რაჭაში და საქართველოს სხვა კუთხეში. ქართველი ხალხის ტერმინოლოგიაშიც უბრალოდ როდი გაჩნდებოდა ისეთი ტერმინები, როგორცაა – **გატენილი გვარი** და **გვარგატენილობა**.

6. მეექვსე ნიშნად შეიძლება გამოიყოს თვით ამ სოციალური გაერთიანების სახელწოდება. საქართველოს ყველა რეგიონში ოჯახს, პატრონიმიასა და გვარს აქვს დიფერენცირებული ტერმინები, რაც ერთი და ორი დღის ამბავი როდი უნდა იყოს. მკვეთრად დიფერენცირებული ტერმინოლოგია არ ჩამოყალიბდებოდა, რომ მკვეთრად განსხვავებული სოციალური ინსტიტუტები არ არსებულებოდა. ასე მაგალითად, ქართველურ ენებში პატრონიმიისათვის ნიშანდობლივია შემდეგი ტერმინები: **მამობა, მამანი, მამიშვილობა, კომობა, ბაბუიშვილობა**; მეგრულში **თური, გმნარყი**; სვანურში **სამხუბ|ლამხუბ**.

7. ეპონიმი. გვარი (gens) უმთავრესად ტოტემური წარმოშობისა უნდა ყოფილიყო, ხოლო დღევანდელ გვარს (familia) თავისი განმასხვავებელი, ჩამოყალიბებული გვარსახელები გააჩნიათ, რომლებიც ოფიციალური გაფორმებისათვისაც იხმარება. რაც შეეხება პატრონიმიას, მისი ეპონიმი აშკარად რეალურ პიროვნებას უკავშირდებოდა, რომელიც წინაპარი იყო ამ ნათესაური გაერთიანებისა, ე. ი. გამოიყენებოდა მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და ზოგჯერ მეშვიდე თაობის იმ ამოსავალ დიდ ოჯახში არსებული ეპონიმის სახელი, რომელიც თვით პატრონიმიის წარმოშობის საწყისი იყო. ასე რომ გვარისა (familia) და პატრონიმიული ორგანიზაციისათვის დამახასიათებელი გარეგნულად მსგავსი

ნიშნების ზემოთ მოტანილი კრიტერიუმები, მნიშვნელოვანი უნდა იყოს ამ ინსტიტუტის არსის სწორად გაგებისათვის.

ამრიგად, ქართულ ეთნოგრაფიაში პატრონიმის გენეზისისა და მისი ისტორიული მიმართების საკთხმა, ერთი მხრივ გვართან, ხოლო, მეორე მხრივ, ოჯახთან და დამახასიათებელი კომპონენტების კვლევამ კავკასიისა და საქართველოს ყველა რეგიონში დაადგინა გარკვეული სოციალური ინსტიტუტის, პატრონიმიული ორგანიზაციის არსებობა, რომელიც სრულიად გარკვეულ ფუნქციებს ასრულებდა ცხოვრების ყველა სფეროში და მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა სოციალურ, სამეურნეო ყოფასა და რწმენა-წარმოდგენებზე.

პრობლემას არც დღეს დაუკარგავს მნიშვნელობა. ალექსი რობაქიძის მოწაფეების ვალერიან ითონიშვილისა<sup>73</sup> და ნუგზარ მგელაძის<sup>74</sup> მიერ ამ საკითხის შემდგომი კვლევისა და ანალიზის საფუძველზე, გარკვეული საკითხები თავისებურად, ახლებურად გაშუქდა.

---

<sup>73</sup> ვ. ითონიშვილი. მთიელთა ყოფისა და ტრადიციების კვალდაკვალ.- „მნათობი“, №7, თბ., 1985.

<sup>74</sup> Н. В. Мгеладзе. Формы социальной организации и система терминов родства в традиционной культуре грузинского народа (этнокультурные аспекты, историческая и локально-региональная специфика).- Авт. Дисс. докт. ист. наук. М., 1992, б. მგელაძე, ნ. მასანოვი. სოციალურ ორგანიზაციათა ტიპოლოგიისა და მოდელების თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემები.- კულტუროლოგიური და ისტორიული ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში, I, ბათ., 1996, გვ13-36.

## გულდამ ჩიქოვანი

### ალექსი რობაქიძე დასახლების სტრუქტურის ეთნოგრაფიული შესწავლის მნიშვნელობის შესახებ

1935 წლიდან მოყოლებული, როდესაც ბ-ნი ალექსი რობაქიძე შევიდა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის („ენიმკი“-ს) ასპირანტურაში „საქართველოს ეთნოგრაფიის“ განხრით, ვიდრე სიცოცხლის



ალექსი რობაქიძე, გულდამ ჩიქოვანი  
ჩრდილოეთ ოსეთში საველე-  
ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში

უკანასკნელ დღეებამდე (გარდაიცვალა 1990 წლის 17 თებერვალს), მისაბადი აქტიურობითა და უდიდესი შრომისმოყვარეობით იკვლევდა საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიის პრობლემებს. 11 მონოგრაფიისა და 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორის მოღვაწეობა რამდენიმე მიმართულებით ვითარდებოდა და მოიცავდა საკითხთა ფართო სპექტრს. ალ. რობაქიძის მემკვიდრეობაში დიდი ადგილი უკავია ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ტრადიციული ფორმების კვლევას. მას მნიშ-

ვნელოვანი წვლილი მიუძღვის ახალი ყოფის, ქართული ფიზიკური კულტურის ისტორიის შესწავლაში. მეცნიერმა დიდი შრომა გასწია საქართველოსა და საერთოდ, მთელი კავკასიის მთიანეთის ხალხთა სოციალური ურთიერთობების, მატერიალური კულტურის, ეთნოსის თეორიის, ეთნოგრაფიის ისტორიისა და მეთოდის საკითხების შესწავლისათვის. ალექსი რობაქიძის უდიდესი დამსახურებაა ის, რომ

მან საფუძველი ჩაუყარა საქართველოში კავკასიათმცოდნეობის ეთნოგრაფიას, ქართულ-კავკასიური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების შესწავლას და სხვა.

ამჯერად ჩვენ გამოვყოფთ ბ-ნ ალექსი რობაქიძის მიერ საქართველოსა და კავკასიის მასშტაბით ჩატარებულ დიდ შრომას დასახლების სტრუქტურის შესწავლაში. დასახლების სტრუქტურის საფუძვლიანი, დეტალური კვლევა აუცილებელი პირობაა დასახლების ფორმებისა და ტიპების დადგენისათვის. ეს კი, თავის მხრივ, ემსახურება კავკასიის მთიანეთის ხალხთა სოციალური სტრუქტურის პრობლემის გარკვევას.

როგორც ცნობილია, კავკასიის მთიანეთის ხალხთა საზოგადოებრივი ყოფის თავისებურებების, სოციალური სტრუქტურის პრობლემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და რთული გასარკვევია. იგი დიდი ხანია იქცევა მეცნიერთა ყურადღებას. ბოლო ათწლეულებში საქართველოსა და კავკასიის მთიანეთის მრავალ კუთხეში მოპოვებულმა გლობალურმა ეთნოგრაფიულმა მასალამ მეცნიერს საშუალება მისცა ახლებურად გაეაზრებინა ამ რეგიონის საზოგადოებრივი ყოფის თავისებურებანი, რაც, თავის მხრივ, შუქს ფენს ამა თუ იმ ხალხის ეთნოკულტურულ ისტორიას.

როგორც ალექსი რობაქიძე მიუთითებს, ყოფითი კულტურის ელემენტების სოციალური არსის გამოვლენა ეთნოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. ეთნოგრაფიული შესწავლის ობიექტების ყოველმხრივი და მეცნიერული დესკრიპცია წარმოადგენს არა თვითმიზანს, რომლითაც ამოიწურება ეთნოგრაფის მოვალეობა, არამედ ეს არის ფაქტოლოგიური ბაზა ეთნიკური სპეციფიკისა და სოციალური არსის მქონე ტრადიციული კულტურის პრობლემების დაყენებისა და გადაწყვეტისათვის.

ხალხის ისტორიის ეთნოსოციალური და ეთნოკულტურული ასპექტების კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა დასახლების ფორმა, რომელიც ზოგადი ელემენ-

---

<sup>75</sup> А. И. Робакидзе. Сванети, Тб., 1984, с. 7.



ტარული განმარტებით წარმოადგენს საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის ერთობის გამოხატულებას. ალექსი რობაქიძის მითითებით, დასახლების ფორმა არის არამარტო სამეურნეო-ტერიტორიული ერთობა, არამედ სოციალურ-კულტურული ერთობაც, რომელიც ხასიათდება ადგილობრივი მმართველობითა და გარკვეულ პირობებში, როდესაც არსებობს დამოუკიდებელი საკულტო და თავდაცვითი ნაგებობანი, გვევლინება ავტონომიურ ორგანიზაციადაც. დასახლებამ, რომელიც წარმოადგენს ადამიანთა კოლექტივის ყოფის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფორმას, ადრევე მიიქცია მკვლევართა ყურადღება და დამოუკიდებელი შესწავლის საგნად იქცა.

დასახლების საკითხით გასული საუკუნის ორმოციანი წლებიდან დაინტერესდნენ. მისი მეცნიერული შესწავლის ფუძემდებლად ითვლება ი. კოლი.<sup>76</sup> ამავე საკითხს ეხებოდნენ ცნობილი მეცნიერები კ. მაიზერი, გ. ლანდაუ, ა. ჰაქსტჰაუზენი, ვ. როშერი, გ. ჰანსენი და სხვები. უცხოენოვან ავტორთა ნაშრომები ალექსი რობაქიძემ და რუსუდან ხარაძემ გაგვაცნეს ამ კუთხით. 1985 წელს გამოქვეყნდა ა. მეიტცენის მრავალტომეული, რომელიც ევროპის ხალხთა დასახლების ფორმებს ეძღვნებოდა. მან პირველმა გამოიყენა დასახლების ფორმა ისტორიული კვლევის წყაროდ. შემდეგში სხვა ავტორებიც ეხებოდნენ აღნიშნულ საკითხს. მითითებულ ავტორთა დამოკიდებულება საკითხის განსაზღვრისადმი სრულიად სხვადასხვაა. ა. მეიტცენი დასახლების ფორმების თავისებურებების ახსნას ძირითადად ეძებდა მეურნეობის ფორმებში და მათ ნაციონალური წარმომავლობით ხსნიდა. რ. მილკე დასახლების ფორმებს ტოპოგრაფიის ძირითადი ნიშნების მიხედვით ალაგებდა (მარტოულა, ჯგუფური, წრისებრი, ქუჩისებრი სოფელი და ქალაქი).<sup>78</sup>

<sup>76</sup> იქვე., გვ. 9.

<sup>77</sup> რ. ხარაძე., აღ. რობაქიძე. სვანეთის სოფელი ძველად. თბ., 1964, გვ. 6.

<sup>78</sup> იქვე., გვ. 6-10.

რუსეთის დასახლების ფორმათა კლასიფიკაციას ვ. სემიონოვ-ტიან-შანსკი მხოლოდ ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნიშნების მიხედვით განიხილავდა (ცენტრალური და ჩრდილო დასავლური – უმეტესად მიწათმოქმედური, ჩრდილოური – სამრეწველო ხასიათის, სამხრეთული – მხოლოდ მიწათმოქმედური). ს. კისელიოვი არქეოლოგიური მასალის საფუძველზე ანსხვავებას ღია და დახურულ დასახლებას, რომელთაგან შემდეგში ვითარდებოდა სოფელი.<sup>79</sup> ნ. ვორონინის აზრით, რუსეთში იყო დიდი ოჯახების დასახლება და ღია სოფელი.<sup>80</sup>

საქართველოს დასახლებებზე გამოკვლევა დაწერა შ. ჩოჩიამ (გერმანულ ენაზე). იგი აღგენს ორი სახის დასახლებას – სოფელი და ქალაქი. შ. ჩოჩია დასავლეთ საქართველოში მარტოულა და გაფანტულ, აღმოსავლეთში – შეჯგუფულ დასახლებებზე მიუთითებს.<sup>81</sup> ბერნატციკის მიხედვით, საქართველოში სამი ძირითადი ფორმის დასახლებაა: მთიანეთის – კოშკებით, დასავლეთ საქართველოს – განფენილი და აღმოსავლეთ საქართველოს – მჭიდრო.<sup>82</sup> საქართველოს მთიანეთის დასახლების შესახებ მრავალგზის წერდა სერგი მაკალათია,<sup>83</sup> მთიულეთის სოფელზე – გიორგი ჩიტაია,<sup>84</sup> კახეთის სოფელზე – გივი ჯავახიშვილი.<sup>85</sup>

ალექსი რობაქიძის დაკვირვებით, ზემოთ მოტანილი ნაშრომები დასახლების მრავალ მხარეზე მიუთითებდა, მაგრამ

<sup>79</sup> С. Киселев. Поселение.-РАНИОН, институт археологии и искусствознания, Труды секции теории и методологии, т. II, м., 1928, с. 52.

<sup>80</sup> Воронин Н. К истории сельского населения феодальной Руси.-ИГАИМК, Л., 1935, с. 6-17.

<sup>81</sup> რ. ხარაძე, აღ. რობაქიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 9.

<sup>82</sup> იქვე., გვ. 11.

<sup>83</sup> ს. მაკალათია. დუშეთი. თბ., 1933; მისივე., ხევი. თბ., 1934.

<sup>84</sup> გ. ჩიტაია. დასახლების ტიპი მთიულეთში.-მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, 6, თბ., 1953.

<sup>85</sup> გ. ჯავახიშვილი. დასახლების ტიპი ს. შილდაში.-მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, 10, თბ., 1959.

დასახლების ერთეულის საზოგადოებრივ საფუძვლებზე არ ყოფილა ყურადღება გამახვილებული, მაშინ, როდესაც “... დასახლების ფორმა, როგორც ცნობილია, პირველყოვლისა, სოციალურ პრობლემას წარმოადგენს”.<sup>86</sup>

სპეციალურ ლიტერატურაში განასხვავებენ დასახლების ტიპს დასახლების ფორმისაგან,<sup>87</sup> რასაც ბატონი ალექსი რობაქიძე ეთანხმება. პირველი, ე. ი. ტიპი, გარკვეულ სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციას შეესატყვისება, დასახლების ფორმის ქვეშ კი მისი ტოპოგრაფიისა და სხვა გარეგანი ნიშნების თავისებურება იგულისხმება. მეცნიერის სიტყვებით, „ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობდა დასახლების ერთეულის შესწავლის სწორად წარმართვას და ბოლოს დაუდებდა დასახლების ტიპების გაუმართლებელ სიტყვარეს”.<sup>88</sup> მ. ვიტოვი და ალ. რობაქიძე იზიარებდნენ აზრს, რომ არ შეიძლება ცალკე აღებული დასახლების ერთეულის შესწავლა და რომ საჭიროა კომპლექსურად შეისწავლებოდეს დასახლების ერთეულების ისეთი ჯგუფი, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბებულ მთლიანობას წარმოადგენს.<sup>89</sup> ალექსი რობაქიძის განმარტებით, დასახლების ფორმა ისტორიულად ჩამოყალიბებული მთლიანობაა. დასახლების ერთეულს, როგორც ზემოთაც ითქვა, მეცნიერი განიხილავს „...როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებულ მოსახლეობისა და მისი ტერიტორიის მთლიანობას, რომელსაც ახასიათებს გარკვეული ერთობლიობა, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობასა და ეკონომიკაში, ასევე იდეოლოგიის სფეროში”.<sup>90</sup> ალექსი რობაქიძის დაკვირვებით, ერთ-ერთი ნიშანი, რომელიც განსაზღვრავს დასახლების

<sup>86</sup> რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 11.

<sup>87</sup> Витов М. О. классификации поселений.-СЭ, 6, №3, 1953.

<sup>88</sup> რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 9.

<sup>89</sup> М. О. Витов. Гнездовой тип поселения на русском севере.-СЭ, №2, 1955; რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 9.

<sup>90</sup> Робакидзе А. И. Поселение как источник изучения общественного быта. М., 1964, с. 3.

არსს, მისი სტრუქტურაა. მისი სიტყვებით, „დასახლების ფორმათა თავისებურების თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს პირველყოვლისა დასახლების ერთეულის სტრუქტურა, რომელიც განვითარების სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვა სახეს ატარებს“.<sup>91</sup>

დასახლების სტრუქტურის შესწავლა გულისხმობს მისი ტოპოგრაფიის, მორფოლოგიის, სამეურნეო ყოფის, რელიგიური სფეროს საკითხების შესწავლას. ყოველი მათგანის დადგენა უამრავი ნიშნისა და თავისებურებების შესწავლასთანაა დაკავშირებული. თავის მხრივ ყოველი ცალკეული საკითხი განსაკუთრებულ კვლევას მოითხოვს, რასაც დღეს ალექსი რობაქიძის მოწაფეები აგრძელებენ.

დასახლების სტრუქტურისა და მის საფუძველზე დასახლების ფორმებისა და ტიპების დადგენის მიზნით მეცნიერის მიერ მოპოვებული გლობალური ეთნოგრაფიული მასალისა და შესაბამისი საისტორიო, საარქივო, არქეოლოგიური და სხვა სახის მონაცემების შეჯერების შედეგად მიღებული დასკვნები გადმოცემულია საქართველოსა და კავკასიის მთიანეთის მასშტაბით დაწერილ ალექსი რობაქიძის ნაშრომებში:

1. К вопросу о формах поселения в Сванети.-Краткие сообщения Института этнографии, т. XXIX, М., 1958.

2. დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში. – ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, I, ბათ., 1960.

3. დასახლების ფორმა ბალყარეთში, I. დასახლების ტოპოგრაფია.– მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XI, თბ., 1960.

4. დასახლების ფორმები ბალყარეთში, II, დასახლების მორფოლოგია.– მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII-XIII, თბ., 1963.

---

<sup>91</sup> რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 75.

5. დასახლების ფორმა ბალყარეთში, III. დასახლების სამეურნეო პირობები. - Кавказский этнографический сборник, I, Тბ., 1964.
  6. Жилища и поселения горцев Грузии в прошлом и настоящем.-Краткие сообщения Института этнографии, т. XXXVI, М., 1962.
  7. Поселение как источник изучения общественного быта, М., 1964.
  8. სვანეთის სოფელი ძველად (რ. ხარაძესთან თანაავტორობით), თბ., 1964.
  9. მთიულეთის სოფელი ძველად (რ. ხარაძესთან თანაავტორობით), თბ., 1965.
  10. Структура горного села на Кавказе.-Тезисы докладов, Баку, 1965.
  11. Жилища и поселения горных ингушей.-Кавказский этнографический сборник, II, Тб., 1968.
  12. Формы жилища и структура поселения горной Осетии (გ. გეგეჭკორთან თანაავტორობით).- Кавказский этнографический сборник, V, I, Тб., 1975.
  13. Традиционные формы поселения в Аджарии.-Очерки этнографии Аджарии, Бат., 1982.
  14. Сванети, Тბ., 1984.
  15. К вопросу о формах поселения в горной Чечне.-Кавказский этнографический сборник, VI, Тб., 1986.
  16. Основные черты хозяйственного быта в Сванети, Тბ., 1990.
- ზემოთ მითითებულ ნაშრომებში საფუძვლიანადაა შესწავლილი საქართველოსა და კავკასიის მთიანეთის დასახლების სტრუქტურა.
- კავკასია გეოგრაფიული და ეკოლოგიური თვალსაზრისით ხასიათდება მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობით და რთული რელიეფით, ეთნოსოციალური ვითარების მხრივ სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკური დონითა და ჭრელი ეროვნული შემადგენლობით. ამასთანავე

მასში მკვეთრად გამოიყოფა მთიანი რაიონები, რომელნიც ბუნებრივ-ისტორიული პირობების ერთგვაროვნებით წარმოადგენენ თავისებურ სამეურნეო-კულტურულ ერთობას, რაც ვლინდება კულტურისა და ყოფის ყველა მნიშვნელოვან სფეროში. ამ ერთობის ერთ-ერთ გამოვლენას წარმოადგენს დასახლება, რომელიც ტიპოლოგიის მხრივ ერთიანია მთელი კავკასიისათვის (თუმც არის ლოკალური თავისებურებები).<sup>92</sup>

ახალი ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე ალ. რობ-აქიძემ გამოავლინა, გაანალიზა კავკასიის მთიანეთის დასახლების სტრუქტურის ყველა კომპონენტი და ჩამოაყალიბა დასკვნები:

მთური დასახლების ბუნებრივი საფუძველი კავკასიის მთიანეთში არის ხეობა, ხევი (**ხევი**, ვაინახური **ч/ож**, ბალყარული **аузу**, ოსური **ქომი**, აფხაზური **аапс а** და სხვა), რომლის გასწვრივაც დაბლობში, ფერდობებზე, მაღლობებზე, მის განშტოებებში განლაგებულია დასახლებები თავისი ძირითადი თუ დამხმარე მიწის სავარგულებით. ისინი მტკიცედ არიან დაცულნი ბუნებრივი საზღვრებით. გეოგრაფიული ნიშნით მთელი კავკასიის მთიანეთი ასეთი ხეობების სისტემას წარმოადგენდა, დაწყებული სულ მცირე, ზოგჯერ დაუსახლებელი ხეობებით და დამთავრებული დიდი, ფართე ხეობებით. ამ სისტემათა საზღვრებში ყალიბდებოდა ეთნიკური წარმონაქმნები, თავის დროზე ტომების სახით, შემდეგში – ხალხთა ჩამოყალიბების დროიდან – მისი ეთნოგრაფიული ჯგუფების სახით.

ხეობების შიგნით სოფლები – დასახლების ეს მცირე ერთეულები – მდებარეობდნენ მთისა თუ კლდის უმაღლეს ადგილებში (ზოგჯერ მეტად მიუდგომელშიც). ალექსი რობაქიძის აზრით, ამ დებულებამ არ უნდა გამოიწვიოს საწინააღმდეგო აზრი, რამეთუ ხეობის დაბალ, წყლის მაგისტრალებთან დასახლებების გაჩენა მეორეული

<sup>92</sup> А. И. Робакидзе. К вопросу о формах поселения в горной Чечне.- Кавказский этнографический сборник, VI, Тб., 1986.

<sup>93</sup> იქვე, გვ. 5.

მოვლენაა. საქართველოსა და კავკასიის მთიანეთის სხვა კუთხეებშიც, გზა მიუყვებოდა მდინარეს (დაბლობში), სოფლები კი მისგან შორს, შუა და მაღალ ნაწილებში ძნელად მისადგომ და შედარებით უშიშარ ადგილებში მდებარეობდა. სოფლებმა ქვემოთ ჩამოიწია რუსეთთან კავკასიის შეერთებისა და შედარებით მშვიდობის დამყარების, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაცვლის შესაძლებლობის შედეგად.<sup>94</sup>

მითითებულ დასახლებათა ყველა ტოპოგრაფიულ მანიშნებელს თავისი ახსნა აქვს. მეცნიერის დაკვირვებით, უმნიშვნელოვანესი პირობა სამეურნეო ყოფის თავისებურებებია, რომელიც კავკასიის მთიანეთში ალპური მესაქონლეობის მოთხოვნებითაა გაპირობებული. მაღალ ადგილებში დასახლებების განლაგება, ზემოთ ნათქვამთან ერთად, გამოწვეული იყო აგრეთვე მნიშვნელოვანი სამეურნეო ფაქტორით – წლიური ციკლით, რომელიც ითვალისწინებდა ორი – საზაფხულო და საგაზაფხულო – საშემოდგომო სადგომის საჭიროებას (მეურნეობის ეს ფორმა შეხამებული იყო ინტენსიურ მთურ მიწათმოქმედებასთან). ასეთი მეურნეობის წარმოება ითვალისწინებდა სავარგულების ვერტიკალურად განლაგებას, ისე, რომ ყოველ დასახლებულ პუნქტს ჰქონოდა თავისი მთა და ბარი. დასახლების ტოპოგრაფიის მნიშვნელოვანი ნიშანი იყო სავარგულების განლაგების წესი – ახლოს სახნავეები, უფრო ზემოთ – სათიბები და შემდეგ – საძოვრები. დასახლების ტოპოგრაფიული ნიშნებიდან აღსანიშნავია მზისადმი ორიენტირება, მისი ავ-კარგვანობა ჩრდილიანი თუ მზიანი ნიშნით. დასახლებაში გამოიყოფოდა უბნები, ნაწილები – გეოგრაფიული მდებარეობის, იქ მაცხოვრებელთა თუ სხვა გარკვეული ნიშნის მიხედვით სახელდებული.

სოფლის შიგნით სასოფლო-სამეურნეო წარმოების მასშტაბების შეზღუდულობამ შექმნა პარალელური ბაზების

---

<sup>94</sup> А. И. Робакидзе. Основные черты хозяйственного быта в Сванети, Тб., 1990, с. 54, 79-80.

მოწყობის აუცილებლობა (მემინდვრეობისა და მიწათმოქმედების ინტერესებიდან გამომდინარე). სწორედ ამ ბაზების ხარჯზე ხდებოდა ძირითადი დასახლების ზრდა. სოფლის შიგნით მიწის სიმცირის გამო ოჯახიდან გასული ახალი ოჯახები მითითებულ სამეურნეო ბაზებზე სახლდებოდა, რომელიც შემდგომში ახალ სოფლად იქცეოდა. ასეთ მონათესავე ოჯახთაგან გაჩენილი რამდენიმე დასახლება გარკვეულ ჯგუფს ქმნიდა. დროთა ვითარებაში ახალი სოფელი იგივე გზას გადიოდა, რასაც – პირველი დასახლება.<sup>95</sup> უდიდესი შრომა აქვს დახარჯული ბატონ ალექსი რობაქიძეს დასახლების ერთეულთა თავდაცვითი და საცხოვრებელი თუ საკულტო კომპლექსების შესწავლის, მათი ფუნქციური დანიშნულების გარკვევისათვის დასახლების სისტემაში.

დასახლების სტრუქტურის, მორფოლოგიის შესწავლის შედეგად მეცნიერმა დაადგინა მისი შემადგენლობა და ხასიათი. კავკასიის მთიანეთის დასახლებები წარსულში მცირეკომლიან, მაგრამ, ძირითადად, მჭიდრო დასახლებებს წარმოადგენდა. კავკასიის მთიანეთის სხვადასხვა რეგიონში მოძიებულმა შედარებითმა ეთნოგრაფიულმა მასალამ ალექსი რობაქიძეს შესაძლებლობა მისცა ჩამოეყალიბებინა თეზისი იმის შესახებ, რომ ყველგან გავრცელებული იყო დასახლების პატრონიმიული ფორმა, რომელიც თავისი წარმოშობის პერიოდისათვის, მორფოლოგიური თვალსაზრისით, შეესაბამებოდა ხეობაში განსახლებას, ხოლო სოციალურად დიდი ოჯახების დაშლის პროდუქტს წარმოადგენდა და არა გვარის განშტოებას.<sup>96</sup> ხშირ შემთხვევაში, დასახლების ერთგვაროვნული კონტიგენტის პირობებში, მონოგენურობა ფიქტიური იყო გარეშე პირთა თუ ოჯახთა ინკორპორირების, კავკასიის მთიანეთში საყოველთაოდ გავრცელებული პრაქტიკის შედეგად. როგორც ზემოთ ითქვა, ალექსი რობაქიძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა დასახლების საკით-

---

<sup>95</sup> იქვე., გვ. 72.

<sup>96</sup> А. И. Робакидзе, Г. Гегечкори . Указ. раб., с. 79-80.



ხის ყოველმხრივ შესწავლას და მას საზოგადოებრივი ყოფის გარკვევისათვის მნიშვნელოვან წყაროდ მიიჩნევდა. სწორედ ამ თვალსაზრისით გაჯერებული ნაშრომი წარადგინა ანთროპოლოგიური და ეთნოგრაფიული მეცნიერების III საერთაშორისო კონგრესზე - «Поселение как источник изучения общественного быта», М., 1964. მასში განავითარა ადრე გამოთქმული მოსაზრება კავკასიის ხალხთა კლასობრივი სტრუქტურის თავისებურებებზე. ზემოთ მოტანილი ნაშრომების გაცნობით ვგებულობთ, რომ მატერიალური კულტურისა და დასახლების სტრუქტურის ფართომასშტაბიანი შესწავლის შედეგად ავტორი კრიტიკულად განიხილავდა ადრე გამოთქმულ მოსაზრებას, თითქოსდა კავკასიის მთიანეთში XIX საუკუნემდე არსებული გვაროვნული წყობილების შესახებ და კავკასიის მთიელთა მიერ გამოყენებულ მონობის ინსტიტუტს ადრეფეოდალური ურთიერთობების განვითარების პირობად მიიჩნევდა. მთიანი კავკასიის სოფლის სტრუქტურის შესწავლის შედეგებმა (მატერიალური კულტურის ძეგლების მიხედვით) ახლებურად წარმოაჩინა კავკასიის მთიელთა სოციალური ორგანიზაციის მნიშვნელოვანი მხარეები. კავკასიელ მთიელთა საზოგადოებრივი ყოფა წარსულში ხასიათდებოდა, როგორც სამხედრო-დემოკრატიული წყობა, რომელიც განვითარების პროცესში გადაიზარდა სამხედრო-არისტოკრატიულ წყობად, რაც ასახავდა ხანგრძლივ და რთულ გზას კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების მიმართულებით. ახალი ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე მეცნიერმა განსაზღვრა თავისებურებანი, რომელიც ახასიათებდა კავკასიის მთიელთა ფეოდალიზმს, რომელსაც უწოდა „მთური ფეოდალიზმი“.<sup>97</sup>

---

<sup>97</sup> Кантария М. Жизнь и деятельность члена-корреспондента АН ГССР, профессора, доктора исторических наук А. И. Робакидзе.- КЭС, VII, Тб., 1988.

## ჯეპალ მიქელაძე

### ალექსი რობაქიძე და საქართველოს მატერიალური კულტურა

პროფესორ ალექსი რობაქიძის მეცნიერულ მემკვიდრეობას ქართულ და კავკასიურ ეთნოგრაფიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

ქართული ეთნოგრაფიის ფორმირებისა და ჩამოყალიბების პირველსავე წლებში საფუძველი ჩაეყარა ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების ყველა იმ კლასიკურ მიმართულებას, რომლებიც ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის, მატერიალური და სულიერი კულტურისა და სოციალური ურთიერთობის კარდინალურ მხარეებს შეეხებოდა. ამ მიმართებით გაიშალა დიდი მასშტაბის სავსე ეთნოგრაფიული და კამერალური კვლევა-ძიება, რომლის შედეგადაც მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული მასალების მეცნიერული ანალიზისა და ინტერპრეტაციის პროცესში ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის უმთავრესი ასპექტები ახალი თეორიული და მეთოდოლოგიური მსოფლმხედველობით იქნა გაშუქებული.

ქართულ ეთნოგრაფიაში დაისახა ფართო პროგრამა, რომელსაც უნდა შეესწავლა მატერიალური კულტურის რიგი საკითხი: დასახლების ფორმები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, ხალხური ტრანსპორტი, ეროვნული ტანსაცმელი, ხალხური კულინარია, ხალხური ორნამენტის ტრადიციული ნიმუშები, ხელოსნობა, მეფუტკრეობა, მევენახეობა-მელვინეობა და სხვა, რომელთა გამოვლინებას ქართველი ეთნოგრაფების არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა. მათ შორის თვალსაჩინო ადგილი პროფესორ ალექსი რობაქიძის შრომებს უჭირავს.

მატერიალური კულტურის სფეროდან ალექსი რობაქიძის კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ობიექტად საქართველოსა და კავკასიის მთიანეთის დასახლების ფორმებისა და საცხოვრებელი ნაგებობების შესწავლა იქცა. მთიანი რეგი-

ონების შესწავლასთან დაკავშირებით ალექსი რობაქიძე აღნიშნავდა: „დებულება იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ ქვეყნის მთიანეთი მის ბართან შედარებით უფრო ფართოდ და მტკიცედ გვინახავს კულტურისა და ყოფის ტრადიციულ ფორმებს, ვფიქრობთ, საგანგებო დასაბუთებას ადარ მოითხოვს. საქართველო არც ამ მხრივ წარმოადგენდა გამონაკლისს და ჩანს ამის შედეგიცაა, რომ ქართველი ხალხის ეთნოგრაფიით დაინტერესებულ მკვლევართა თუ მოგზაურთა ყურადღება პირველ რიგში მთიანეთისაკენ იყო მიმართული“.<sup>98</sup>

საქართველოს მთიანეთის დასახლების ფორმათა კვლევის პროცესში ფართო საველე მონაცემებისა და სპეციალური ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე შესწავლილია მთის ზონის დასახლების ტოპოგრაფიისა და მორფოლოგიის საკითხები.

მთიანეთის დასახლების სამეურნეო-გეოგრაფიული და კულტურულ-ისტორიული თავისებურებების გამოვლენა-დადგენასთან ერთად მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დასახლების ფორმათა სოციალურ საკითხებს, აყალიბებს სოციალური ურთიერთობების ისტორიის შესწავლის საქმეში მატერიალური კულტურის ძეგლებისა და დასახლების წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობის მეთოდოლოგიური ხასიათის ახალ დებულებებს.<sup>99</sup>

აღ. რობაქიძე საქართველოსა და კავკასიის მთიანეთში მრავალწლიანი საველე კვლევა-ძიების შედეგად დაგროვილი ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე იძლევა საქართველოს მთის ზონის საცხოვრებელი და თავდაცვითი ნაგებობების შედარებითი, ისტორიული და ტიპოლოგიური კლასი-

<sup>98</sup> აღ. რობაქიძე. მოკლე ბიბლიოგრაფიული შენიშვნები მთიულეთის შესახებ არსებულ ეთნოგრაფიულ გამოკვლევებზე.– კეკ. III, მთიულეთის ეთნოგრაფიული ნარკვევები. თბ., 1971, გვ. 219.

<sup>99</sup> ვ. შამილაძე. საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიოგრაფიის ზოგიერთი საკითხი პროფ. აღ. რობაქიძის შემოქმედებაში.– სდსყკ, თბ., 1989, გვ. 24.

ფიკაციის სრულყოფილ და მეცნიერულად გამართულ სქემას, რაც აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას მიერ დაწვებული ქართული ხალხური საცხოვრებლის შესწავლის ღირსეულ გაგრძელებას წარმოადგენს. აღნიშნული პრობლემისადმი მიძღვნილ მრავალრიცხოვან ნაშრომებს („მთიულეთის სოფელი ძველად“ – რ. ხარაძესთან თანაავტორობით, თბ., 1965; „კავკასიის ხალხთა საცხოვრებლის ტიპოლოგიისა და კარტოგრაფირების საფუძვლები“, რუსული გამოცემა. – *СЭ*, №2, 1967; „აჭარული საცხოვრებელი ნაგებობანი“ – აჭარის მოსახლეობის ყოფა და კულტურა, თბ., 1967 და სხვა) ერთვის ავტორის მიერ მოძიებული და მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული საილუსტრაციო მასალა. ყურადღებას იქცევს მის მიერვე გადაღებული ფოტო სურათები, რომლებიც თავისი კომპოზიციურობითა და მიზნობრივი ჩვენებით მნახველს ნათელ წარმოდგენას უქმნის შესასწავლობიერებზე. მის ნაშრომებში წარმოჩენილია ქართველ მთიელთა საცხოვრებელი და თავდაცვითი ნაგებობების გენეზისისა და განვითარების გზები, ნაჩვენები და დახასიათებულია ხალხური ხუროთმოძღვრების მრავალფეროვანი ხერხები და საშუალებები.

ქართული და ზოგადკავკასიური ეთნოგრაფიული მასალების გაანალიზებით ალექსი რობაქიძე აფართოებს სოციალურ პრობლემატიკას და აქვეყნებს მრავალრიცხოვან ნაშრომებს. მატერიალური კულტურის ირგვლივ გამოვლენილი ეთნოგრაფიული მასალების კვლევის პროცესში ალექსი რობაქიძე აჩვენებს მთიელთა ადრეკლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების რიგ თავისებურებას. ტრადიციულ ფორმათა თანმიმდევრული კვლევა-ძიებით მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მთური ფეოდალიზმის ზოგადთეორიული საკითხების გაშუქებაში, რაც საქართველოს ეთნოგრაფიის პრობლემატიკაში თვალსაჩინო მიღწევას წარმოადგენს. კერძოდ, ალექსი რობაქიძემ განავითარა და შემდგომ სრულყო მ. კოსვენის, გ. ჩიტაიას, ვ. ბარდაველიძის, რ. ხარაძისა და სხვათა ცალკეული დებულება.

აღ. რობაქიძის გამოკვლევებში ცენტრალური კავკასიის მთიანეთში გამოვლენილი ახალი ეთნოგრაფიული მონაცემების შედარებითი ისტორიული ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე შესწავლილი და დადგენილია ქართველ და კავკასიელ მთიელთა ეთნოკულტურული ურთიერთობის რთული და მრავალმხრივი პროცესები, რაც ეთნიკური, ენობრივი, კონფესიური და სარწმუნოებრივი სხვაობისა თუ შინაფეოდალური განხეთქილების მიუხედავად ხელს უწყობდა ამ მეზობელი ხალხების ერთიანი კავკასიური კულტურული სამყაროს წიაღიდან მომდინარე კულტურული ურთიერთზემოქმედების გაღრმავებას. ეს პროცესი განსაკუთრებით კარგად შეინიშნება სვანებისა და ბალყარელების ეთნოკულტურულ ურთიერთობებში.<sup>100</sup>

წინამდებარე ნაშრომის მიზანია წინა პლანზე წამოწიოს მატერიალური კულტურის ის სფერო და ელემენტები, რომლებსაც გარკვეული დახმარების გაწევა შეუძლია ისტორიული მეცნიერებისათვის. ამჯერად ყურადღებას მხოლოდ რამდენიმე საკითხზე გავამახვილებთ. ამგვარი საკითხების რიგს განეკუთვნება: დასახლების ფორმა, საცხოვრებელი სახლი, სახლის ფართის სეგმენტაცია, სამეურნეო ნაგებობანი.

აღ. რობაქიძე განიხილავს რა დასახლების ფორმას აღნიშნავს: „დასახლების ფორმა უნდა განიხილებოდეს, პირველ ყოვლისა, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული მთლიანობა, რომლის თავისებურებას საზოგადოებრივ ეკონომიკური განვითარების დონე განსაზღვრავს. პირველყოფილ-თემური წყობილების პირობებში დასახლების ერთეულის მთლიანობის საფუძველს სისხლით ნათესაობა წარმოადგენს, სოფლის თემის პირობებში - მეზობლობა და ტერიტორიული ერთობლიობა, ხოლო კლასობრივ საზოგადოებაში -

<sup>100</sup>К вопросу о сванско-балкарских этно-культурных взаимоотношениях, Нальчик, 1960; К вопросу о нахской этнонимике.-КЭС, III, 1968; Кавказоведческие проблемы грузинской этнографии.- КЭС, IV, 1972; Об особенностях общественного быта горцев Кавказа, Тб., 1983.

საწარმოო ურთიერთობათა შესაბამისი ფორმა”. რაც შეე-  
ნება საცხოვრებელ ნაგებობებს იგი უნდა განიხილებოდეს,  
როგორც მატერიალური კულტურის ძეგლი, რომელიც  
ხალხური ხუროთმოძღვრების თავისებურებებთან ერთად,  
ასევე, მკაფიოდ ასახავს საოჯახო ურთიერთობათა ხასიათს,  
მეურნეობის ფორმებს, ხალხური რწმენა-წარმოდგენების  
არსებით მხარეებს.

ქართულ ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ეთნოგრაფი-  
ული შესწავლის დარგში ბევრი რამ არის გაკეთებული:  
შეკრებილია დიდი რაოდენობის, როგორც ძირითადი, ასევე  
შესადარებელი მასალა, საქართველოს ცალკეული კუთხის  
მიხედვით გამოვლენილია საცხოვრებელ ნაგებობათა  
ძრავალი ფორმა და სახე, დადგენილია ამ ფორმათა შორის  
ურთიერთობა, დასმულია საითხი ქართულ ხალხურ  
საცხოვრებელ ნაგებობათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციის  
შესახებ.

აღ. რობაქიძეს საცხოვრებელ ნაგებობათა კლასიფიკა-  
ციის საფუძვლად წარმოდგენილი აქვს რამდენიმე სხვად-  
ასხვა ნიშანი: სახლის ფორმა, სამშენებლო მასალა,  
სართულიანობა, გადახურვის სისტემა და სხვა, მაგრამ აქ  
წარმოდგენილი კლასიფიკაცია ასახავს, პირველ ყოვლისა,  
ნაგებობის არქიტექტურას. ეთნოგრაფიული ატლასის ამო-  
ცანების შესატყვისი ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, პირველ  
ყოვლისა, საზოგადოებრივი განვითარების დონეს უნდა ასა-  
ხავდეს, რამდენადაც ეს უკანასკნელი ნაგებობათა არქიტექ-  
ტორული ფორმის ჩამოყალიბების პროცესის ძირითად ფაქ-  
ტორს წარმოადგენს. ამ რიგის უნივერსალური ნიშანი, რო-  
გორც ალექსი რობაქიძე აღნიშნავს, ჯერჯერობით შემუშა-  
ვებული არ არის და ეთნოგრაფიულ ატლასზე საცხოვრე-  
ბელ ნაგებობათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციის საკითხის  
გადაწყვეტასაც შეუწყობს ხელს. ამ მხრივ ყურადღება უნდა  
მიექცეს, უპირველეს ყოვლისა, საცხოვრებელი ნაგებობების  
დაგეგმარებას, ფართის საერთო სიდიდეს და მისი  
სეგმენტირების ხასიათს, რადგან მასში გარკვეულ ასახვას

პოეზებს ოჯახის ფორმის თავისებურება, რომელიც, თავის მხრივ, საზოგადოებრივი განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია. ისევე, როგორც ყოფიერი კულტურის ყველა ტრადიციული ფორმა, ხალხური საცხოვრებელი კომპლექსიც, ეთნოგრაფიული კვლევის ერთ-ერთ საიმედო წყაროს წარმოადგენს. მატერიალური კულტურის ამ ელემენტში, ყოფის სხვა გადმონაშთებთან შედარებით, არანაკლები სისრულით არის ასახული ხალხის მეურნეობრივი საქმიანობის, სოციალური ყოფის, სამშენებლო ხელოვნების, რწმენა-წარმოდგენების განვითარების დონე, მიმართულება და ხასიათი, მისი ეთნიკური თავისებურება. განსაკუთრებით ეს ითქმის ქართული საცხოვრებელი ნაგებობების შესახებ. მკვეთრად გამოვლენილი ხეობები ვერტიკალური ზონალობის პირობებში ხელს უწყობდა შიდა ეთნიკური სტრუქტურების განვითარებას, საკუთრივ ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონების წარმოქმნას და შესატყვისი ეთნოგრაფიული ჯგუფების ჩამოყალიბებას. კულტურისა და ყოფის ელემენტები, მართალია განსხვავდებიან ლოკალური სპეციფიკით, მაგრამ ტიპოლოგიური ერთობლიობის ფარგლებს არ სცილდებოდნენ და იტორიულად ერთი ეთნოსის ნიშან-თვისებას შეადგენდნენ. ამან განაპირობა ქართულ საცხოვრებელ ნაგებობათა მრავალფეროვნება, მათი ტიპოლოგიური ერთიანობის პირობებში.

აჭარულ საცხოვრებელ კომპლექსს ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. აქ შედარებით პატარა ტერიტორიაზე, ფიქსირებულია საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა მრავალი სახეობა, რომელთა შედარებითი ანალიზი საშუალებას იძლევა დადგინდეს აჭარული საცხოვრებელი ნაგებობის განვითარების ერთი უწყვეტი ხაზი, რომელიც თავისი ძირითადი ტენდენციებით, ეთნოსპეციფიკური ნიშნებით ქართული საცხოვრებელი ნაგებობის ლოკალური სახით არის წარმოდგენილი.

აღ. რობაქიძის ხელმძღვანელობითა და თანადგომით ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაგვედგა

ქართველი ხალხის ეთნოგრაფიის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემის შესწავლაში და გვეჩვენებინა აჭარული საცხოვრებელი ნაგებობის განვითარების აქამდე უცნობი საფეხურები, რის შედეგად ჩვენ მივიღეთ კულტურის ამ ელემენტის ევოლუციის შემდეგი რიგი: ფაცხა სახლი, ძირთული ჯარგვალი, ზედშედგმული ჯარგვალი, ოდა სახლი, რომელთა განვითარებულ ფორმას აჭარული სახლი წარმოადგენს. აჭარული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობათა რთული კომპლექსი დეკორატიულ და სამეურნეო ეზოშია განლაგებული. სამეურნეო ეზოს სხვადასხვა კუთხეშია განლაგებული საბძელი, ბელელი, ნალია, ფურნე, საქათმე და სხვა. საცხოვრებელი სახლი ფასადით ამომავალი მზის მიმართულებითაა და დეკორატიულ ეზოს უცქერის, ზურგით კი სამეურნეო ეზოს ესაზღვრება, რომელსაც უშუალოდ ემიჯნება სახნავ-სათესი ნაკვეთი – ნაფუძარი. მთის ზონის აჭარული კარმიდამო ამ ნიშნებით საერთო დასავლურ ქართულთან გარკვეულ ნათესაურ ურთიერთობაშია, თუმცა გააჩნია რიგი სპეციფიკური თავისებურებანიც. ერთ-ერთ თავისებურებად უნდა ჩაითვალოს სახნავ-სათესი ნაკვეთის გაპატივება პირველ სართულზე მოთავსებული საქონლის სადგომიდან წყლის მეშვეობით გატანილი ნაკელით – სასუქით.

გამოვლენილი მასალები მეტყველებენ, რომ საქართველოში ხალხური ხუროთმოძღვრება მაღალ დონეზე იდგა. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ის ნიშნები, რომლის მიხედვითაც დგინდება ადგილის სამოსახლოდ ვარგისიანობა: სასმელი, სამეურნეო და სამკურნალო წყლების არსებობა, ჰაერის ცირკულაცია, ქარების მიმართულება, ნალექების რაოდენობა და ხასიათი, მზე და ჩრდილი, ნიაღვრის, ზვავის, მეწყერის საშიშროება, სამოსახლოსთან მისასვლელი კომუნიკაციები, სახლის ტერიტორიული მიმართება სახნავ სავარგულებთან, სათიბთან, ბალ-ბოსტანთან, საძოვართან, ტყესთან და სხვა.

საყურადღებოა ემპირიული ცოდნის ის მარაგი, რომელიც ვლინდება სამშენებლო მასალის შერჩევა-დამზადების, ნადისა და სხვა ფორმების, აგრეთვე, ნაგებობების გადახურ-



ვის ორგანიზაციაში. დიდ მნიშვნელობას იძენს აჭარული საცხოვრებელი სახლის ფართის დანაწილებისა და ათვისების თავისებურებები. ეს იმაზე მიუთითებს, რომ აჭარული სახლის საკმაოდ დიდი საცხოვრებელი ფართი და მისი რაციონალური დანაწილება ადასტურებს, რომ სახლის ეს ფორმა პასუხობდა დიდი ოჯახის ინტერესებს.

აჭარული საცხოვრებელი ნაგებობებისა და კარმიდამოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა გვიჩვენებს, რომ მთლიანად აღებული აჭარული სამოსახლო მაღალგანვითარებული საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის მაჩვენებელია. იგი მოწმობს, რომ აჭარულმა სახლმა განვითარების ხანგრძლივი გზა გაიარა და სრულყოფილი სახით პასუხობდა სოციალ-ეკონომიკური თვალსაზრისით დაწინაურებული დასახლების ფორმას, რომელსაც სპეციფიკურ თავისებურებებთან ერთად რიგი პარალელი მოეპოვება საქართველოს სხვა მთიანი ზონის დასახლების ფორმასთან.

## თამაზ ფუტყარაძე

### ალექსი რობაქიძე და ეთნიკური პროცესების კვლევა საქართველოში

ეთნიკური პროცესების კვლევას საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. მეცნიერების განვითარების პრაქტიკული ამოცანებიდან გამომდინარე, ამ საკითხს პირველ რიგში ისტორიკოსები და ეთნოგრაფები აქცევდნენ ყურადღებას, მაგრამ ინტენსიური კვლევის ობიექტად იგი შედარებით გვიან იქცა და მის ირგვლივ კამათი დღესაც არ დასრულებულა. ეთნიკური ასიმილაციისა თუ ტრანსფორმაციის მრავალი ასპექტი ამჟამადაც წარმოადგენს დისკუსიის ობიექტს. ანალოგიური ვითარებაა ეთნიკური პროცესების თეორიული საკითხების მიმართაც.

ეთნიკური პროცესების ზოგადთეორიული საკითხების კვლევაში სპეციალისტთა დაინტერესება ამა თუ იმ რეგიონის მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელით, მიგრაციული პროცესების გააქტიურებითა და უცხოეთნიკური ელემენტების შემოსახლება-დამკვიდრებით არის განპირობებული. ეს საკითხი განსაკუთრებული აქტუალობით გამოირჩევა საქართველოშიც, სადაც საუკუნეების მანძილზე ხორციელდებოდა ანტიქართული დემოგრაფიული პოლიტიკა, რის წყალობითაც მთელ რიგ რეგიონებში მკვიდრი ეთნოსი ეროვნულ უმცირესობად იქცა.

უცხოეთნიკური ელემენტების დამკვიდრების, ქვეყანაში შექმნილი მძიმე დემოგრაფიული ვითარების შესახებ არაერთი ნაშრომი დაიწერა, მათ შორის დემოგრაფების, სოციოლოგების თუ ისტორიკოსების მიერ, მაგრამ ეთნიკური პროცესების კვლევა დაკავშირებულია ეთნოგრაფების სახელთან. ამ მხრივ განსაკუთრებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წვლილი, სადაც წლების განმავლობაში მუშაობდა ბატონი ალექსი რობაქიძე.

ბატონ ალექსის ამ საკითხზე სპეციალურად არ უმუშავია და არც კონკრეტული ნაშრომი დაუწერია, მაგრამ მისი ინტერესი ჩანს მისივე მოსწავლეების მიერ შესრულებულ სამეცნიერო შრომებში.

ისტორიულად ისე მოხდა, რომ ჩვენში ქრისტიანობის დაცვა ეროვნული თვითმყოფადობის დაცვას ნიშნავდა. გვიანფეოდალურ ხანაში ისტორიული ბედუკულმართობის გამო არაერთი რელიგია დამკვიდრდა საქართველოში. ხდებოდა ეროვნებისა და სარწმუნოების გაიგივება, მაგრამ ისლამის, კათოლიკობისა თუ გრიგორიანობის მიღების შემდეგაც ქართველი მაჰმადიანი, ქართველი კათოლიკი თუ ქართველი გრიგორიანი მაინც ინარჩუნებდა თავის ეთნიკურ იერსახეს, თუმცა, იშვიათი არ იყო ეთნიკური ასიმილაციის შემთხვევებიც. ქართველთა გასომხების არაერთი მაგალითი აქვთ დადასტურებული გ. ჯალაბაძეს, თ. ოჩიაურს, ნ. ვოლკოვას, რ. თოფჩიშვილსა და სხვებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა რ. თოფჩიშვილის ნაშრომი „ქართველი მაჰმადიანები, ქართველი კათოლიკები, ქართველი გრიგორიანები“, ასევე, მისი მოღვაწეობა ქართული გვარების აღდგენის საშვილიშვილო საქმეში. ბატონ როლანდთან თავს იყრის უამრავი მასალა, რომლებიც ასახავენ როგორც ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნების, ისე ეთნიკური ასიმილაციისა თუ ტრანსფორმაციის შემთხვევებს.

ბატონი ალექსი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ეთნოდემოგრაფიული საკითხების კვლევას. სწორედ ამან განაპირობა სამეცნიერო ნაშრომების შექმნა დემოგრაფიულად ფეთქებადი რეგიონების შესახებ. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ლამარა ფაშაევას ნაშრომი „ეთნიკური პროცესები თრიალეთში“. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია რეგიონის კონფესიური და ეთნიკური ჯგუფების ჩამოყალიბების საკითხებზე. რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომის შემდეგ თრიალეთში ჩამოასახლეს ბერძნები, სომხები და მცირე რაოდენობის ქართველები. აღნიშნული ეთნიკური ჯგუფები თურქეთში გაჩნდა სხვადასხვა ვითარე-

ბის გამო. ბერძნები, როგორც ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრეები მიმოფანტული იყვნენ თურქეთის მთელ ტერიტორიაზე. ქართველები და სომხები კი აქ გაჩნდნენ თურქეთის მიერ სომხეთისა და საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დაპყრობის შემდეგ. ერზრუმისა და ყარსის ვილაიეთი, რომელიც დაიკავეს რუსებმა, ანდრიანოპოლის ზავით თურქეთს დაუბრუნდა, მაგრამ აქ მცხოვრები ქრისტიანი მოსახლეობის ნაწილი, რომლებიც რუსებს ემხრობოდნენ, ახლა აღმოჩნდნენ გამოუვალ მდგომარეობაში. რუსების წასვლის შემდეგ თურქები დაიწყებდნენ ანგარიშსწორებას. პასკევიჩის წინადადებით ამ ვილაეთების ქრისტიანი მოსახლეობა ჩამოასახლეს საქართველოში. ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე არის საუბარი ლ. ფაშაევას სხვა ნაშრომებშიც (მაგალითად, ოჯახი და საოჯახო ყოფა წალკის რაიონის ბერძნულ მოსახლეობაში და სხვა).

ბერძნების საქართველოში, კერძოდ აჭარაში დამკვიდრებისა და ეთნიკური პროცესების შესახებ საინტერესო ნაშრომები გამოაქვეყნა ლარისა დემუროვამ. მათგან საყურადღებოა: „აჭარაში მცხოვრებ ბერძენთა ტრადიციული ტანსაცმლის საკითხისათვის“ (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, XIII, 1986), „აჭარაში მცხოვრები ბერძნების საოჯახო ყოფის შესწავლისათვის“ (სდსყკ, XII, 1986), „ქალის მდგომარეობა რევოლუციამდელ ბერძნულ ოჯახში“ (სდსყკ, XIV, 1987). ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ ქართულ მოსახლეობასთან სამეურნეო-კულტურული ურთიერთობის პროცესში ადრინდელი საცხოვრისიდან თან მოტანილი ზოგიერთი ტრადიციული წესჩვეულება თუ რიტუალი შეერწყა და შეეთვისა ქართულს, მაგრამ მათი ეთნიკური თვითშეგნება უცვლელი დარჩა. ავტორის დასკვნით, ყოფითი კულტურის თავისებურებები მიუთითებენ იმ ფართო კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობებზე, რომელიც განიცადა ბერძნულმა მოსახლეობამ ანატოლიისა და კავკასიური სამყაროს ახალ პირობებში დამკვიდრებისა და ცხოვრების პერიოდში.

ბატონი ალ. განსაკუთრებული ინტერესით ადევნებდა თვალყურს სამცხე-ჯავახეთში მიმდინარე პროცესებს. ეს რეგიონი განსაკუთრებული დემოგრაფიული დამაბულობით გამოირჩევა. ბატონმა ალექსიმ 1989 წლის ზაფხულში ამ რეგიონში მიმდინარე ეთნიკური პროცესების შესწავლა დამისახა მიზნად. კვლევის შედეგები გამოქვეყნდა ნაშრომში „ეთნიკური სტრუქტურა და ეროვნულ-დემოგრაფიული პროცესები სამცხე-ჯავახეთში“ (ბათუმი, 1997).

ბატონ ალექსის განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ბათუმში ეთნოლოგიური კვლევის მეცნიერული და ორგანიზაციული დამკვიდრების საქმეში. დღეს ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილება ერთ-ერთი ყველაზე უკეთ დაკომპლექტებული სტრუქტურული ერთეულია საქართველოში ამგვარი პროფილის მქონე ქვედანაყოფთა სისტემაში. ალექსი რობაქიძის თანადგომითა და ხელმძღვანელობით აქ დაიწერა მრავალი სამეცნიერო ნაშრომი. კვლევის შედეგებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ოსმალთა სამსაუკუნოვანი ბატონობის მიუხედავად ვერ მოხერხდა მკვიდრი მოსახლეობის ეთნიკური ასიმილაცია და შენარჩუნებული იქნა ქართული ყოფისა და კულტურისათვის დამახასიათებელი ზოგადეთნიკური ელემენტები, რითაც იგი ფაქტობრივად დაუპირისპირდა ისლამის მსოფლმხედველობაზე დამყარებული ოსმალური ყაიდის ცხოვრების წესს. იმ სპეციფიკურმა ვითარებამ, რომელშიც იმყოფებოდა აჭარა გვიანფეოდალური ხანის საკმაოდ დიდ მანძილზე, ძირძველი ქართული ტრადიციის ეთნიკური ფუნქცია განუზომლად გაზარდა. ქართული ხალხური წეს-ჩვეულებების დაცვა, უცხო წესების შემოტევისაგან მათი იდუმალ პირობებში შესრულება წარმოადგენდა მოძალებული ისლამის წინააღმდეგ ბრძოლის გზას და ემსახურებოდა ქართული ეთნიკური თვითმყოფადობის – ქართველობის დაცვის ინტერესებს.

თავად ბატონმა ალექსიმ აჭარის ეთნოგრაფიულ შესწავლას მრავალი ნაშრომი მიუძღვნა, რომლებშიც ხაზგასმით

აღინიშნა აჭარის მოსახლეობის ყოფითი კულტურის ლოკალური თავისებურებანი და მისი ზოგადქართული ხასიათი.

პროფესორმა ალექსი რობაქიძემ თავისი მოღვაწეობით განსაკუთრებული როლი ითამაშა ეთნიკური პროცესების კვლევის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით კვლევის სფეროში მოექცა მანამდე შეუსწავლელი მრავალი საკითხი. კვლევის შედეგად მიღებული დებულებები მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ქართულ ეთნოგრაფიაში, რაც პროფესორ ალექსი რობაქიძის დამსახურებით არის განპირობებული.

## მოგონებები

თინა ოჩიაური

### ალექსი რობაქიძის განსვენება

ჩემი პირველი შეხვედრა ალექსი რობაქიძესთან უჩვეულო გარემოში მოხდა. ომის მძიმე წლები იყო. უნივერსიტეტის მეოთხე კურსიდან გამოგვიშვეს და სამუშაოზე გაგვანაწილეს. მე ხევსურეთში, ბარისახოში მოვხვდი, სადაც ერთი ზამთარი გავატარე – საშუალო სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლიდი.

გაზაფხულზე, დიდი ავღრების გამო, არაგვმა ხიდები წალეკა, საცალფეხო ბილიკით შეიძლებოდა სოფელ შუაფხოში მისვლა, სადაც ჩემი მშობლები ცხოვრობდნენ. ერთ დღეს იქითკენ დავადექი გზას. შევუხვით თუ არა ხეობაში, უცებ საცალფეხო დამრეც ბილიკზე ტყის საფარიდან სამი, მუხლებსზემთ შარვალ აკაპიწებული მამაკაცი დაეშვა. პირისპირ შევხვდით. ვიცანი გიორგი ჩიტაია, არაბისტი გიორგი წერეთელი, ხოლო მესამე ალექსი რობაქიძე აღმოჩნდა. გამომელაპარაკნენ. გაირკვა რომ პროდუქტების საშოვნელად იყვნენ ამოსული შუაფხოში, სადაც ჩვენებისთვის დაეტოვებინათ გადასაცვლელი რაც ჰქონდათ. საუბარში ასპირანტურაში სწავლის გაგრძელება ახსენეს და ეთნოგრაფიაში დასპეციალება მირჩიეს. ამ შეხვედრამ გადაწყვიტა ჩემი მომავალი საქმიანობის ბედი – იმავე წელს ჩავაბარე გამოცდები და ეთნოგრაფიის განყოფილებაში ასპირანტად ჩავირიცხე.

სულ სხვა სიტუაცია სუფევდა მაშინ განყოფილებაში. ორ ოთახში ვიყავით განლაგებული. ერთში ერთმანეთის პირდაპირ ვერა ბარდაველიძე და რუსუდან ხარაძე იხდნენ, ქალბატონ ვერას გასწვრივ ილია ჭყონია იჯდა. სამსახურში დაგვიანება არ შეიძლებოდა, დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე ადგილზე უნდა ვყოფილიყავით. ოთახში ბუზის

გაფრენის ხმას გაიგონებდით, ყველა სამუშაოში იყო თავჩარგული. ერთადერთი მოუწესრიგებელი ილია ჭყონია იყო, რომელიც ხშირად იგვიანებდა. შემოაღებდა კარს და აქლომინებული მიეჭრებოდა თავის უზარმაზარ მაგიდას, ამოყრიდა არეულ-დარეულ ქაღალდებს და ისიც „საქმეში ჩაეფლობოდა“. მაშინ განყოფილებაში გაჩაღებული ლექსაობა გვქონდა. ამაზედაც იყო ლექსი, რომელიც ასე იწყებოდა:

„შუადღისას კარს გააღებს,  
ხინინებს და ქშენს,  
უჯრას აღებს, ააბუქებს  
თამბაქოს და მტვერს,  
თვალებს იქით გააპარებს-  
-მიყურებს თუ წერს !!“ და ა. შ.

(იგულისხმება ვერა ბარდაველიძე).

ლ. ბოჭორიშვილი პათეტიკური სტილით ალექსებდა უფროს თაობას, განყოფილების მხატვარს ლ. ხითარიშვილს, რომელიც რატომღაც სულ ფეხზე იდგა. ერთხელ ბატონი გიორგიც ჩაერთო ამ ამბავში და მე გამლექსა, სადაც ასეთი სტრიქონები იყო:

„გული ერთსა დააჯერე  
ტურფავ, ტურფებში,  
თორემ ხედავ, ია ჭკნება  
ბუჩქის ძირებში ...“

ბატონი ალექსი ამ მხრივაც ერთი პირველთაგანი იყო. მისი ნათქვამია სვანეთში, ფოლკლორისტ ქსენია სიხარულიძეზე:

„მულახში, ბალახ-ბულახში  
თავს იწონებდა ქსენია,  
აქ მაინც გაეთხოვდებოდე  
სხვა გზა მე არ დამრჩენია ...“

ყველაფერი ეს ხალისსა და კარგ განწყობას ჰქმნიდა, ერთმანეთთან გვაახლოვებდა. მე რომ ჩემი პირველი ექსპედიცია მაგონდება ხევსურეთში, ასეთი განცდა შემდეგში თითქმის აღარ მქონია. ყველანი ჩემზე ბევრად უფროსები



იყვნენ, მაგრამ თავისთავად ახალგაზრდები, შემართულნი, ველზე მუშაობის ჟინით ატანილები, ახლის მოპოვების სურვილით დამუხტულნი, მიუხედავად მძიმე პირობებისა (ომი განლდათ), ხალხით სავსენი.

მახსოვს ბარისახოში გასაყიდად ღვინო ამოიტანეს. ექსპედიციის კაცებმაც (ალექსი რობაქიძე, ირაკლი ქავთარაძე, ნიკო რეხვიაშვილი) იყიდეს და რაკი თავის ნებაზე წაქეფება მოუნდათ, უფროსების ჩუმად მასპინძელი მაშოვნიწეს. ჩვენი საცხოვრებელიდან იქამდე მისასვლელი გზის მონაკვეთი ჩანდა. ქალბატონი ვერა არაფერზე დაეჭვდესო, უცებ ალექსიმ მოსასხამი მომადრო, ბოთლი ჩვილივით გამოჰკრა, ჰაერში შეაბუქნავა და „ადანდალი-დანდალი“-ს ღიღინით გაიარა სახიფათო გზა.

სოხუმში გამართულ ეთნოგრაფთა რესპუბლიკურ სესიაზე ლუღვიგ ჩიბიროვმა და ვახტანგ ჩიქოვანმა ერთობლივი მოხსენება წაიკითხეს საცხოვრებელი სახლის შესახებ, სადაც სახლი განხილული იყო, როგორც სამყაროს მოდელი, როგორც ზესკნელ-ქვესკნელის ერთობლიობა, რომლის შიდა ფართი დაყოფილია წაღმართთა ანუ მამაკაცთა და ეშმაკეულთა – უკუღმართთა ანუ ქალთა კუთვნილ არეებად. ბატონმა ალექსიმ მოხსენებას მაღალი შეფასება მისცა. მე, რომელსაც ასეთი გააზრებები ხალხისთვის უცნოდ და მკვლევართა შემოქმედების ნაყოფად მიმაჩნია, ბატონ ალექსის შეკითხვა გავუღეპე და მივართვი:

„თუმც ლუღვიგი და ვახტანგი  
ორივ სიბრძნის მძებნელია,  
მაგრამ მაინც ვერა ვხვდებით  
ქვესკნელს ვართ თუ ზესკნელია,  
თუ ალექსი წაღმართია,  
ლინა ეშმაკთ მღვენელია,  
მაგრამ თუკი ეს წაღმართი  
უკუღმართს ვერ შელევია,  
მაშინ როგორ დავიჯერო  
ამისთანა „დელენია“?

მოსწრებული სიტყვა ჰქონდა: მაშინვე უღებდა ალლოს სიტუაციას და ნაფიქრს სხარტად გამოხატავდა. ერთხელ ასეთ საუბარს შევესწარი: კარი გაიღო და ბატონ ალექსისთან შემოვიდა არქიტექტორი, რომელიც მას პირიქით ხევსურეთის ნამოსახლარ სოფელ მუცოს ასაზომ-ასაგეგმად ჰყავდა გაგზავნილი:

– აქ რა გინდა, რატომ ჩამოხვედი ასე ადრეო, –  
ეკითხება ბატონი ალექსი.

– აბა წარმოიდგინეთ როგორია: ზიხარ მარტოკა ამ ნანგრევებში, მუშაობ და უცებ ზურგსუკან რაღაც ცხელი გაგისრიალდებაო, –

პასუხობს იგი.

– ეტყობა შიშისგან ისე გაგაცია, ცივი ცხლად მოგეჩვენაო, – მოუჭრა ალექსიმ.

ძალიან დიდი ღვაწლი მიუძღვის მას კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიის კვლევის საქმეში, სამეცნიერო კადრების მომზადებაში, დარგის საერთო ხელმძღვანელობაში. განსაკუთრებით ეს ითქმის ოსი ეთნოგრაფების მიმართ, რომელთა უმეტესობას მისი სკოლა აქვს გავლილი. მახსოვს, ზინაიდა გაგლოვას იუბილეს ცხინვალში ვერ დავესწარი, მისალოცი წერილი გავუგზავნე, სადაც ასეთი სტრიქონები იყო:

„ძმობის ხიდი გაამტკიცე,

ქალი იდე, კაცი იმე,

დღეს იმ ხიდზე დაგრიალებთ

შენა და ალ. რობაქიძე”.

სამწუხაროდ ის ძმობის ხიდი ჩვენთან დაფრთიანებულია ბმა დაანგრეის სხვა თანამომემებთან ერთად.

საქმეში პრინციპული, მომთხოვნი ხელმძღვანელი, ახალი წამოწყებების მოთავე, რომლის აზრს ანგარიშს უწევდნენ ეთნოგრაფიული მეცნიერების სამყაროში, ლალი და მხიარული, გულისხმიერი და თბილი იყო ჩვეულებრივ ადამიანურ ურთიერთობაში, მაგრამ არსებობდა რაღაც ბარიერი, რომელსაც ვერ გადალახავდი, რომელიც გაგრძნობინებდა თუ რა პიროვნებასთან გქონდა საქმე. სულ სხვა თაობა იყო,

სხვა წრთობა ჰქონდათ, სხვა გაქანება, ფართო საზოგადოებრივი ინტერესები. ასაკით არა, მაგრამ თავისი ღონით იმ თაობას ეკუთვნოდა ალექსი რობაქიძე, რომელიც გიორგი ჩიტაიამ დალოცა და ქართული ეთნოგრაფიის სადავეები ჩააბარა.

## **ჯულიეტა რუნაძე-ბენდუქიძე**

### **ალექსი რობაქიძის განსენება**

ჩემი წერილი ბატონი ალექსის პორტრეტის დახატვის ცდაა.

ღღეს ბატონი ალექსის 90 წლისთავზე, მინდა ვთქვა ყველაფერი, მაგრამ მისი თანდასწრებით უფრო თამამად ვიტყვოდი და ბევრ რამეს ისეთსაც დავუმატებდი, რაც უიმისოდ, მის დაუსწრებლად არსად არ უნდა თქვას კაცმა და ვერც იტყვი.

ისეთი გამორჩეული პიროვნების მოგონება, როგორც ბატონი ალექსი იყო, არც თუ ადვილი გახლავთ. ბედნიერად ვგრძნობ თავს რომ მას, სიტყვის მმართველს და ოქროპირს, სამსახუროებრივად დაუახლოვდი. ანთებული გულით დაბადებულს, ძველი მიჯნურივით ჰქონდა ულვევი ენერჯია, გონება, თანდაყოლილი ღვთით ნაბოძები ენა და მისგან ნაკურთხი კალამი. ის ძალზე ამაყი იყო, კარგი მოსაუბრე, უამრავი რამ იცოდა, იუმორის დიდი გრძნობა გააჩნდა, საუბრისას ხუმრობასაც კარგად იტანდა. იმპროვიზაციის საოცარი უნარი ჰქონდა. შეეძლო ეთნოგრაფიის სხვადასხვა საკითხებით ოსტატური მანიპულირება. ეს მომხიბლავი ადამიანი, რომელიც დაუბერებელი წავიდა ჩვენგან, არ გავიკვირდებათ თუ ვიტყვით, რომ გასაოცარი წარმატებით სარგებლობდა ადამიანებში, განსაკუთრებით კი ბანოვანთა შორის; მეგობრების მეტად დიდი წრე ჰყავდა, ფართო აუდიტორია უხდებოდა და ტრიბუნაზე დადგომა არ აწუხებდა.

ახალგაზრდობაში ლექსებსაც წერდა და კაფიების თქმა ძალიან ეხერხებოდა. მე მუდამ მნიბლავდა ბატონი ალექსის ცხოვრების სილალე და თავისუფლება.

\*\*\*

ერთი ეპიზოდი მინდა გავიხსენო. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში 1960 წლის 27-28 აპრილს ეთნოგრაფიული ატლასის საკითხებზე სამეცნიერო სესია მოეწყო. სესიის პროგრამა აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ მოამზადა. ეს იყო სახელმძღვანელო მითითებანი მასალის შემგროვებლებისათვის. მოხსენებათა თემატიკაში ასასული იყო მემინდვრეობა, მევენახეობა-მეღვინეობა, მესაქონლეობა, ხალხური საცხოვრებელი ნაგებობანი, ხალხური ტანსაცმელი და ქვით ხურობა. 27 აპრილს მომხსენებლები იყვნენ: გ. ჩიტაია, მ. გეგეშიძე, ან. ლეკიაშვილი, ხოლო 28 აპრილს: თ. ოჩიაური, ალ. რობაქიძე, გ. ჩაჩაშვილი, ს. ბედუკიძე.

ალ. რობაქიძის მოხსენება იყო „ხალხური საცხოვრებელი ნაგებობანი ქართულ ეთნოგრაფიულ ატლასში“. მომხსენებელმა სავარაუდოდ დასახა სამი ძირითადი სამეურნეო-კულტურული ტიპი: კოლხეთის დაბლობისა, აღმოსავლეთ საქართველოს ბარისა და საქართველოს მთიანეთისა. საქართველოს მთიანეთის სამეურნეო-კულტურული ტიპოლოგიის ეს სქემა არ გამორიცხავდა გარდამავალი ფორმების არსებობას. ალექსიმ დასახელებული სქემის ფარგლებში შესაძლებლად მიიჩნია გამოეყო ქართულ ხალხურ ნაგებობათა სამი სახეობა: ოღური, დარბაზული და მთური სახლი. მოხსენებაში არ იყო ხაზგასმით ნახსენები ხევსურული სახლი. ამის გამო თინა ოჩიაურმა მას მისწერა:

„ხევსურთა ნაგებ ნაშენი  
და ხევსურეთის ბუნება  
წინათ ძალიან გიყვარდა  
რამ შეგიცვალა გუნება“

ალექსანდრე არ დააყოვნა, გამიკვირდა კიდევ, თინას ისე სწრაფად გაუგზავნა პასუხი:

„ხევსურთა ნაგებ-ნაშენსა არა-რა დაეწუნება  
ეხლაც მაქვს ხევსურთ ქალაუ  
ხევსურეთს ყოფნის ცდუნება  
ვინძლო შამიხვდეს გაისად  
ხევსურეთს შემობრუნება  
და მერე ნახე ზოგიერთს  
როგორ წაუხდეს გუნება”  
ალ. რ. 28.IV.60.

ასეთი კაფიები ბატონ ალექსის სხვა დროსაც უთქვამს,  
სამწუხაროდ, მხოლოდ ორიოდია შემონახული.

\*\*\*

ალ. რობაქიძე თავდადებული ადამიანი იყო, რომელსაც  
ერთი სურვილი ამოძრავებდა, გამოსდგომოდა ახალგაზრდო-  
ბას, ეზრუნა მათ აწყმოსა და მომავალზე. ის თავგადაკ-  
რული ხელმძღვანელი იყო, რას არ აკეთებდა თავის მოწ-  
აფის ღირსების გამოსაჩენად და მის დასაცავად. შეიძლება  
ითქვას, რომ იგი დაიხარჯა ახლობელთა, მოყვასთა, ნაც-  
ნობ-მეგობართა სიყვარულში და სამსახურში. მაღალი მო-  
ქალაქეობრივი შეგნება გამოსჭვიოდა მის საქმიანობაში.

ბატონო ალექსი მინდა მადლობა გითხრათ არა მარტო  
ეთნოგრაფების საკეთილდღეოდ გაწეული თავდაუზოგავი  
შრომისა და პროფესიული ოსტატობისათვის, არამედ იმი-  
სათვის, რომ არსებობდით, ვინაიდან თქვენისთანა ადამიანები  
სჭირდება ჩვენს საზოგადოებას, ეთნოგრაფიას.

\*\*\*

ბატონი ალექსის გარდაცვალების ორი დღის წინ საავად-  
მყოფოში მივედი, მარტო იყო, ძალიან გაუხარდა, ჩემი შვი-  
ლები ნუნუ და კახა მოიკითხა, მესაუბრა მათ საქმიანობაზე,  
კახას წინსვლაზე, წარმატებაზე. წამოსვლა რომ დავაპირე  
მითხრა, ერთი რამ მინდა გთხოვო, თქვენზე კარგად ამას  
ვერავინ გააკეთებს, ეს სურვილი შემისრულე. ვახტანგ  
ჩიქოვანს სადოქტორო დისერტაციის თემა დაუმტკიცეთ და

უთხარით ჩემთან მოვიდეს. მეორე დღესვე ყველაფერი მოგვარდა, მხოლოდ ვახტანგმა ვერ შეძლო ეს ამბავი ალექსისათვის ეთქვა. ბატონი ალექსი მოულოდნელად გარდაიცვალა, თავზარდაცემული ვიყავი, ვერ წარმოძღვინა მომხდარი უბედურება. მეგონა მისი ძლიერი ნებისყოფა გაიმარჯვებდა უკურნებელ სენთან ბრძოლაში. ვწუხდი, ვაი თუ იგი ჩემთან შეხვედრის დროს ქვეცნობიერად გრძნობდა მოახლოებულ უბედურებას.

\*\*\*

ცოტა მეგულება ბატონ ალექსისნაირი მომხიბლავი და ლაზათიანი პიროვნება. სტუმრობისა და ტრადიციული დღესასწაულის დროს ეთნოგრაფები ხშირად ვიკრიბებოდით. ალექსიმ კარგი მოლხენა იცოდა, მას დახვეწილი სიტყვა-პასუხი ჰქონდა და ჩვენი სუფრის შეუდარებელი თამადა იყო. ყველას უყვარდა მისი ულამაზესი ქართული ცეკვა. როდესაც ავადმყოფობის შემდეგ ასეთ დატვირთვას ერიდებოდა, ლხინის დროს ადგილზე ლამაზად გაშლიდა ხელს და ვაჟკაცურად დატრიალდებოდა. უცებ მისი ცეკვით გამოწვეულ ჩვენ ჟივილ-ხივილს და აღტაცებას, ისე გადართავდა რაღაც ისეთზე, რომელიც უმალ დაგვაწყნარებდა. გაკვირვებული ვიყავით მისი ძლიერი ხასიათით და გარდაქმნის ასეთი უნარით.

ბევრჯერ შევსწრებივარ ჭავჭავაძის პროსპექტზე მის მყუდრო ბინაში ქალბატონ ლინასთან ერთად ბატონი ალექსის ცეკვის ამ ილეთს, რომელსაც ისე მოხდენილად გაითამაშებდა ხოლმე, რომ ადამიანი როგორ ცუდ გუნებაზეც არ უნდა ყოფილიყო, გამხიარულდებოდა და ნანახის გახანგრძლივების სურვილი გაუჩნდებოდა.

\*\*\*

1983 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში არჩევნები იწყებოდა. ჩვენი განყოფილების საქმის გამო და ალბათ ამისთვისაც, რასაც ეხლა მოგახსენებთ, ბატონმა გიორგი ჩიტაიამ შინ დამიძახა და მთხოვა, რომ ბატონი

ალექსისათვის გადამეცა, რომ ხვალ მასთან მისულიყო. თუმცა მეორე დღეს წასვლა არ მინდოდა, მაგრამ უარი არ გამივიდა, ბატონი ალექსი და მე ერთად წავედით. ბატონ გიორგის მეტისმეტად გაუხარდა მისი ნახვა, გულითადად ესაუბრა, აღნიშნა ალექსის ღვაწლი ჩვენს მეცნიერებაში, ხაზი გაუსვა მის ინტელექტს, ერუდიციას და უთხრა წევრ-კორესპონდენტად უნდა წარგადგინოთ, სხვა მერე იქნებაო. თქვენ გაამართლებთ და წინ წასწევთ ჩვენს საერთო საქმეს, ჩვენს მეცნიერებას, ღმერთს ვთხოვ თქვენს კარგად ყოფნას და გამარჯვებას. ეს სიტყვები ისეთი პატივისცემით და სითბოთი იყო ნათქვამი, მე ისე გახარებული და ფრთებშესხმული ვიყავი მათი ურთიერთობით, ჩვენი მოძღვარის კეთილშობილური საუბრით, რომ თვალები ცრემლით ამევსო. ბატონმა ალექსიმ მას დიდი მადლობა გადაუხადა და ჩვენი დარგის საჭირობოროტო საკითხებზე ესაუბრა.

\*\*\*

ორჯერ ვიყავი ბატონი ალექსის დიდი მწუხარების მოწმე. გულშემზარავი იყო ქალბატონ რუსუდან ხარაძესთან მისი განშორების პირველი დღე. დილით ადრე მივედი ხარაძე-სახოკიების ოჯახში, ბატონი ალექსი იქ დამხვდა, რუსუდანი ჯერ კიდევ მის მყუდრო და ლამაზ ბინაში სარეცელზე ესვენა. ალექსი წიგნების თაროსთან იდგა, ცალი ხელი მასზე ჰქონდა მიყრდნობილი და თავდახრილი დავილუპეო ამბობდა. შემდეგ დიდხანს გაოგნებული დადიოდა, ხშირად ერთად ვიყავით, მისი მწუხარება მთრგუნავდა, მაგრამ უძლური ვიყავი, დახმარება არ შემეძლო. ბატონი ალექსი ვერ ახერხებდა ამ ტრაგიკული მდგომარეობიდან გამოსვლას, მარტოობის საშინელი გრძნობა აწუხებდა. როგორც იქნა ალექსიმ შექმნილი კრიზისიდან გამოსავალი უნებლიედ იპოვა. მოსკოვიდან პროფესორი ვალენტინ გარდანოვი ჩამოვიდა. ალექსი იძულებული იყო მისი სტუმრობისათვის თავი გაერთვა. ვ. გარდანოვმა ის ცხინვალშიც კი წაიყვანა. ახლა თანმიმდევრულად გამიძნელებდა

მისი ცხოვრების ამ პერიოდის მთელი რეალური სურათის აღდგენა.

ბატონი ალექსის და მისი მეუღლის ლინას უაღრესი კეთილშობილების გამოა ის, რომ ქალბატონი რუსუდანის მშვენიერი პორტრეტი დღესაც ამშვენებს მათ ბინას. დიდება თქვენ ქალობას, ძვირფასო ლინა.

ბატონი ალექსი ადამიანი იყო და არაფერი ადამიანური მისთვის უცხო არ იყო. ბოლო წლებში მყუდროდ ცხოვრობდა, თავს ბედნიერად გრძნობდა. ეს მეტამორფოზა იმდენად ძლიერი იყო, რომ მან თითქოს მისი გარეგნობაც შეცვალა.

მეორედ ალექსი დამწუხრებული იყო, როდესაც მეუღლის – ლინას ოპერაციის გარდუვალობა გადაწყდა და საავადმყოფოში მოათავსეს. წინა დღეს შევეთანხმდით, რომ ოპერაციის დროს ერთად წავიდოდით. საღამოს ვითარება შეიცვალა, ალექსი დილით ადრე ჩემთან მოვიდა, აღელვებული იყო, თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, მითხრა რომ ოპერაცია ადრე დანიშნეს, ეხლავე უნდა წავიდე, ქვემოთ მანქანაში გელოდებით. საავადმყოფოში ორნი ვიყავით. ის კორიდორში ბოლთას სცემდა, ადგილს ვერ პოულობდა, აღელვებული იყო. ოპერაცია კარგად დამთავრდა, თქვეს რომ საშიში არაფერია, ავადმყოფი თავს კარგად გრძნობს. ალექსის თვალები გაუბრწყინდა. შემდეგ კი ვაჟა ჩხაიძემ დაწვრილებით გვიამბო საქმის ვითარება, ბატონი ალექსი დაამშვიდა, მიულოცა. იგი გახარებული მოვიდა ჩემთან, ორივე ხელი მომკიდა, შემარხია.

\*\*\*

მიუხედავად იმისა, რომ კარგი ურთიერთობა გვქონდა და ვმეგობრობდით, ერთმანეთზე ზოგჯერ ნაწყენიც ვყოფილვართ. თუმცა წყენა დიდხანს არასდროს გაგვეყოლია.

ერთხელ სამარყანდში ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური სესიის დროს თინა ოჩიაურს და მე რაღაც საკითხზე ვერ შეგვეთანხმდა და გაგვინაწყენდა. საღამოობით რესტორანში ვახშმისათვის ვიკრიბებოდით, ერთ მაგიდასთან



ვისხედით, მაგრამ ჩვენ თითქოს ვერ გვამჩნევდა. კარგად მასსოვს, რომ ბატონი ალექსი თბილისიდან ჩემს მიერ წამოღებული ლიმონით ჩაის სიამოვნებით მიირთმევდა. ერთხელ ჩაის შემდეგ ლიმონი თან წაიღო; გამიხარდა, ვიფიქრე საქმე კარგად არის, ალბათ მალე შეგვირიგდება. მართლაც ასე მოხდა.

თბილისიდან სამარყანდში ჩვენ მგზავრობას, რომელიც ძალზე საინტერესო იყო და მხიარულად განვლეთ, თინა ოჩიაურმა ლექსი უძღვნა, რომლის ერთი ნაწილი ასეთია:

„სამარყანდში გამართეს სესია  
სესიაზე ჩამოვედით ქალები  
ეს რა გვემართება ჯულიკო  
„ნაუკაზე“ გვეხუჭება თვალები“.

და კიდევ:

„ალექსიმ შავი ქვა მოგვაგლო  
არ იცხო სიკეთის მირონი  
თუმცა ჩვენი დანახვა არ უნდა  
ჯიბეში ჩაიღო ჯულიკოს ლიმონი.

რაზე გვენდურება რა უნდა“ და სხვა.

და ბოლოს, ბატონი ალექსი უკომპრომისო და ქედმოუხრელი წავიდა ამ ქვეყნიდან. ასეთი დარჩა იგი ჩემს მეხსიერებაში.

ალექსი რობაქიძის სახელი მარადის უკვდავი იქნება ყოველი ეთნოგრაფისათვის და იმათთვის, ვისაც ჩვენი ისტორია უყვარს.

ასეთი იყო ალექსი რობაქიძის ცხოვრება, ასე წარმოგვიდგება მისი პორტრეტი. ბევრი რამის მოგონება შეიძლება, ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი გავიხსენეთ. ეს არის ამ წერილის კონკრეტული ამოცანა.

## მელეა ქანთარია

### ბატონ ალექსი რობაქიძის მოსაგონარი

ერთგვარი სიამაყის გრძნობა მეუფლება, როდესაც ვამბობ, რომ მრავალი წლის თანამშრომლობა და, თუ შეიძლება ითქვას, მე-

გობრობაც კი მაკავშირებდა ცნობილ მეცნიერთან, ქართული ეთნოლოგიური სკოლის საამაყო წარმომადგენელთან – ალექსი რობაქიძესთან. თუმცა ჩვენს შორის დიდი ასაკობრივი სხვაობა იყო, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს ჩვენს მეგობრობას, და არა მარტო ჩემს მიმართ ჰქონ-



ალექსი რობაქიძე თანამშრომლებთან ერთად. მარჯვნიდან მარცხნივ: მელეა ქანთარია, ლამარა ფაშაევა, ალექსი რობაქიძე, ნანული ჯავახიძე, სალომე ბასია

და ასეთი განწყობა, ყველა ახალგაზრდასთან, განყოფილების თანამშრომლებთან სწორედ რომ მეგობრობდა. როგორც ტოლსა და სწორს ისე ექცეოდა თითოეულს. ვისთანაც კეთილგანწყობით იყო, მხოლოდ ასეთ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა საერთოდ.

სწორედ რომ ბედმა გამიღიმა. იმთავითვე ორი ისეთი დიდი კორიფეს ხელში მოვხვდი, როგორებიც იყვნენ ბატონი გიორგი ჩიტაია და ბატონი ალექსი რობაქიძე. 1955 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩავირიცხე ჩრდილო კავკასიის ეთნოგრაფიის განხრით. ხელმძღვანელად აკად. გიორგი ჩიტაია დამინიშნეს. და მას

შემდეგ დაიწყო ჩემი ურთიერთობა ბატონ ალექსი რობაქიძესთანაც, რომელიც იმ პერიოდისათვის უკვე ამზადებდა ნიადაგს ისტორიის ინსტიტუტში დამოუკიდებელი ჩრდილო კავკასიის განყოფილების შესაქმნელად. ამ განყოფილების დაარსებისთანავე, მე მისი ერთ-ერთი თანამშრომელი გავხდი, რადგან ჩემი საკანდიდატო დისერტაციის თემა აბსოლუტურად შეესაბამებოდა განყოფილების პროფილს.

1959 წელს ბატონი ალექსის ხელმძღვანელობით მოეწყო ეთნოგრაფიული ექსპედიცია ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ბალყარელთა ყოფისა და კულტურის შესწავლის მიზნით. უნდა გამოკვეთილიყო სვანეთთან ურთიერთობის საკითხები. ექსპედიციის წევრები იყვნენ: რუსუდან ხარაძე, გივი ჯავახიშვილი, ვახტანგ გამრეკელი, არქიტექტორი ვლადიმერ წილოსანი და მე.

ნალჩიკში ჩვენი ექსპედიცია დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. მაშინდელ ადგილობრივ ხელისუფლებას არაფრით არ უნდოდა ჩვენი შეშვება ბალყარულ სოფლებში და ათასგვარად გვიხლართავდნენ გზებს. ქალბატონ რუსუდანს და ბატონ ალექსის, ალბათ, ათასჯერ მაინც მოუხდათ მინისტრთა საბჭოში თუ სხვა ინსტანციებში მისვლა, მაგრამ ჩინოვნიკები უარით ისტუმრებდნენ მათ. ქალბატონი რუსუდანი ძალიან აღშფოთებული იყო ამ ვითარებით და ყოველთვის სასტიკად აღელვებული ტოვებდა ხოლმე მაღალჩინოსანთა კაბინეტებს. ცხადია, არც ბატონ ალექსის მოსწონდა შექმნილი ვითარება, მაგრამ გარეგნულად სიმშვიდეს ინარჩუნებდა და სულ ეხვეწებოდა ქალბატონ რუსუდანს: „ნუ ეჩხუბები მაგათ, მათთან ასეთი ტონით ლაპარაკი არ შეიძლებაო“. რუსუდანი კი აღშფოთებული პასუხობდა „მე კი არ ვჩხუბობ, ენერგიულად ველაპარაკებიო“. ბოლოს ბატონმა ალექსიმ აღარ წაიყვანა თან „ენერგიულად“ მოლაპარაკე ქალბატონი და იმ დღეს მიიღო სწორედ ნებართვა ექსპედიციამ, რათა შესულიყო ბალყარულ სოფლებში ეთნოგრაფიული მასალის მოსაპოვებლად. მაშინ ბატონმა ალექსიმ მისთვის ჩვეული ნიშნისმოგებით და იუ-

მორით უთხრა: „რუსიკო, ენერგიულ ლაპარაკს, გირჩევნია ენერგიულად იმუშაო მასალის შესაკრებად”. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობა იყო, რადგან ცნობილ ქართველ მეცნიერს, პროფ. რუსუდან ხარაძეს ამგვარი შეგონება არ სჭირდებოდა.

მეორე დღესვე გავემგზავრეთ ბალყარეთის სოფელ კუნიუმში. და მხოლოდ მაშინ გახდა ნათელი რატომ არ უნდოდა ადგილობრივ ხელისუფლებას ჩვენი შეშვება სოფლებში. მოგეხსენებათ, რომ 1945 წ. ომის დამთავრებისთანავე, ბალყარელები, როგორც „საბჭოთა ქვეყნისათვის არასაიმედო ხალხი” გადასახლეს ჩაჩნებთან და ინგუშებთან ერთად შუა აზიაში, სადაც იმყოფებოდნენ სტალინის გარდაცვალებამდე. რეპატრირებულთა სახლ-კარი ბალყარეთში ოსებმა დაიკავეს. გადასახლებიდან დაბრუნებულები ოსებმა არ შეუშვეს თავის კარ-მიდამოში ყოფილი კანონიერი მეპატრონეები. მათ შორის გაიმართა საშინელი დავა, რომელიც ხშირად სისხლის ღვრამდეც კი მიდიოდა. ეს კონფლიქტი, როგორც ცნობილია დღემდე არ არის მოგვარებული ოსებსა და ბალყარელებს შორის. მე კი ვშიშობ, რომ იგივე სიტუაცია არ შეიქმნას აფხაზეთში ქართველ ლტოლვილთა დაბრუნების შემთხვევაში.

ბალყარულ სოფლებში ყოფნის დროს ბატონ ალექსის რამდენჯერმე მოუხდა უნებურად ჩარევა ამ უსიამოვნო სიტუაციაში და მის სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ მისთვის დამახასიათებელი დიპლომატიის არაჩვეულებრივი უნარის წყალობით, შეძლო მოქიშპეთა ვნებათა დელვის დაცხრომა.

აღნიშნულ ექპედიციაში მოპოვებული საველე მასალები დაედო საფუძვლად სვანურ-ბალყარულ ეთნოკულტურულ ურთიერთობათა საკითხების კვლევას. ეს თემა მოხსენების სახით წაკითხული იქნა ნალჩიკში გამართულ სესიაზე 1960 წ. და მას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. გამოქვეყნდა სტატიები „დასახლების ფორმა ბალყარეთში” (მსე, 1960, ტ. IX; 1963, ტ. XII-XIII), რომელშიაც აღწერილი და

დახასიათებულია დასახლების ტოპოგრაფია და მორფოლოგია.

შემდეგ უკვე როცა 1962 წელს შეიქმნა ისტორიის ინსტიტუტში კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილება, როგორც აღვნიშნე ერთ-ერთი პირველთაგანი გავხდი განყოფილების წევრი. იმ დღიდან უკვე ბატონ ალექსის ზედამხედველობისა და მზრუნველობის არეში მოვექეცი. განყოფილების გახსნის პირველი დღიდანვე, ჩემს თვალწინ, როგორც კარგი არქიტექტორი, ქალბატონ რუსუდან ხარაძესთან ერთად ისე აგეგმარებდა, აყალიბებდა და აშენებდა განყოფილების მეტად რთულ შენობას. როგორც გამოცდილი რეჟისორი, ისე ანაწილებდა როლებს განყოფილების წევრებს შორის და თითოეულს მისი უნარის, შესაძლებლობისა და ადამიანური თვისებების გათვალისწინებით უგეგმავდა სამომავლო მუშაობის პრობლემებს. სულ რამდენიმე წელიწადში, ბატონი ალექსის განსაკუთრებული მცდელობის წყალობით, განყოფილება იმდენად გაიზარდა, რომ უკვე თავის საკუთარ „კავკასიის ეთნოგრაფიულ კრებულს“ სცემდა. განყოფილების თანამშრომლები იცავდნენ საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებს. ასე რობაქიძის მრევლი თანდათან იზრდებოდა, ძლიერდებოდა.

ბატონ ალექსის კიდევ ერთი არაჩვეულებრივი უნარი ჰქონდა. მას შეეძლო დაეხვეწა, გაესწორებინა, სტილისტურად გაეშალაშინებინა ნებისმიერი რუსული თუ ქართული ტექსტი. მისი „ცენზურის“ გარეშე არაფერი იწერებოდა განყოფილებაში. ამასთან ეს „ცენზურა“ ისეთი იყო, რომ ავტორისეული დედააზრი უცვლელი რჩებოდა. ბატონმა ალექსიმ თავის გარშემო შემოიკრიბა მთელი კავკასიის მასშტაბით სამეცნიერო კადრები, ყველა ისინი ვინც კავკასიის პრობლემატიკით იყო დაინტერესებული ჩაჩნეთ-ინგუშეთიდან, აფხაზეთიდან, დაღესტნიდან, ოსეთიდან, სომხეთიდან თუ აზერბაიჯანიდან. არაერთმა მეცნიერმა დაიცვა ბატონ ალექსის უშუალო ხელმძღვანელობით, მხარდაჭერით თუ დახმარებით საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

მე იმ წლებში ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი ვიყავი და ხშირად მარიგებდა, რომ კაკასიის შორეული კუთხეებიდან ჩამოსულ მეცნიერებს, რომლებიც დისერტაციების დასაცავად ჩამოდიოდნენ თბილისში, მოვპყრობოდი დათმობით, რბილად და ზოგჯერ თვალსაც კი მახუჭინებდა „ვაკის“ მკაცრ დებულებებზე.

ბატონ ალექსის ყველაზე დიდი ხიბლი ექსპედიციებში, ველზე მუშაობის დროს მჟღავნებოდა. ჩრდილო ოსეთის ქურთათის ხეობაში ვმუშაობდით. დაბანაკებული ვიყავით სოფლის განაპირას კარვებში. ერთი დიდი სამხედრო კარავი გვედგა, რომელიც სასადილოსა და საერთო თავშეყრის ფუნქციას ასრულებდა, გარშემო პატარა ინდივიდუალური კარვები გვედგა. სასადილო კარავში გრძელი მაგიდა იდგა, რომლის თავში ბატონი ალექსი იჯდა, მარჯვნივ მე ვეჯექი, მარცხნივ ნაწული ჯავახაძე. ყველაზე დიდი გართობა მთელი დღის დამქანცველი მუშაობის შემდეგ, საღამოს ერთად ჩაის დალევა იყო. ვხუმრობდით, ვიცინოდით, ვმღეროდით, ყველაფერ ამაში ბატონი ალექსი აქტიურ მონაწილეობას იღებდა, როგორც ჩვენი ტოლი და სწორი. ჩაის სმა კამფეტ „კარამელით“ გვიყვარდა, რომელსაც ალექსი ყიდულობდა ჩვენთვის. სმის დამთავრების შემდეგ იწყებოდა ქალაქლების თვლა და შემოწმება ვინ რამდენი კამფეტი შეჭამა. ერთხელ ბატონმა ალექსიმ „დამიჭირა“ – როგორ მიუყარე ჩემი კარამელების ქალაქლები მას ჩუმად. ატყდა აურზაური, სიცილ-ხარხარი და ბატონმა ალექსიმ განაცხადა – მედიკოს გვერდით აღარ დავჯდებიო. ცხადია, ეს ყველაფერი ხუმრობა იყო. ექსპედიციებში ვიკვებებოდით საკმაოდ კარგად. არ გვაკლდა არც რძე-მაწონი და არც ქათამი თუ ხაბიზვიანი. ასეთმა კვებამ ექსპედიციის წევრების პროტესტი გამოიწვია. ხელმძღვანელობა განგებ გვკვებავს ასე, რომ გაგვასუქოს და ტანწერწეობა დაგვაკარგვინოსო – დიეტაზე გვინდა გადასვლაო. ერთ მშვენიერ დღეს ბატონმა ალექსიმ ეპიგრამები დაუწერა ექსპედიციის ყველა

წევრს. ლია მელიქიშვილს კი, რომელიც „დიეტის“ მთავარი მომთხოვნე იყო, ასე მიუღეჭსა:

„ერთმა ვინმემ მოიგონა  
დიეტობის თამაში,  
მაგრამ დახეთ, ვერ ეტევა  
დიეტამდელ კაბაში“.

სამწუხარო სხვა ეპიგრამები დაიკარგა, ყოველ ჩვენთაგანზე გამოთქმული ბატონ ალექსის მიერ.

მოსაგონარი ბევრია. აღარ ვიცი რომელზე შევჩერდე ... სასტიკად არ უყვარდა მის მიმართ ნაწილაკი „ც“-ს ხმარება. თუ ვინმე ეტყოდა „თქვენც“, ბავშვივით განაწყენდებოდა, „მე ც ვარო“ მეტყოდა.

სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე მემანსოვრება ამ დიდებული ადამიანის ნათელი სახე, მისი სიკეთე, რომელსაც უხვად გასცემდა და რომელმაც გვასწავლა ადამიანური ურთიერთობების სიღრმე, მეგობრული სიყვარული, უმცროს-უფროსობის მნიშვნელობა და ფასი.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სული, საუკუნო სასუფეველი ნუ მოაკლოს მას. ჩვენ კი მის მოწაფეებს ყოველთვის მაგალითად გვეყოლება სიკეთისა და სიავის ქმედების ჟამს.

## გიორგი გოცირიძე

### ალექსი რობაქიძე როგორც ინტელიგენტი და გამორჩეული პიროვნება

ალექსი რობაქიძე XX საუკუნის ქართველ ისტორიკოს-ეთნოგრაფთა უფროსი თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მიმაჩნია, რომ მისი ამ ცხოვრებიდან წასვლა ზნეწლის ასაკში ნაადრევი და ბედის უღმობელი ხვედრი იყო, რადგან ამ დიდი ერუდიციისა და გამოც-

დილების მქონე მკვლევარს ჯერ კიდევ ბევრი საინტერესო ჩანაფიქრის განხორციელება შეეძლო და ვინ იცის რამდენი ეთნოგრაფიული პრობლემა ჰქონდა კიდევ მოაზრებული და მომზადებული. მას, როგორც ეროვნული კულტურის მოამაგეს, ნამდვილად არ დასცალდა საბოლოო სიტყვის თქმა, თუმცა სათქმელი ბევრი თქვა და მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

ჩემი გამოსვლა ამ შესანიშნავ, საიუბილეო-მემორიალურ სესიაზე, რომელიც, თავის მხრივ, მკვლევარის სახელის უკვდავყოფის ნათელი დადასტურებაა, ფრაგმენტული მოგონებების სფეროს განეკუთვნება. ბუნებრივია, მე ვერ შევძლებ ალექსი რობაქიძის პიროვნული შტრიხების ისეთ სრულფასოვან წარმოჩენას, როგორც ამას მისი მეგობრები, თანამოკალმენი და მოწაფენი შეძლებენ, მაგრამ მინდა ხაზი გავუსვა მხოლოდ ზოგიერთ ისეთ თვისებას, რომელიც ასაკობრივად განსხვავებულ თაობათა ურთიერთობის ფონზე წარმოჩინდება და ამ მხრივ ბატონი ალექსის დამოკიდებულებაც უმცროსი კოლეგებისადმი იყო სამაგალითო და მრავალმხრივ საინტერესო.

პირველი, რაც ჩემს მეხსიერებაში აღიბეჭდა ალექსი რობაქიძესთან ურთიერთობის შედეგად, ეს იყო მისი გასაოცარი ინტელიგენტური ბუნება. ეს ინტელიგენტობა შერწყმული იყო ასევე გასაოცარ პიროვნულ ავტორიტეტულობასთან (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით), რომლის მიხედვითაც იგი შორსმდგარი განკერძოებული ადამიანი კი არ გახლდათ, არამედ ახლოს მყოფი, მეგობრული და ყოველთვის კორექტული.

ბატონი ალექსი გამოირჩეოდა დახვეწილი ზნეობრივი და ესთეტიკური მანერებით, დინჯი მეტყველებით, გარეგნულად მშვიდი, უბრალო, მაგრამ შინაგანად ძალზე ზეადმართული, ამაყი სულით. იგი ყოველთვის ფორმაში იყო, უყვარდა სიფაქიზე და სილამაზე, ჭარმაგ ასაკშიც კი მხნედ და შემართებულად გამოიყურებოდა.



ბატონი ალექსი როგორც პიროვნება ყოველთვის მაკვირვებდა და დღესაც ვერ ვფარავ ამ გაკვირვებას თავისი თავდაჭერილობითა და სიმტკიცით. როცა წარსულ დღეებს ვინსენებ, თვალწინ წარმომიდგება მისი იშვიათი სიღინჯე, გაწონასწორებული სახე.

დასამალი არაა, რომ ყოველი ადამიანის ცხოვრებაში, მათ შორის მეცნიერის მოღვაწეობაშიც, არაერთი დაძაბული მომენტი არსებობს, იქმნება ისეთი სიტუაცია, როცა ალელვების დაფარვა თითქმის შეუძლებელია და ემოცია მატულობს. მე მინახავს ბატონი ალექსი ასეთ ვითარებაში, როცა იგი სწრაფად დაუფლებია თავის განცდებს, შეუფასებია საერთო განწყობილება და სიმშვიდე და ზომიერება შეუნარჩუნებია. შესაძლოა მისი ეს თვისება დიდი გამოცდილებისა და ჟამთა ხელის შედეგი იყო, მაგრამ მაინც მგონია გამორჩეულ ადამიანთა ხვედრი.

ალექსი რობაქიძე დიდი მეცნიერიც იყო და დიდი მეგობარიც. მისი კეთილგანწყობისა და გულისხმიერების ერთ მაგალითს გავიხსენებ (იგი სუბიექტურია, მაგრამ არ არის გამონაკლისი).

პირველად ბატონ ალექსის ერთი ჩემი სტატიის გამო შევხვდი. სტატია ეხებოდა ნადირობის ხალხურ ტრადიციას ფერეიდნელ ქართველებში. იგი ცნობილი ირანისტის იური მარის ჩანაწერების მიხედვით იქმნებოდა. ჩემმა მოძღვარმა გიორგი ჩიტაიამ მირჩია საკონსულტაციოდ ბატონ ალექსისთან მივსულიყავი (თავისთავად ეს ფაქტი ძალიან ბევრის მთქმელი იყო). მე თავიდან მიჭირდა, თითქოსდა მეძნელებოდა ბატონ ალექსისთან მისვლა, არ ვიცნობდი, მაგრამ ბოლოს გავბედე და მივედი. ბატონმა ალექსიმ არაჩვეულებრივი უშუალობით მიმიღო, თითქოსდა დიდი ხანია მიცნობდა, ერთ წამში მომიხსნა უხერხულობის გრძნობა და საუბრის ისეთ რიტმში შემეყვანა, რომ ჩემთვის აქამდე გაუცნობიერებელი რამ, მალე სრულიად ნათელი და დაძლეული აღმოჩნდა. ეს სტატია მისივე რეკომენდაციით ამიერკავკასიის ახალგაზრდა მეცნიერთა I სესიაზე წავიკითხე ქ.

ერევანში (1980 წ.), შემდეგში კი დაიბეჭდა კიდევ. ბატონმა ალექსიმ, ასევე, დიდი დახმარება გამოიწია საკანდიდატო დისერტაციის დაცვის დროს და პროცესი სრულიად ობიექტურ ვითარებაში წარმართა. მისი შენიშვნები და წინადადებები ბევრ ჩემს ნაშრომშია გათვალისწინებული და ამისათვის მას დიდ მადლობას ვწირავ. იგი არაჩვეულებრივად კორექტული იყო რჩევა-დარიგების დროს, თავის აზრს არ მოგახვევდა და შენი ნააზრევის უკეთ ჩამოყალიბებაში გეხმარებოდა.

როცა ახალგაზრდა მეცნიერებთან და, საერთოდ, კადრებთან ალექსი რობაქიძის მუშაობის სტილსა და მეთოდს ვიხსენებ, არ შეიძლება კვლავ ჩვენს დღევანდელ მასპინძელს ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს არ დავუბრუნდე. აქ ამ კედლებში ბევრი კეთილი სიტყვა ითქვა ბატონ ალექსის ღვაწლზე, ბათუმში მისი მოღვაწეობის პერიოდზე. მე კი 1981 წელი მინდა შეგახსენოთ, ეთნოგრაფთა III რესპუბლიკური სესია, რომელიც ამ დარბაზში გაიმართა და რომელიც ამიერიდან ალექსი რობაქიძის სახელობის სამკითხველო დარბაზი იქნება. მაშინ სრულიად ახალგაზრდა იყო ამ სესიის ორგანიზატორი, ბატონი ალექსის მოწაფე და მის საქმეთა ღირსეული გამგრძელებელი პროფესორი ნუგზარ მგელაძე, სესიას არ ესწრება ბატონი ალექსის აღზრდილი, საყოველთაოდ აღიარებული მკვლევარი, აკადემიკოსი და პროფესორი ვახტანგ შამილაძე. რა მალე გავიდა ეს წლები, სულ რაღაც 15 წელიწადში ბევრი რამ გაკეთდა აქ. ამაშია დიდი მეცნიერის ღვაწლის ერთ-ერთი ნათელი შტრიხიც.

ვსარგებლობ შემთხვევით და დიდ მადლობას მოვასხენებ სესიის ორგანიზატორებს, მათ მხარდამჭერებს, ბატონი ალექსის მოწაფეებს, სამეცნიერო ფორუმის ესოდენ მაღალ დონეზე ჩატარებისათვის და უწინარეს ყოვლისა იმისათვის, რომ როგორც ჩანს ბათუმიდან იწყება ეთნოგრაფთა კვლავ შეკავშირების, გაერთიანებისა და კოორდინაციის ახალი ეტაპი. იგი უნდა გაგრძელდეს აუცილებლად და ყველამ

მხარი უნდა დაუჭიროთ ამ შესანიშნავ წამოწყებას. ეს ხომ გიორგი ჩიტაიას, ვერა ბარდაველიძის, რუსუდან ხარაძის, საერთოდ ყველა ჩვენი უფროსი მასწავლებლის და მათ შორის ბატონი ალექსის სურვილიც იყო. მართლაც, ამაში ვხედავ ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების გადარჩენის გზას.

## აბელ სურგულაძე

### რამდენიმე ეპიზოდი ალექსი რობაქიძესთან ურთიერთობიდან

უღეში (ახალციხის რაიონი) ვართ. ექსპედიციის წევრი ვლადიმერ მგელაძე ავად გაგვიხდა.

ხელმძღვანელი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით დაინტერესდა. ჰკითხა რამდენი გაქვს სიცხეო. უპასუხა, 37 და ორი საზიო.

რალა აკლია 40, დამწვარა კაცი და ეგაა, ირონიულად ჩაილაპარაკა ბატონმა ალექსიმ და ღიმილით გადმოგვხედა.

მისი სიტყვებისა და ჩვენი გულიანი სიცილის შემხედვარე ავადმყოფიც ფეხზე დადგა.



მარჯვნიდან მარსხნივ: აბელ სურგულაძე, ალექსი რობაქიძე, ლევან კალანდარიშვილი...



სურებში (ჩონატაურის რაიონი) ვართ. მოსახლეობა დიდი პატივით გვღებულობდა. ერთხელ ვლადიმერი მოგვარის ოჯახში მოხვდა. მასპინძლებს ძალიან ეამათ სტუმარი. თანაც, რომ გაიგეს მგელაძე იყო, პირდაპირ გადაყვნენ.

ვლადიმერმა ნაყოფიერად იმუშავა. 87 წლის მთხრობელი საგან მასალას იწერდა, თანაც სახელდახელოდ მორთმეულ კეცის ხაჭაპურებს შეექცეოდა. შიგადაშიგ, სადღეგრძელოს მიხედვით, სანთლის არაყსაც აყოლებდა. ბოლოს მასპინძელმა საოცრად არომატული ზეგნის „ადესაც“ შეაპარა.

ვლადიმერი ერთხანს კი იკავებდა თავს, „არ გინდათ, ნუ შეწუხდებითო“, მაგრამ ცთუნებას ბოლომდე ვერ გაუძლო და გვარიანად შეზარხოშებული სიმღერით მოგვადგა შებინდებულზე.

ბატონი ალექსი ველზე მუშაობისას სასმელს იშვიათად თუ გაეკარებოდა. შევატყვეთ, აშკარად არ ესიამოვნა ამ ყოფაში ვლადიმერის დანახვა. ვოვამ „ასე ვეძახდით შინაურობაში“ კი, ვითომ არაფერი იყო, ჯიბიდან დააძრო ბოთლი და გამარჯვებული კაცის იერით წინ დაუდგა მაგიდაზე, თან დაამატა: ბუზის „ე. ი. ფუტკრის, გურიაში ასე იტყვიან“ არაყია, მასპინძელმა გამოგიზავნათ და გთხოვათ მესტუმროსო.

ბატონ ალექსის გაეცინა და უმაღლესი დანახვით, თან შენიშნა, მე კი ვერ დამათრობსო.

ვნახოთ, ჩაიბურტყუნა ვლადიმერმა და მაშინვე დაწვა.

მეორე დღეს ორივე ადრესატისაკენ გაეშურა. მთელი დღე მოლოდინში ვიყავით. გვიან ღამით დაბრუნდნენ. ძალზე მხიარულები იყვნენ.

ბატონმა ალექსიმ შემოსვლისთანავე გულწრფელად აღიარა:

რას ვერჩოდი ვოვას, მან მასალა მინც მოიტანა. მე კი, მასალას ვინ ჩივა, მასპინძლის „ადესურ“ იერიშებს ვეღარ გავუძელიო.

• • •

ნოემბრის დამლევია, წვიმს და საშინლად ცივა. ბათუმის „ინტურისტის“ ფილიალში შევედით ცხელი ჩაისათვის.

-Два по двести, крепкого, შეუკვეთა ოფიციანტს.

ვიფიქრე, სიცივეა და არაყი ამიტომ მოითხოვა, მეთქი. ბატონმა ალექსიმ კი თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა, მაინტერესებს რას მოიტანსო.

მართლაც, ოფიციანტმაც ... არაყი ჩამოდგა, თან დაამატა: Пейте на здоровье!

შევცდი მე და აბა რას წარმოიდგენდა რუსი ოფიციანტი, თუ ის შეკვეთა ჩაის შეეხებოდა.

## ლინა რობაქიძე



ალექსი რობაქიძე,  
ლინა ჩიტაიშვილი-  
რობაქიძისა

ამ დარბაზში ყოფნის დროს საოცარი გრძნობა დამეუფლა. ვგრძნობდი თითქოს ბატონი ალექსი ჩემს გვერდით იჯდა, თქვენს გვერდით იმყოფებოდა და დიდი მადლიერების გრძნობით გვისმენდა. ბატონი ალექსი უსმენდა იმ ხალხს, რომელიც ძლიერ უყვარდა. უსმენდა მათ ამ ლამაზ, საყვარელ ქალაქში, სადაც საოცრად ბედნიერი იყო.

ოღონდ გული მტკივა, რომ ჩვენთან ერთად არ ჩამოვიდა ნიჭიერი მეცნიერი, ბატონი ალექსის ერთგული და უსაყვარლესი მოწაფე ანზორ ქალდანი. როგორ უხაროდა ბატონ ალექსის ანზორის დანახვა. სიამოვნებდა მასთან საუბარი. როცა ანზორი ვინმესთან ერთად ჩვენთან მოვიდოდა, რიხიანად



ალექსი რობაქიძე, ლინა ჩიტაიშვილი-რობაქიძისა. ხევსურეთი

დაიძახებდა ხოლმე, მოვიდნენ რობაქიძის ბიჭებიო.

მასსოვს ერთხელ ალექსის სამი მეგობარი ეწვია. ბატონი ალექსი ამ დროს ასპირანტებთან მუშაობდა. ალექსიმ გოგონები დაითხოვა და სტუმრებთან გადაჯდა. საუბრის დროს მეგობარმა უთხრა: „ვერ გამიგია შენი, ალექსი, რად გინდა ამდენი ასპირანტი, ისინი ხომ უამრავ დროს გართმევენ. თქვენ კი ზღვა მასალა გაქვთ და კიდევ რამდენი წიგნის დაწერას შეძლებთ“.

მათი წასვლის შემდეგ ალექსიმ დიდი წყენით მომმართა: „რატომ ფიქრობს ეს ხალხი ასე. განა მე არ ვიცი, რომ დიდი სიხარულის მომტანია წიგნის გამოცემა, მაგრამ როცა შენს შემდეგ ტოვებ ცოცხალ ადამიანს – მეცნიერს, ეს ხომ უდიდესი საქმეა“.



ალექსი რობაქიძე,  
ლინა ჩიტაიშვილი-რობაქიძისა

ცოტა ხანს გაჩუმდა, შემდეგ უცებ გაიმართა მხრებში, გასწორდა სავარძელში და ხმას აუწია – „დაე დაიზარდონ ეთნოგრაფიაში არწივები! მე ისინი ისე მოვწამლე ეთნოგრაფიით, რომ ეხლა ღრმად მწამს, ეთნოგრაფია და კავკასიის განყოფილება უკვდავი იქნება საქართველოში“.

ასრულდა ბატონი ალექსის ნათქვამი. სიცოცხლით აღსავსე რობაქიძის გოგონები და ბიჭები ახლა სასიქადულო ადამიანებად იქცნენ.

სწორედ, ამ დიდმა შრომამ და უდიდესმა სიყვარულმა თავისი ასპირანტების მიმართ შექმნა ასეთი კეთილი, თბილი გრძნობით გაჟღენთილი იუბილე. ძალიან ვღელავ და ამიტომ სიტყვას არ გავარგძელებ. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მათ, ვინც ითავა ეს საქმე. უღრმესი მადლობა მათ, ვინც ამოუდგა გვერდში ორგანიზატორებს და ყოველნაირად

დაეხმარა მათ ამ რთული საქმის დაგვირგვინებაში, რათა ბატონი ალექსისათვის მიეძღვნათ გულით ესოდენ გამთბარი იუბილე.

დიდი მადლობა ყველას, ყველას ვინც დღეს მობრძანდით და ჩვენთან გაიხსენეთ ბატონი ალექსი. ძალიან ბევრი, ბევრი კეთილი სიტყვა მინდა გითხრათ, ჩემო კეთილო ბათუმელო მეგობრებო.

დიდი მადლიერების, სიყვარულის გრძნობით გეუბნებით ყველას – უდიდესი მადლობა.



## ფოტო კოლაჟი



ეთნოგრაფიის მანეში



1962 წლის ინგუშეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია,  
სოფელი ოღგეთი



1962 წლის ინგუშეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია.  
ალექსი რობაქიძე ექსპედიციის წევრებთან ერთად



1966 წლის ჩრდილოეთ ოსეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია,  
ქურთათის ხეობა. ალექსი რობაქიძე და გულდამ ჩიქოვანი



1968 წლის ჩრდილოეთ ოსეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია,  
სოფელი ზარამაგი



ალექსი რობაქიძე მთხრობელებთან ერთად. აჭარა



ალექსი რობაქიძე ექსპედიციაში



ივანე ჯავახიშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი  
საიუბილეო დღეები. თბილისი, 1976 წელი.

სხედან: მარცხნიდან მარჯვნივ: ალექსი რობაქიძე, ვალენტინ გარდანიანი,  
ვასილ აბაევი, ზინაიდა გუგლოუვა, ასლან ინაიშვილი. მეორე რიგში მარცხნიდან  
მარჯვნივ: ლია მელიქიშვილი, ნანული ჯავახიძე, ლამარა ფაშაევა, მ. ჩიქოვანი,  
ჯახტანაი ცხოვრებოვი, ჯახტანაი შამილაძე



ალექსი რობაქიძე და ალექსანდრე რეშეტოვი.  
თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმი



ალექსი რობაქიძე ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის  
ეონოგრაფიის განყოფილებასთან ერთად



ცხინვალი, ალექსი რობაქიძის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი  
საიუბილეო სხდომა, 1982 წელი



ცხინვალი, 1982 წელი, ალექსი რობაქიძე, საიუბილეო ღღეები



ალექსი რობაქიძე



რიწა. 1985 წლის აფხაზეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია.  
მარჯვნიდან მარცხნივ: ალექსი რობაქიძე, ლინა რობაქიძე, ნინო აბაშიძე,  
ნანული ჯავახიძე, სალომე ბახია, ლერი ლევიძე, ნუგზარ მგელაძე





ალექსი რობაქიძე, ნუგზარ მგელაძე.  
1985 წ. გულაუთა, სოფ. ახალსოფელი



ალექსი რობაქიძე ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში  
მთხრობელებთან ერთად



ალექსი რობაქიძის 80 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებული შეკრება თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმში



ალექსი რობაქიძის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების თამშრომლებთან ერთად ღია ცის ქვეშ მუზეუმში, თბილისი, 1987 წ.



თბილისი, 1987 წელი, ღია ცის ქვეშ მუზეუმი



აფხაზეთი. 1985 წელი, მარცხნიდან მარჯვნივ: ნუგზარ მგელაძე,  
ლილი აკაბა, ნანული ჯავახაძე, ლენა მალია, სალომე ბახია,  
ნინო ჩხაიძე



ალექსი რობაქიძე, ნანული ჯგავახაძე, ლია მელიქიშვილი,  
გულდამ ჩიქოვანი, ვასილ აბაევი

## სარჩევი

<b>წინასიტყვაობა</b>	5
<b>დავით ხახუტაიშვილი.</b> შესავალი სიტყვა	8
<b>ნუგ ზარ მგელაძე.</b> ალექსი რობაქიძის ცხოვრება და მოღვაწეობა	12
<b>ნანული ჯავახაძე.</b> ალექსი რობაქიძე და კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილება	31
<b>ვანტანგ შამილაძე.</b> პროფესორ ალექსი რობაქიძის მეცნიერული ღვაწლი	47
<b>დავით ხახუტაიშვილი, ნოდარ კახიძე.</b> ალექსი რობაქიძე და აჭარის ეთნოგრაფიის პრობლემები	63
<b>ბახვა გამყრელიძე.</b> სამეურნეო ყოფის საკითხები ალექსი რობაქიძის შემოქმედებაში	82
<b>სალომე ბახია-ოქრუაშვილი.</b> ოჯახი და პატრონიმია ალექსი რობაქიძის სამეცნიერო მემკვიდრეობაში	88
<b>გულდამ ჩიქოვანი.</b> ალექსი რობაქიძე დასახლების სტრუქტურის ეთნოგრაფიული შესწავლის მნიშვნელობის შესახებ	103
<b>ჯემალ მიქელაძე.</b> ალექსი რობაქიძე და საქართველოს მატერიალური კულტურა	114
<b>თამაზ ფუტყარაძე.</b> ალექსი რობაქიძე და ეთნიკური პროცესების კვლევა საქართველოში	122
<b>მოგონებები</b>	127
<b>ფოტო კოლაჟი</b>	153

## Содержание

<b>Предисловие</b>	6
<b>Давид Хахутаишвили.</b> Вступительное слово	8
<b>Нугзар Мгеладзе.</b> Жизнь и деятельность проф. А.И. Робакидзе	12
<b>Нанули Джавахадзе.</b> Алексей Робакидзе и отдел этнологии Кавказа	31
<b>Вахтанг Шамиладзе.</b> Научный вклад проф. Алексея Робакидзе	47
<b>Давид Хахутаишвили, Нодар Кахидзе.</b> Алексей Робакидзе и проблемы этнологии Аджарии	63
<b>Бахва Гамкредидзе.</b> Вопросы хозяйственного быта в творчестве Алексея Робакидзе	82
<b>Саломе Бахиа-Окруашвили.</b> Семья и патронимия в научном наследии Алексея Робакидзе	88
<b>Гулдам Чиковани.</b> Алексей Робакидзе о значимости этнографического изучения структуры поселения.	103
<b>Джемал Микеладзе.</b> Алексей Робакидзе и материальная культура Грузии	114
<b>Тамаз Футкарадзе.</b> Алексей Робакидзе и изучение этнических процессов в Грузии.	122
<b>Воспоминания</b>	127
<b>Фото коллаж</b>	153

ტექნიკური რედაქტორი: ედუარდ ანანიძე  
ქალაქის ზომა: 60X84 1/16  
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 5.12.2007  
ტირაჟი 200  
ფასი სახელშეკრულებო

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში.  
ქ. ბათუმი, მელიქიშვილის 2.